# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 16 (111). 20 აგვისტო – 2 სექტემბერი, 2010 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

№17
1425
2010 №17



შინდისის გმირებს სამშობლო არ ივიწყებს

რეპორტაჟი საქართველოს საზღვრიდან

რისთვის სჭირდება რუსეთს აფხაზეთში C-300



გენერალი, რომელიც თადარიგში არ გასულა...

„პაკაზუხა" და ჩაფლავებული სამხედრო სწავლება



ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველი მფრინავები ავღანეთის ცაში 23



გენერალი, რომელიც თადარიგში არ გასულა 48



შინდისის გმირებს სამშობლო არ ივიწყებს 10

რუსული სწავლება „ვოსტოკ-2010" კუნთების თამაში მსოფლიოს დასანახად 36





ვის ემუქრება რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთიდან C-300-ით 44



პირველი მსხვილ-კალიბრიანი ქართველი სნაიპერებისთვის 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 ახალი ამბები

**თარიღი**

8 ომი უკომენტაროდ

**ომის გამოძახილი**

10 შინდისის გმირებს სამშობლო არ ივიწყებს

**სპეცსამსახურები**

12 საქართველოს საგარეო დაზვერვა – მითი და რეალობა

**რეგიონი**

14 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**რეპორტაჟი საზღვრიდან**

16 ქართული მიწის პირველი მოდარაჯენი

**ექსპოზიცია**

18 მასშტაბური ავიასალონი მცირე გაყიდვებით

**ფლოტი**

21 მოსკოვი ოკუპირებული აფხაზეთის წყლებს ეპატრონება

**ქართველები ცხელ წერტილში**

23 ქართველი მფრინავები ავღანეთის ცაში

**აფხაზეთის ომი**

25 ტანკები ოჩამჩირესთან

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

30 ჰოლანდიური ტანკები – ტიტების ქვეყნის ჯავშანტექნიკა

**„ვოსტოკ 2010"**

36 რუსული სწავლება „ვოსტოკ-2010" კუნთების თამაში მსოფლიოს დასანახად

36 ჩაფლავებული რეფორმა, არშემდგარი მანევრები და... ჩვეული „პაკაზუხა" საბჭოურ სტილში

**საფრთხე**

44 ვის ემუქრება რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთიდან **C-300**-ით

44 **C-300** და მისი რეალური შესაძლებლობები

**პიროვნება**

48 გენერალი, რომელიც თადარიგში არ გასულა

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 პირველი მსხვილკალიბრიანი ქართველი სნაიპერებისთვის


პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

18 აგვისტოს საქართველოში სავალდებულო სამხედრო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა დაიწყო. გეგმის მიხედვით, გაიწვევენ 18-დან 27 წლამდე 300 ახალგაზრდას. ეს არცთუ ისე დიდი რიცხვია მთელი ქვეყნისთვის და გეგმის შესრულება ნამდვილად არ გაჭირდება, რადგან ახალგაზრდების დიდი ნაწილი თავად ითხოვს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლას. თუნდაც იმიტომ, რომ ვინც შსს-ს დაცვის დანაყოფებში მოხვდება, ერთდღელამიანი მორიგეობის შემდეგ ორი დღე შინ ისვენებს და დაახლოებით 70 ლარ ხელფასსაც იღებს.

როდესაც არმია თითქმის მთლიანად კონტრაქტით მომსახურეებითაა დაკომპლექტებული, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ ახალგაზრდებსაც შეუძლიათ არასაბრძოლო და დამხმარე სამუშაოების შესრულება ლოჯისტიკაში, რაც ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტში მცირე დანაზოგს მაინც იძლევა.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

**ყურადღება!**
გამოიწერეთ „არსენალი" და მიიღეთ შინ, ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაეცემულია დასაბეჭდად 16.08.2010

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება: ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის ორ კვირაში ერთხელ ჰარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკულმა პერსპექტიულმა შვეულმფრენმა სიჩქარის რეკორდი დაამყარა



ამერიკულმა შვეულმფრენმა X2-მა, რომელზეც კომპანია Sikorsky მუშაობს, მორიგ საგამოცდო ფრენისას თავის კლასში სიჩქარის რეკორდი დაამყარა. შვეულმფრენმა 416,7 კმ/სთ (225 საჰაერო კვანძი) სიჩქარის განვითარება შეძლო, თუმცა რეკორდი ოფიციალურად არ ჩაითვლება, რადგან გამოცდას საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის (FAI) წარმომადგენელი არ ესწრებოდა.

აღნიშნულ ფედერაციაში ამ დროისთვის შვეულმფრენებისთვის ოფიციალურ რეკორდად 216 კვანძი ითვლება, რომელიც შვეულმფრენმა AgustaWestland Lynx-მა 1986 წელს დაამყარა.

კომპანია Sikorsky-ის წარმომადგენელთა თქმით, მომდევნო ფრენისას საავიაციო ფედერაციის წარმომადგენელს აუცილებლად მოიწვევენ და თუკი X2 საუკეთესო შედეგს გაიმეორებს, რეკორდი ოფიციალურად დარეგისტრირდება.

Sikorsky-ის შვეულმფრენი ორი მთავარი, ოთხფრთიანი ხრახნითაა აღჭურვილი, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ბრუნავენ. კიდევ ერთი, ექვსფრთიანი ხრახნი X2-ს კუდზე აქვს. სამივე ხრახნი მოძრაობაში ერთ ძრავს მოჰყავს.

Sikorsky-ის ინჟინრები უახლესი შვეულმფრენის ფრენის მანძილის 1300 კმ-მდე, ფრენის სიჩქარის კი 480 კმ/სთ-მდე გაზრდას გეგმავენ.

## იტალიური IVECO რუსული ТИГР-ის წინააღმდეგ...



რუსი სამხედროები სამამულო ჯავშანმანქანას ამრეზით უყურებენ...

თავდაცვის სამინისტრომ, გადაწყვიტა, იტალიური წარმოების ჯავშანმანქანა IVECO LMV M65 შეიძინოს, რითაც უარს ამბობს რუსული წარმოების ანალოგზე - „ტიგრზე“, რომელიც რუსულმა არმიამ სამი წლის წინ მიიღო. ამ უკანასკნელმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ჩვენი ქვეყნის გზებზე „გასეირნებაც“ მოასწრო. იტალიური ჯავშანმანქანებს რუსეთის ჯარის გარდა ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო და ფედერალური უშიშროების სამსახურიც შეისყიდის. შესაძლოა ამ კონტრაქტის მიზეზი იტალიისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრების მეგობრობაც იყოს...

რუსები იტალიური ჯავშანმანქანის რუსეთში აწყობასაც აპირებენ. თავდაპირველად საცდელ პარტიას მიიღებენ, მომავალში კი წელიწადში 500 ჯავშანმანქანას ააწყობენ. საერთო ჯამში რუსეთის ჯარი 5 წლის განმავლობაში IVECO LMV M65-ის 1775 ავტომობილით უნდა აღიჭურვოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითო ჯავშანმანქანა 300 ათას ევრომდე ჯდება, რუსებს ამ პროექტში 300 მლრდ რუბლის გადახდა მოუწევთ.



რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გეგმებმა არზამასის მანქანათმშენებელი ქარხნის მესვეურები გაანაწყენა, სადაც იტალიური ჯავშანმანქანის რუსული ანალოგი, „ტიგრი“ მზადდება. რუსი მწარმოებლების თქმით, IVECO „ტიგრს“ არაფრით ჯობს და თანაც, სამჯერ უფრო ძვირი ღირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პენტაგონმა სუპერკომპიუტერი შეუკვეთა

პენტაგონის პერსპექტიული კვლევითი პროექტების სამმართველომ კორპორაცია Nvidia-ს გრანტის სახით 25 მილიონი დოლარი გამოუყო, რათა ამ უკანასკნელმა გრაფიკულ ჩიპებზე დაფუძნებული სუპერკომპიუტერები შექმნას. პროექტი, რომელზეც ამავდროულად კორპორაცია Cray, ოუკრიჯის ნაციონალური ლაბორატორია და აშშ-ის 6 წამყვანი უნივერსიტეტი იმუშავებს, 4 წელიწადზე გაიწერა.

მეცნიერები და ინჟინრები მუშაობენ კომპიუტერის როგორც აპარატურულ, ისე პროგრამულ ნაწილზე. საგარაუდოდ, ახალი სისტემები გაცილებით სანდო და მოქნილი პროგრამირებით იქნება. მისი გამოთვლითი სიმძლავრე კი ეკსაფლოპს ($10^{18}$ ოპერაცია წამში) მიაღწევს. მწარმოებლები სუპერკომპიუტერთა პროტოტიპებს 2018 წლისთვის წარმოადგენენ.



# რუსული შეიარაღება ჩაფლავდა

მაშინ, როცა უპილოტო საფრენი აპარატები მსოფლიო სამხედრო ავიაციის განვითარების უმთავრეს ტენდენციად განიხილება, რუსეთი ამ მიმართულებისგან გარიყულია. როგორც ახლახან რუსეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, უპილოტოთა წარმოება, რომელშიც 5 მლრდ რუბლი დაიხარჯა, ჩავარდა.

შედეგად, რუს სპეციალისტებს ისღა დარჩენიათ, თავიანთ ქვეყანაში ებრაული უპილოტოების ლიცენზირებულ აწყობას მიჰყონ ხელი. თუმცა, ეს საკითხი ბოლომდე ჯერ კიდევ გაურკვეველია.



ამერიკული X-37B

არადა, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები უპილოტოთა წარმოებას უდიდეს ყურადღებას უთმობენ. ისრაელის კომპანია Innocon-მა უკვე წარმოადგინა ახალი უპილოტო საფრენი აპარატი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სავაჭრო გემების უსაფრთხოების კონტროლი, რათა მათზე მეკობრეთა თავდასხმა არ მოხდეს. აპარატი, რომელსაც ვერტიკალური აფრენის უნარი აქვს და ოპტიკური ვიდეოთვალთვალის სისტემითაა აღჭურვილი, დაახლოებით 300 ათასი დოლარი ღირს. მისი მართვა გემიდან, ნოუტბუკის მეშვეობით შეიძლება.

აშშ ჰიპერბგერით პლანერზე FHTV-ზე მუშაობს, რომელსაც 23 ათასი კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეეძლება. პარალელურად ამერიკელები უპილოტო კოსმოსურ აპარატს (X-37B) ქმნიან და მას მომავალში ორბიტაზე ტვირთის გადასატანად, ასევე დაზვერვის მიზნებისთვის გამოიყენებენ. აპარატის ერთ-ერთი თავისებურება კი ისაა, რომ მას მიწაზე დაშვება ჩვეულებრივი თვითმფრინავის დარად შეეძლება.

ამერიკული კომპანია LaserMotive ელექტროძრავიანი უპილოტოს შექმნას ესწრაფვის, რომლის დამუხტვა ჰაერში ხმელეთიდან, ლაზერული მოწყობილობით იქნება შესაძლებელი. უპილოტო აპარატი, ელექტროძრავის წყალობით, თითქმის უხმაურო იქნება, რითიც განსაკუთრებით სამხედროები არიან დაინტერესებულნი.

კიდევ ერთი ამერიკული კომპანია Sikorsky შვეულმფრენის UH-60M-ის უპილოტო ვერსიას ქმნის.

გულხელდაკრეფილნი არც ფრანგები არიან. კომპანია Dassault Aviation უპილოტო საფრენ აპარატ Neuron-ზე მუშაობს, რაშიც სტელს-ტექნოლოგიებს იყენებს. აპარატს სახმელეთო მიზნებზე იერიშის მიტანა საბრძოლო მოქმედებების ხედვის რეჟიმით შეეძლება. პროექტი საბოლოო სახეს 2012 წელს მიიღებს, მანამდე კი აპარატისთვის ახალი ტიპის შეიარაღება და ძრავა შეიქმნება.



ფრანგული Neuron

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებმა პირველი სერიული მფრინავი რადარი E-2D მიიღო



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა შეიარაღებაში თვითმფრინავი E-2D Advanced Hawkeye მიიღეს, რომელიც მძლავრი რადიოლოკაციური სისტემითაა აღჭურვილი. თვითმფრინავის სამხედროთათვის გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი ნორფოლკის ავიაბაზაზე მოეწყო.

კონტრაქტის თანახმად, რომლის ღირებულება 408 მლნ დოლარია, კომპანია Northrop Grumman-მა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს უახლოეს მომავალში 4 E-2D უნდა მიაწოდოს. კიდევ 2 თვითმფრინავ-რადარს შემკვეთი წლის ბოლომდე მიიღებს.

თვითმფრინავზე დამონტაჟებული სიგნალის მიღებისა და დამუშავების ციფრული სისტემებით აღჭურვილი რადარი (AN/APY-9) პატარა მიზნების დიდ მანძილზე აღმოჩენის საშუალებას იძლევა და ინფორმაციას აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გარდა, სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სახმელეთო ჯარებსაც მიაწვდის.

თვითმფრინავი, ახალი რადარის გარდა, ეკონომიური ძრავა და თხევადკრისტალური დისპლეებით მოწყობილი კაბინებით აღიჭურვა. E-2D Advanced Hawkeye-ს 650 კმ/სთ სიჩქარის განვითარება და 2,6 ათას კმ სიშორეზე ფრენა შეუძლია.

მომავალი 10 წლის განმავლობაში კი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები სულ 75 E-2D-ის შეძენას გეგმავს, რომლებიც თვითმფრინავის მოძველებულ ვარიანტს, შეიარაღებაში გასული საუკუნის 80-იან წლებში მიღებულ E-2 Hawkeye-ს ჩაანაცვლებენ.

# ბრიტანელებმა Jaguar XJ Sentinel სამუდამოდ დაჯავშნეს

ამბობენ, რომ ავტომობილის მგზავრებს ყუმბარა და „კალაშნიკოვი" ვერაფერს დააკლებს.

კომპანია Jaguar-ი აგვისტოს ბოლოს მოსკოვის ავტოსალონზე დაჯავშნული სედანის Jaguar XJ Sentinel-ის მსოფლიო პრემიერას მოაწყობს. ავტომობილი მაღალი კლასის ბალისტიკური დაცვის ფარული ჯავშნით აღიჭურვება. ეს კი ნიშნავს, რომ სედანი ავტომატ AK-47-ის ჯერისთვის შეუვალი იქნება და მისი ჯავშანი მგზავრების დაცვას, ავტომობილის სიახლოვეს 15 კგ-იანი ტროტილის ეკვივალენტური ასაფეთქებლის აფეთქების დარტყმის ტალღისგან, ასევე ყუმბარის აფეთქებისგან შეძლებს.



XJ Sentinel, ჯავშნის გარდა, მომატებულ მასასთან ადაპტირებული გაძლიერებული საკიდარითა და 19-დუიმიანი გამძლე დისკებით აღიჭურვა. დაჯავშნული XJ 385 ცხ/ძ-ის სიმძლავრის, V8 ძრავათი იქნება წარმოდგენილი, რომელსაც 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება 9,7 წამში შეეძლება. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე კი 195 კმ/სთ იქნება.

ავტომობილის საბაზო ვარიანტში გათვალისწინებულია კლიმატკონტროლის ოთხსეზონური სისტემა, ძვირფასად მორთული სალონი და Bowers & Wilkins-ის აუდიოსისტემა. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ავტომობილის გაყიდვა დებიუტისთანავე დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## B-2-ის კონსტრუქტორი ტექნოლოგიის გაყიდვისთვის გაასამართლეს

ჰავაიზე აშშ-ის ფედერალურმა სასამართლომ ამერიკის მოქალაქე ნოშირ გოვადია ჩინეთისთვის საიდუმლო სამხედრო გამოგონების მიყიდვაში დაადანაშაულა. სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გამოუცხადებია, თუმცა კანონმდებლობის გათვალისწინებით, ამ დანაშაულისთვის სოლიდური ჯარიმითა და სამუდამო პატიმრობით ან სიკვდილით დასჯიან.

პროცესი 4 თვე გრძელდებოდა. ნოშირ გოვადია, რომელიც სტრატეგიული ბომბდამშენ Northrop B-2 Spirit-ის ერთ-ერთი შემქმნელია, ბრალდების 17 პუნქტიდან არც ერთს არ აღიარებს.




საკონსტრუქტორო ბიუროდან წასვლის შემდეგ გოვადიამ საკუთარი კომპანია დააარსა. 2005 წლის ოქტომბერში მისით ფედერალური დაზვერვის ბიუროს თანამშრომლები დაინტერესდნენ და ბინა გაუჩხრიკეს. მაშინ გოვადიამ განაცხადა, რომ თავის უცხოელ პარტნიორებს გარკვეული მონაცემები გადასცა, თუმცა ამით კანონმდებლობა არ დაურღვევია.

როგორც ირკვევა, გოვადიამ რამდენიმე საიდუმლო სამხედრო ინფორმაცია ჩინეთის გარდა ისრაელსა და გერმანიაშიც გაასხვისა.

## აშშ-ის პოლიცია ლაზერის პისტოლეტებით იარაღდება



აშშ-ის რამდენიმე შტატში პოლიციელები დამნაშავეთა გასანეიტრალებლად ლაზერულ პისტოლეტს გამოიყენებენ. პისტოლეტი-ფარანი, რომელიც მწვანე მოდულირებულ სხივს ანათებს, გარკვეული დროით ადამიანის სიბრმავესა და მის დეზორიენტაციას იწვევს. აღსანიშნავია, რომ მწვანე სხივის მოქმედება მხოლოდ დროებითია და საბოლოო ჯამში მხედველობის ორგანოებს არ აზიანებს.

ლაზერულ პისტოლეტ-ფარნებზე ხელი მხოლოდ სამართალდამცველებს მიუწვდებათ და რიგით მოქალაქეებზე არ გაიყიდება. თუკი იარაღი „უცხოს" ხელში უკანონოდ მაინც აღმოჩნდება, ფარნის გაუვნებლება სპეციალური საიდენტიფიკაციო კოდის მეშვეობით, დისტანციური ბლოკირებით მოხდება.

მწარმოებლები აცხადებენ, რომ პისტოლეტ-ფარნის მოქმედებაში მოსაყვანად წამებია საჭირო და მისი გამოყენება დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეიძლება.

საბოლოო ჯამში, პისტოლეტ-ფარანს გამოყენება „უსაფრთხო ალტერნატიული იარაღის" რანგში, ელექტროშოკერისა და ცრემლსადენი გაზის ბალონების დარად გამოიყენებენ. ამ ახალი იარაღით, პირველ რიგში, ჩრდილოეთ კაროლინის პოლიციელებს აღჭურვავენ. თუკი ექსპერიმენტი გაამართლებს, ლაზერულ ფარნებს წესრიგის დამცველებს, ციხის მეთვალყურეებსა და სამხედროებს მთელი ქვეყნის მასშტაბით დაურიგებენ.

## კატალონიელები ტრადიციებზე უარს ამბობენ

კატალონიაში, ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ავტონომიურ რეგიონში, ტრადიციული ესპანური კორიდა აიკრძალა. ადგილობრივმა პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა, რომ 2012 წლის 1-ელი იანვრიდან კორიდა აღარ გაიმართება!

ამგვარი გადაწყვეტილება ცხოველთა დამცველების პეტიციას მოჰყვა, რომელსაც ხელი 180 ათასმა კატალონიელმა მოაწერა. მათ მიაჩნიათ, რომ 21-ე საუკუნეში წარსულის ასეთი ველური გადმონაშთი აღარ უნდა არსებობდეს და დასძენენ, რომ მართალია არენაზე გამოსული ხარები გონიერი და საშიში ცხოველები არიან, მაგრამ შეიარაღებული ადამიანის წინაშე აბსოლუტურად დაუცველად გვევლინებიან.

კორიდის თაყვანისმცემლები არ აპირებენ დათმობას და ამ გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებისთვის ემზადებიან. ცნობისთვის, ჯერ კიდევ 2007 წელს კორიდა კანარის კუნძულებზე აიკრძალა.



# ომი უკომენტაროდ

## ფოტორეპორტაჟი პლანეტის ცხელი წერტილებიდან.

### *ნაწილი III*

21-ე საუკუნის მსოფლიო რუკაზე 33 მეტ-ნაკლებად ცხელ წერტილს ითვლიან. ომი მძვინვარებს მთელი თავისი სისასტიკით, სხვადასხვა ქვეყნების სააგენტოების საუკეთესო ფოტოკორესპონდენტები კი თავიანთ საქმეს ბრძოლის ველზე ჩვეული სიმშვიდით, პროფესიონალურად ასრულებენ, რათა ცეცხლის, სისხლისღვრის, ცრემლისა და ტკივილის ჩვენთვის გადმოცემა და გაზიარება, მთელი თავისი სიცხადით შეძლონ.


ტაილანდი. 2010. 15 თებერვალი



ჩრდილოეთ ირლანდია. 2009. 10 მარტი


ერაყი. 2010. 25 ოქტომბერი


ირანი. 2009. 27 დეკემბერი


კონგო. 2009. 19 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აშშ. 2010.
10 ივნისი


ინდოეთი. 2010.
7 იანვარი


ავღანეთი. 2010.
20 მაისი




ჩადი. 2009.
2 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინდისის გმირებს სამშობლო არ ივიწყებს



შინდისის რკინიგზის სადგური 2010 წლის 11 აგვისტოს

რუსეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპიზოდად გორის რაიონის სოფელ შინდისთან მომხდარი ბრძოლა დარჩება.

მთელ რიგ შემთხვევითობათა გამო 2008 წლის 11 აგვისტოს რუსეთის არმიის სიამაყის — საჰაერო მედესანტეთა ჯავშანკოლონის პირისპირ ქართული არმიის საინჟინრო ასეული მარტოდმარტო აღმოჩნდა.

რუსების 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის გაძლიერებული ბატალიონი საქართველოს სიღრმისაკენ მარშით მოემართებოდა. მედესანტეთა საბრძოლო მანქანებს რამდენიმე ტანკი მოაცილებდა.

აგრესორთა ჯავშანკოლონა დაუბრკოლებლად მოდიოდა. ჩეჩნეთის ომებგამოვლილ მედესანტეებს, აბა, წინ რა დაუდგებოდა და თავიანთი სიძლიერის სიმბოლოდ მეწინავე საბრძოლო მანქანაზე სადღაც ნაპოვნი საქართველოს დროშა ჰქონდათ აღმართული.

ამ დროს საბრძოლო მოქმედებათა ზონიდან გამოსვლას მე-2 ბრიგადის საინჟინრო ასეული ცდილობდა. კოლონა „ლენდროვერების“, „ჰაილუქსებისა“ და რამდენიმე სატვირთო „კრაზისაგან“ შედგებოდა.

ქართული არმიის მართვა და კავშირი მოშლილი იყო და ქვედანაყოფთა გადაადგილებას არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, რაც მტერთან დაპირისპირების ალბათობას ბევრად ზრდიდა.

სოფელ შინდისთან ქართველმა სამხედროებმა ქართული დროშა შენიშნეს, რამაც ჩვენი მებრძოლები შეც-





2008 წლის 11 აგვისტო: რუს მედესანტეებთან ბრძოლის შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომაში შეიყვანა და საბედისწერო როლი ითამაშა. ისინი ჯავშანკოლონისკენ წავიდნენ და სწორედ ამ დროს მოწინააღმდეგემ ჯავშანტექნიკიდან ცეცხლი გახსნა.

რუსული БМД-1-ის 73 მმ-იანმა მსხვრევადმა ჭურვმა კოლონის სათავეში მყოფი „ჰაილუქსი" ადამიანებიანად დალეწა. ასეული შეჩერდა და მტერი გაჩერებული ავტომობილების ქვემეხებით დახვრეტას შეუდგა. 5 ჯარისკაცი ადგილზე დაიღუპა, სხვებმა გამოსვლა მოახერხეს, ხოლო ორ ათეულამდე მებრძოლმა კი მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

მინდორში, სადაც თავშესაფრად რამდენიმე დანგრეული შენობა თუ გამოდგებოდა, მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ქართველი ჯარისკაცები უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ.

შინდისის სადგურის მიდამოებში რუსი აგრესორების ჯავშანტექნიკა ორი საათის



11 აგვისტოს ბრძოლის ადგილები ბევრმა ადამიანმა მოინახულა



დაღუპულ ჯარისკაცებს პატივი მიაგო ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუკრი ცაგარეიშვილმა

განმავლობაში წინსვლას ველარ ახერხებდა და ბოლოს დასახმარებლად ავიაცია გამოიძახა.

ბრძოლის დასრულების შემდეგ იმ ადგილზე ბატალიონ „ვოსტოკის" ასეულმა გაიარა. თვითმხილველთა გადმოცემით, ბატალიონის მებრძოლებმა ერთი „ლენდროვერი" ალაფად წაიღეს, მეორიდან ძრავა ამოიღეს და ხელს სპილენძის კაბელებიც გააყოლეს.

ყოველი წლის 11 აგვისტოს შინდისთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ 17 გმირს მთელი საქართველო პატივს მიაგებს.

შინდისი რუსულ აგრესიასთან ბრძოლის სიმბოლოა, ამიტომ ის ადგილი უნდა მოწესრიგდეს და სამხედრო მემორიალი მოეწყოს. მომავალმა თაობებმა შინდისის გმირები არ უნდა დაივიწყონ.

*თემურ ჩაჩანიძე*



ბრძოლის შემდეგ შეგროვილი ნივთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საგარეო დაზვერვა მითი და რეალობა

(გაგრძელება)

1921 წლიდან ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში პარტიული და პიროვნული დაპირისპირება ბობოქრობდა. დღესაც ძნელი სათქმელია, რომელი იყო საწყისი და გადამწყვეტი ფაქტორი. პოლიტიკური ემიგრანტები მრავალი ათეული წელი ჯერ კიდევ საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობიდან იცნობდნენ ერთმანეთს და განვლილ პერიოდში წყენა-შუღლიც ბევრი ჰქონდათ დაგროვილი. ამავე დროს პოლიტიკურ-იდეოლოგიური უთანხმოებაც სახეზე იყო, უპირველესად სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის. როგორც ზემოთ დავინახეთ, ემიგრაციაში გახიზნული ორივე პარტია ცდილობდა აგენტურის შეგზავნის და პარტიის წევრების გადაბირების გზით ერთმანეთის წინააღმდეგ მოქმედებას, „შიგნიდან აფეთქებას“ და ურთიერთდასუსტებას. ამ მტრობა-ქიშპობის გაღვივებას ყოველმხრივ უწყობდა ხელს საბჭოთა დაზვერვაც, რომელიც ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის მრავალფეროვან მეთოდებს იყენებდა. ემიგრაციის თვალსაჩინო წევრების კომპრომეტირება, მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ემიგრანტების და მათი ოჯახის წევრების წაკიდება ფინანსურ თუ პიროვნულ ნიადაგზე, მოსყიდვა, დაუმორჩილებელი ემიგრანტების მოტაცება ან საქართველოში შემოტყუება და სიკვდილით დასჯა, და ბოლოს, პოლიტიკური მკვლელობა — ამ ყველაფერს საბჭოთა სპეცსამსახურები ფართოდ იყენებდნენ 20-80-იან წლებში. დღეს ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებული და ჯერ კიდევ გამოუძიებელი პოლიტიკური მკვლელობის შესახებ გვინდა მოგითხროთ.

## ნოე რამიშვილის მკვლელობა

ალბათ, ძნელია მოიძებნოს პირველი რესპუბლიკის სხვა ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რომლის პიროვნება და განვლილი გზა ამგვარ განსხვავებულ, რადიკალურად საპირისპირო შეფასებას იმსახურებდეს. ზოგისთვის ის ეროვნული გმირი იყო, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა საქართველოს ინტერესებისთვის, ზოგისთვის კი მხოლოდ მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, რომლის უნიათობამაც გამოიწვია 1921 წლის თებერვლის ოკუპაცია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სასტიკი დამარცხება და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საბოლოო დაქუცმაცება და დაუძლურება. საინტერესოა, რომ ამგვარი კარდინალურად განსხვავებული შეხედულებები ამ პიროვნების პოლიტიკური მოღვაწეობაზე დღესაც ხშირია. თუმცა ამ ფაქტში რაიმე განსაკუთრებული არ უნდა ვეძიოთ, რადგანაც მიუხედავად უკანასკნელ წლებში ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მოზღვავებისა, მრავალი ისტორიული წყარო და საარქივო დოკუმენტი მკვლევრებისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია. ამის გამო ბევრი ისტორიული მოვლენა კვლავ ძველი სტერეოტიპებით აღიქმება და ფასდება. ბუნებრივია, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ რთული და წინააღმდეგობით აღსავსე ისტორიული ფიგურის სრული ბიოგრაფიის გადმოცემა. ჩვენ გვსურს მაქსიმალურად ობიექტურად გავაანალიზოთ ნოე რამიშვილის ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც იგი საბჭოთა სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული დამუშავების მთავარი ობიექტი იყო ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში.

## ნოე რამიშვილი 1918-1921 წლებში

საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე, შემდეგ რამდენიმე ხანს ერთდროულად შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების სამინისტროების ხელმძღვანელი, 1881 წელს დაიბადა. სხვადასხვა წელს სწავლობდა ტარტუსა და ლაიფციგის უნივერსიტეტებში, თუმცა პროფესიად მაინც პოლიტიკოსობა (იმდროინდელი ტერმინოლოგიით — რევოლუციონერობა) აირჩია. 1902 წლიდან სიკვდილის ბოლო წუთამდე აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. პირადად იცნობდა, რუსეთის როგორც მენშევიკების, ასევე ბოლშევიკების ლიდერებს. უპირველესად კი მომავალ დიქტატორ იოსებ სტალინს, რომელთანაც შეურიგებელი იდეურ-პიროვნული დაპირისპირება ჰქონდა. როგორც შემდეგ დავინახავთ, სწორედ ეს გახდა მისი მკვლელობის მიზეზიც. ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში („ჩემი წარსული“), რომელიც პირველად 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, გაკვრით და ორაზროვნად აღნიშნავს ნოე რამიშვილის დამსახურებას 1918-1921 წლებში (სტილი დაცულია — ბ. ა.): „ყველა ქვეყანაში მთავრობის წევრობას სანთლით ეძებდნენ. ჩვენში კი მთავრობაში შესვლა მიჩნეული იყო დიდ უბედურებათ. ყველა მას გაურბოდა, როგორც ჭირს.


ნოე რამიშვილი

რამდენი ხვეწნა მჭირდებოდა, რამდენი კალთის გლეჯა, პირდაპირ წარმოუდგენელია. ძლივს ვახერხებდი შემადგენლობის მოკრებას. გაურბოდნენ პასუხისმგებლობას. მხოლოდ ორ პირს არ სჭირდებოდა ხვეწნა — ნოე რამიშვილს და ევ. გეგეჭკორს, სხვები კი ყველა ძალით შემოთრეულია მთავრობაში“. აი, სულ ესაა ნოე რამიშვილის შესახებ ჟორდანიას მოგონებებში. არც მეორე ნოეს ღვაწლი პირველი რესპუბლიკის მთავრობაში, არც მისი მოღვაწეობა ემიგრაციაში (სადაც ორი ნოე ფაქტიურად გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ოჯახებით), არც რამიშვილის მკვლელობის შესახებ — არც ცუდს და არც კარგს იხსენებს ჟორდანია, მხოლოდ სრული სიჩუმე და თანამებრძოლის დამსახურების იგნორირება. ამ დროს ნოე რამიშვილის, ამ გამორჩეული პოლიტიკური ფიგურის, მოღვაწეობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იყო. „დაუვიწყარი, გაუტეხელი და შეუდრეკელი“, — ასე ახასიათებს მას ქართული ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი თამარ პაპავა („გაბნეული საფლავები“). მისი შეურიგებელი პოლიტიკური მოწინააღმდეგე რევაზ გაბაშვილი მრავალი ათეული წლის შემდეგ იხსენებდა (სტილი დაცულია — ბ.ა.): „ღვთის მადლით, იმ ღამეს, სრულიად მოულოდნელად, რაღაცა სხვა საქმეებზედ ჩამოვიდა ნოე რამიშვილი და, როგორც კი გაიგო საქმის მდგომარეობა, ცეცხლივით დატრიალდა, შეაგროვა სადღაც გვარდიელები და განთიადისას, შორიდან უყურებდით, როგორ

თოფის გაუსროლელად ქართველებმა ჩაიგდეს ხელში პირველად და პირველი ჩვენი ჯავშნიანი გემი“. აქ საუბარია 1918 წელს ბათუმში რუსი ბოლშევიკებისთვის სამხედრო გემ „კაროლ კარლის“ კონფისკაციაზე. რ. გაბაშვილის აზრით, საქართველოს მომავალი უკეთესად წავიდოდა, რომ: „თუნდა ნოე ჟორდანიას უხერხემლობის მაგიერ, პატრონად ნოე რამიშვილის ნებისყოფას გაემარჯვნა“. მასთან ერთად რევაზ გაბაშვილი აღწერს დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს მომხდარ რამდენიმე საგულისხმო ეპიზოდს, სადაც მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი სხვა კუთხიდან მოჩანს. საქმე ეხება ახალციხის გენერალ-გუბერნატორ შალვა მაღლაკელიძის სასამართლო პროცესს, რომელზეც ნაფიც მსაჯულთა ჯგუფს მაშინ პარლამენტის დეპუტატი რევაზ გაბაშვილი თავმჯდომარეობდა. „ეს ახალგაზრდა სტუდენტი (იგულისხმება შალვა მაღლაკელიძე — ბ.ა.) დანიშნეს ახალციხის ღენერალ-გუბერნატორად და ამ რთულ მაზრაში. კარგი ადმინისტრაციული ნიჭი გამოაჩინა, აყაზაკობა მოსპო და მშვიდობიანობა, წესიერება დაამყარა. მასზედ უკვე ლაპარაკი დაიწყეს, მაგარი კაციაო, სამართლიანიაო. რამიშვილმა კახეთშიც გაგზავნა ყაჩარების მოსასპობად და იქაც შეასრულა დავალება და უცებ კი „უფლების გარდამამეტებელი და ქონების მიმთვისებელი“ გახდა. რაკი სახელი გაითქვა, რამიშვილს კონკურენტი უჩნდებაო, უმატებდნენ ზოგნი“. რ. გაბაშვილის სიტყვებით„ შალვა მაღლაკელიძე გავამართლეთ ერთხმად მაგრამ სამსახურში უკან აღარ მიუღიათ ეს ახალგაზრდა ვაჟკაცი და ნიჭიერი ადმინისტრატორი. რამიშვილმა თავისას მიაღწია“. ასევე ყურადსაღებია შ. მაღლაკელიძის გვიანდელი ნათქვამი გაბაშვილისთვის: რამიშვილმა კახეთში 11 შემორიგებული და პატიებული ყაჩაღი დამახვრეტინაო. კვლავ რევაზ გაბაშვილის გახმაურებულ მოგონებებს დავუბრუნდეთ (სტილი დაცულია — ბ.ა.): „როგორც კი იმავე 1919 წელს გამოცხადდა პარლამენტის დახურვა და დამფუძნებელი კრებისთვის არჩევნების დანიშვნა, მე მეტეხის ციხეში ჩამსვეს. მექი კედიამ (განსაკუთრებული რაზმის უფროსი — ბ. ა.) ბოდიშით წამიკითხა შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისა და მისი მდივნის მოწერილობა: „ვინაიდან რ. გაბაშვილი სისტემატიურად იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ გაჩხრიკეთ და დააპატიმრეთო. ბატონი ნ. რამიშვილი ერთი წლით იყო ჩემზედ უფროსი და რაც თავი მახსოვს, მუდმივი ბრძოლა მქონდა მასთან“. მართლაც ბედის ირონია იყო — ეროვნულ-დემოკრატს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას აბრალებდნენ მენშევიკები. მიუხედავად დაპირისპირებისა, რევაზ გაბაშვილი ობიექტურად აფასებს ნოე რამიშვილის ღვაწლსაც: „ბ-ნი ნ. რამიშვილი, შეიძლება ითქვას, ერთად ერთი კაცი იყო, რომელიც მიხვდა, რომ რევოლუციასაც პატრონობა უნდა, და, რამდენადაც შეეძლო, თავის ყაჩაღანა ამხანაგებს თავს უჭერდა. მართალია, ვერაგ საშუალებათაც არა ზოგავდა, მაგრამ, შედარებით, ადმინისტრაციის საქმე კარგად ჰქონდა აწყობილი, შინაგან საქმეთა მინისტრობისას; ტელეფონების გაყვანა და გადაბმა პროვინციებთან; მუდმივი (საუბედუროდ უშედეგო) ბრძოლა გეგეჭკორ-ჯუღელ-ჟორდანიას შვილობილ გვარდიის წინააღმდეგ, ჯარის დაცვით. სპობდა და სჯიდა ყაჩაღებს, მაგრამ რა ექნა? სულ რომ მოესპო, საკუთარი პარტიიდან ნახევარი მაინც უნდა გაენადგურებინა.

## დებატები საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე

1918-1921 წლებში ნოე რამიშვილი ერთდროულად რამდენიმე სამინისტროს ხელმძღვანელობდა, თუმცა ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მისი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მოღვაწეობის პერიოდია. 1918 წლის 26 მაისიდან ნოე რამიშვილი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა და იმავდროულად შს მინისტრის თანამდებობებს იკავებდა. ზუსტად ერთი თვის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ხდება, ხოლო რამიშვილი 1921 წლის 17 მარტამდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრია. მას ეს პოსტი ემიგრანტულ მთავრობაშიც ეკავა სიცოცხლის ბოლომდე.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება გაეცნოს ნოე რამიშვილის შეხედულებებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის როლის, მნიშვნელობისა და ფუნქციების შესახებ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდში ძირითადად განსაკუთრებულ რაზმს (რომელსაც მექი კედია ხელმძღვანელობდა) უნდა შეესრულებინა საქართველოს უმთავრესი სპეცსამსახურის ფუნქციები — ქვეყნის შიგნით ბოლშევიკების, თურქგარდიელებისა და უცხო ქვეყნების აგენტურის გამოვლენა, ამავე დროს სადაზვერვო ოპერაციების ჩატარება რუსეთის და სხვა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე.

„არსენალის“ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა

სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმი 1918 წლის მეორე ნახევარში დროებით, ექვსი თვის ვადით შეიქმნა, რის შესახებაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ კანონიც მიიღო. შემდეგ პერიოდში განსაკუთრებულ რაზმს რამდენჯერმე (1919 წლის 28 იანვარს, ივნისს და 30 დეკემბერს, ასევე 1920 წლის ივნისში) დეკრეტით გაუგრძელდა მოქმედების ვადა. თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებას დიდი დაპირისპირება და კამათი უძღოდა წინ ხელისუფლებასა (სოციალ-დემოკრატები) და ოპოზიციას (ძირითადად, სოციალისტ-რევოლუციონერები, ანუ ესერები) შორის.

ამ დაპირისპირებას ნათლად ასახავს 1919 წლის 29 ივლისის საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის სტენოგრამული ანგარიში.

დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის მოქმედების ექვსი თვით გაგრძელების დეკრეტის მიღება იდგა. ამ საკითხმა დიდი პოლიტიკური დაპირისპირება გამოიწვია.

ძირითადმა მომხსენებელმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა იოსებ ირემაშვილმა ამ რაზმის შესახებ დეკრეტის მიღების აუცილებლობაზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრა. განსაკუთრებული რაზმის შექმნის და მოქმედების გახანგრძლივების აუცილებლობას მაშინდელი მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები ქვეყნის წინაშე შიდა და გარე საფრთხეების არსებობით ასაბუთებდნენ. საბჭოთა რუსეთის, თურქგარდიელების და მეზობელი ქვეყნების აგენტურასთან ბრძოლა, საქართველოს კომუნისტების მიერ ორგანიზებული გამოსვლების ჩახშობა, სპეკულაციისა და კორუფციის აღმოფხვრა — განსაკუთრებული რაზმის მთავარი ფუნქციები უნდა ყოფილიყო.

უმრავლესობის გეგმების წინააღმდეგ განსაკუთრებით დამფუძნებელი კრების წევრი, ცნობილი ესერი ლეო შენგელაია აქტიურობდა: „საგანგებო რაზმი ნამდვილად კონტრრევოლუციონერების ბუდეა, სადაც სოციალ-დემოკრატიამ თავი მოუყარა ყოფილ ბოქაულებს და სიშჩიკებს. გადაჭარბებული არ იქნება ვსთქვათ, რომ რუსეთის ოხრანკასა და რამიშვილის საგანგებო რაზმს შორის არავითარი განსხვავება არც შემადგენლობით, არც მოქმედების მეთოდებით არ არსებობს. საგანგებო რაზმს ხელმძღვანელობენ კედია და ფაჩულია, ესენი არიან ყოფილი ბოქაულები, რომლებიც მთელს თავის სიცოცხლე ებრძოდნენ რევოლუციონერებს“. ლ. შენგელაიამ ეს რაზმი პირდაპირ დაადანაშაულა მოქალაქეთა უკანონო დაპატიმრებასა და წამებაში, თავისუფალი სიტყვის დევნასა და გაზეთების უსაფუძვლო დახურვაში. მან ფრაქციის სახელით საგანგებო რაზმის დაუყოვნებლივ გაუქმება მოითხოვა.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების



საავიაციო სისტემა Turna-ს თვითმფრინავი-სამიზნე

## აზერბაიჯანი

● დაგეგმილია თურქული კომპანია TAI-ის საავიაციო სისტემა Turna-ს თვითმფრინავი-სამიზნეების შეძენა. აზერბაიჯანელ სამხედრო მოსამსახურეთა რამდენიმე ჯგუფმა თურქეთში სამიზნეების გამოყენებისა და ტექნიკური მომსახურებისათვის მომზადება უკვე გაიარა. თვითმფრინავი-სამიზნე Turna საჰაერო თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად გამოიყენება, ხოლო საბორტე რადარითა და ოპტიკური სისტემით საზენიტო სისტემებსა თუ მართვად რაკეტებზე დაკვირვება შეუძლია.

● 2009 წელს ბელორუსიამ აზერბაიჯანს 5 მოიერიშე Су-25 და 9 ერთეული 203 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი 2С7 Пион-ი მიჰყიდა. გაეროს რეესტრის თანახმად, აზერბაიჯანმა ბელორუსიისაგან 2005 წელს — 19 ტანკი Т-72, 2006 წელს — 41 ტანკი Т-72, ხოლო 2008 წელს 3 ერთეული 203 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი 2С7 Пион-ი მიიღო.

## სომხეთი

● აზერბაიჯანელთა მხარეს თავისი ნება-სურვილით გადასულ სომეხ ჯარისკაცებს სამშობლოში დაბრუნება არ უნდათ. ერთ-ერთის, გრანტ მარკოსიანის თქმით, დაბრუნების შემთხვევაში მათ სიკვდილით დასჯიან. 2009 წლის 28 თებერვალს გრანტ მარკოსიანი, რაფიკ ტევოსიანი და ვართუგან სარქისიანი აზერბაიჯანელებს ტყვედ ჩაჰბარდნენ.

## ჩრდილო კავკასია

● გროზნოში შინაგანი ჯარების აჰმად კადიროვის სახელობის 42-ე ცალკეული მოტორიზებული ბატალიონის ბაზაში ჩეჩენმა ახალწვეულებმა ფიცი დადეს. კიდევ ერთი ჩეჩნური ბატალიონი „სევერი" რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების 46-ე ოპერატიული დანიშნულების ბრიგადის შემადგენლობაში შედის.

● ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში ქალაქ ბუდიონოვსკიდან 70 კილომეტრში მდებარე პოლიგონზე 10 Ми-28Н „ღამის მონადირის" ეკიპაჟებმა საბრძოლო ამოცანები შეასრულეს და სახმელეთო სამიზნეების უმართავი რაკეტული ჭურვებითა თუ ქვემეხებით განადგურებაში ივარჯიშეს. სწავლების მომდევნო ეტაპზე დავალებები „ჰაერი-ზედაპირის" კლასის Атака-ს ტიპის რაკეტებით შესრულდა.

● 3 აგვისტოს ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსლან ალხანოვმა განაცხადა, რომ საბრძოლო მოქმედებებში განადგურებულია 45 მეამბოხე, ხოლო კიდევ 6 ინგუშეთსა და დაღესტანშია ლიკვიდირებული. 28 ხელისუფლებას ნებით ჩაჰბარდა. მიმდინარე წელს ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღის 159 ერთეული, 28 თვითნაკეთი ბომბი, 134 ჭურვი, ნაღმი და ფუგასი.

● 30 ივლისს დაღესტანში ორი სოფლის — გერგებლისა და გიკუნის მცხოვრებთა შორის მასობრივი ჩხუბი მოხდა. თითოეული სოფლიდან კონფლიქტში დაახლოებით ორას-ორასი კაცი მონაწილეობდა. ჩხუბის შედეგად ცეცხლსასროლი იარაღით დაიღუპა 3 კაცი, 5 კი დაიჭრა.

Ми-28Н „ღამის მონადირე"



## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 11 აგვისტოს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ ზელინმა განაცხადა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსდა საჰაერო თავდაცვის სისტემა С-300-ის ერთი კომპლექსი, რომელმაც სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვის სისტემებთან ერთად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საჰაერო სივრცის დაცვა უნდა უზრუნველყოს.

● 11-12 აგვისტოს აფხაზებმა მორიგი სამეთაურო-საშტაბო სწავლება ჩაატარეს თავდაცვის სამინისტროსა და აღმოსავლეთის ჯგუფის ჯარების მონაწილეობით. სწავლებაზე დამუშავდა „მოწინააღმდეგის შესაძლო აგრესიის პირობებში აფხაზეთის შეიარაღებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმოხილვა...



მედვედევ-ბაღაფშის 8 აგვისტოს შეხვედრა

ლი ძალების მართვის ორგანოების მოქმედება და თავდაცვის დაგეგმვა“.

● 8 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი მოულოდნელად აფხაზეთში ჩავიდა და გუდაუთის რუსულ ბაზაში ჯარისკაცების საცხოვრებელი სახლები და სასადილო დაათვალიერა. დაინტერესდა კვებითა და დასვენების პირობებით, ხოლო გამომშვიდობებისას პირად შემადგენლობას დაუბარა: „თქვენი ამოცანაა, აქ ცხვირი არავინ შემოყოს“.

● 3 აგვისტოს სოხუმის ერთ-ერთ ეკლესიაში საოკუპაციო ჯარების 24 მესაზღვრეს „უფროსი ლეიტენანტის“, „კაპიტნისა“ და „მაიორის“ სამხრეები საზეიმო ვითარებაში გადაეცა, ხოლო რამდენიმე კი მედლებით დაჯილდოვდა.

● სოხუმის აეროპორტში რუსული წარმოების ZALA AERO-ს უპილოტო საფრენი აპარატების დემონსტრირების შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომ სოხუმმა შესაძლებელია სამი აპარატი შეიძინოს.

## ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● კოკოითის რეჟიმს ახალი თავდაცვის მინისტრი ჰყავს, — რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი ვალერი იახნოვეცი.

● ახალმა მინისტრმა პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მის განკარგულებაში ამჟამად მხოლოდ 1250 კაცია, მაშინ როცა ომის საფრთხე ისევ არსებობს და დასძინა, „NATO-ს სპეციალისტები განაგრძობენ ქართული არმიის ინტენსიურად მომზადებას. ისინი კიდევ უფრო წინ წავიდნენ. ადრე ყვლანეთში ერთი ასეული ჰყავდათ, ახლა ასეულთან ერთად ბატალიონიც არის. მათ ახალი ომისათვის ამზადებენ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან 1700 პოლიციელი დგას. ჩვენ ახალი თავდასხმის მოგერიებისათვის უნდა მოვემზადოთ“.

● კოკოითის რეჟიმის თავდაცვის მინისტრ იახნოვეცის თქმით, რეგიონში საჰაერო თავდაცვის სისტემა ურიგო არ არის, მაგრამ C-300-ის განთავსება ზედმეტი არ იქნებოდა.



კოკოითიმ ოს სამხედროებს ახალი მინისტრი წარუდგინა

## ყარაბაღი

● 27 ივლისს თაუშის რაიონის სოფელ ჩინარის მახლობლად საბრძოლო-საყრდენ პუნქტში ლეიტენანტმა არტაკ ნაზარიანმა ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა. მომხდარის გამო ერთი ოფიცერი და 3 რიგითი დააკავეს.

● 28 ივლისს ერთ-ერთ ქვედანაყოფში წვევამდელმა ოფიცერი და 4 თანამებრძოლი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. მიზეზი „საბრძოლო მორიგეობაში გამოვლენილი უხეში დარღვევები“ იყო. სომხეთის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე მინისტრ სეირან ოჰანიანის შეფასებით არმიაში ჯერ კიდევ არიან ოფიცრები, რომლებიც ძალადობას მიმართავენ და პირად შემადგენლობასთან მუშაობისას მანკიერ მეთოდებს იყენებენ. მისივე ბრძანებით ამის გამო 8 ოფიცერი დაითხოვეს.

● ივლისის ბოლო კვირას ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე აზერბაიჯანელთა მხრიდან ცეცხლის გახსნის 100-ზე მეტი შემთხვევა აღინიშნა. აზერბაიჯანელებმა ავტომატები, ტყვიამფრქვევები და სნაიპერული შაშხანა „შავი ისრები“ გამოიყენეს. ინტენსიური ცეცხლი გახსნეს 28 ივლისს, როცა აზერბაიჯანის მხრიდან რამდენიმე მიმართულებით სხვადასხვა სასროლი საშუალებით დაახლოებით 280-ჯერ ისროლეს.

● „ბოლო დროს გახშირდა შეხების ხაზის გასწვრივ უპილოტო საფრენი აპარატებისა და სამხედრო თვითმფრინავების საბრძოლო-სასწავლო თუ სადაზვერვო მიზნით ფრენა“, — განაცხადა თვითაღიარებული ყარაბაღის თავდაცვის არმიის პრესმდივანმა, რომლის თქმით, საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფთა უნარიანი მოქმედებით ყარაბაღის საჰაერო სივრცე ყოველთვის დაცული იქნება. გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის წარმოების აზერბაიჯანული უპილოტო აპარატები შეხების ხაზის გასწვრივ დაფრინავენ. სომხებმა მათი ჩამოგდება რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული მიწის პირველი მოდარაჯენი

მესაზღვრე ქვეყნის პირველი ზღუდის დამცველია, მასზეა დამოკიდებული საქართველოს უსაფრთხოება.

საოცარი შეგრძნებაა, როდესაც მესაზღვრეებთან ერთად მთებში საცალფეხო ბილიკებზე მიაბიჯებ და მეზობელი ქვეყნის ტერიტორიას სულ რამდენიმე მეტრი თუ გაცილებს.



„მწვანე საზღვრის" გაკონტროლება შსს-ს სასაზღვრო პოლიციის პრეროგატივაა. „არსენალიც" ქართველი მესაზღვრეების ერთი დღის გასაცნობად ესტუმრა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის №1-ელი სამმართველოს მე-5 სექტორს (ტბეთი), რომელიც საქართველო-თურქეთის საზღვრის ოციოდე კმ-ს შუახევის რაიონის მონაკვეთზე აკონტროლებს.

სექტორის უფროსმა მაიორმა **შაქრო მემიაძემ** აგვიხსნა, რომ მის მესაზღვრეებს საზღვრის გაკონტროლება ზღვის დონიდან ორ კმ-ზე მაღლა უწევთ, რაც ძლიერი წვიმებისა და ქარის დროს დიდ სირთულეებს ქმნის. მიუხედავად ამისა, მესაზღვრეები დღედაღამ არ წყვეტენ საზღვრის გასწვრივ პატრულირებას და აწყობენ საიდუმლო საფრებს, რათა საზღვრის პოტენციური ან რეალური დამრღვევისთვის მოულოდნელი იყოს მესაზღვრეების გამოჩენა.



იარაღის ოთახის წესდების მიხედვით მოწყობა საველე პირობებშიც აუცილებელია

ზამთარში აქ იმხელა თოვლი მოდის, რომ საზღვრის ფეხით გადაკვეთა თითქმის შეუძლებელი ხდება. ამიტომაც მესაზღვრეები პატრულირებას ქვემოთ, ბილიკების ძირას აგრძელებენ, — ძალიანაც რომ მოინდომოს საზღვრის დამრღვევმა, ამ ბილიკებიდან ვერ გადაუხვევს.

საზღვრის მაღალმთიან მონაკვეთზე სამსახური მესაზღვრეებს კარგ გამოცდილებას აძლევს და, ალბათ, ამიტომაც მეორე გაზაფხულია სწორედ აჭარელ მესაზღვრეებს გზავნიან საქართველო-რუსეთის საზღვრის იმ სამთო ბილიკების გადასაკეტად, რომლებიც თოვლის დადნობის შემდეგ იხსნება.

მე-5 სექტორის ჯგუფის უფროსი კაპიტანი **ემზარ თურმანიძე** იხსენებს, რომ ბოლო ორი გაზაფხულია სხვა აჭარელ მესაზღვრეებთან ერთად საქართველო-რუსეთის საზღვრის თებულოს სასაზღვრო საგუშაგოს გახსნამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუწია. „აჭარის მაღალმთიან საზღვარზე დღედაღამ პატრულირების გამოცდილება ნამდვილად დამეხმარა, თითქმის 3 კმ სიმაღლეზე თებულოს მთებზე საზღვრის გაკონტროლებაში“, — აცხადებს „არსენალთან“ საუბარში კაპიტანი ემზარ თურმანიძე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-თურქეთის საზღვრის საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე უვიზო რეჟიმი მოქმედებს, აჭარელ მესაზღვრეებს საქმე არ აკლდებათ.

სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის №1-ელი სამმართველოს (ბათუმი) ვიცე-პოლკოვნიკი **გიგი ქათამაძე** მარტო ამ წელს არანაკლებ ოთხ ფაქტს იხსენებს, როდესაც „მწვანე საზღვრის“ პოტენციური და რეალური დამრღვევები დააკავეს.



კაპიტანი ემზარ თურმანიძე თანამებრძოლებთან ერთად თვეზე მეტი საქართველო-რუსეთის საზღვრის თებულოს მაღალმთიან მონაკვეთსაც იცავდა

2010 წლის 8 თებერვალს ამ სამმართველოს მე-5 სექტორის პასუხისგების რაიონში (სულ 1-ელ სამმართველოში შედის 7 სექტორი, რომლებიც საქართველო-თურქეთის საზღვრის 130 კმ-ზე მეტს აკონტროლებენ აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რაიონების მონაკვეთებზე) დააკავეს ნიგერიის მოქალაქეები, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე არალეგალურად გადასვლას აპირებდნენ. მთებში ჩამოწოლილმა დიდმა თოვლმა მათ გადაადგილება გაუძნელა, ხოლო ყინვამ ორი მათგანი იმსხვერპლა.

7 აგვისტოს მე-7 სექტორის (ხიხაძირი) მონაკვეთში დააკავეს უზბეკეთის სამი მოქალაქე, რომლებიც თურქეთში არალეგალურად შეღწევას ცდილობდნენ.

სამი დღის შემდეგ, 10 აგვისტოს, თავი უკვე მე-6 სექტორის მესაზღვრეებმა ისახელეს, — ჩიმუხის მონაკვეთზე დააკავეს თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოპარული ჩეჩენი, რომელსაც საბუთები არ გააჩნდა.

მეორე დღეს, 11 აგვისტოს, მე-4 სექტორის (ქედის) მონაკვეთზე დააკავეს თურქეთის მოქალაქე, რომელმაც საზღვარი დაარღვია და საქართველოში კონტრაბანდული ტვირთი გადმოიტანა.

„მწვანე საზღვარს“ უმეტესად საქართველოს ის მოქალაქეები არღვევენ, რომლებიც დეპორტირებული არიან თურქეთის რესპუბლიკიდან და არ შეუძლიათ საკონტროლო-გამშვები პუნქტით ოფიციალურად სარგებლობა.

საზღვრის დამრღვევთა მეორე კატეგორიას კონტრაბანდისტები მიეკუთვნებიან. მათ წესრიგში აქვთ საბუთები, მაგრამ არ სურთ საბაჟოზე იმ ტვირთის გატარება, რომლის საქართველოში შემოტანა ან გატანა სურთ.

საზღვრის დამრღვევთა მესამე კატეგორიაში კი შედიან მესამე ქვეყნების მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს გავლით ჯერ თურქეთში, შემდეგ კი ევროპაში შეღწევა სურთ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოთხი მეზობელი ქვეყნიდან სახელმწიფო საზღვარი სრულიად დემილიტირებული და დემარკირებული მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკასთან აქვს და ამასთან, საქართველო-თურქეთს შორის მოქმედებს უვიზო რეჟიმი, საზღვრის ამ მიმართულების საფუძვლიანად გაკონტროლება კვლავ აუცილებელია, რასაც ცდას არ აკლებენ აჭარაში განთავსებული მესაზღვრეები.

*ირაკლი ალადაშვილი*

*შუახევის რაიონი*
*საქართველო-თურქეთის*
*სახმელეთო საზღვრიდან*

სანამ მესაზღვრეები სახელმწიფო საზღვარს მაღალ მთებში აკონტროლებენ, მათი მეზღვაური კოლეგები სარფთან საზღვაო საზღვარს იცავენ — სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის საპატრულო კატარღა „გენერალი მაზნიაშვილი“




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მასშტაბური ავიასალონი მცირე გაყიდვებით

წლევანდელი ავიასალონის ერთგვარი თავისებურება სამხედრო კონტრაქტების მინიმალური რაოდენობა იყო, ეკონომიკური კრიზისის გამო მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ სამხედრო ბიუჯეტები შეამცირა. მიუხედავად ამისა, წლევანდელი Farnborough მაინც საინტერესო გამოდგა. აქ საავიაციო ტექნიკის როგორც თანამედროვე ნიმუშების, რომელთაც შეიარაღებაში ახლა იღებენ, ასევე მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ორიგინალური და პირველი მსოფლიო ომის დროინდელი რეპლიკების ნახვა შეიძლებოდა.

წელს ავიასალონზე სამოქალაქო ლაინერები ჭარბობდნენ. საკმაოდ კარგად იყიდებოდა Sukhoi Superjet 100, Airbus-ისა და Boeing-ის სხვადასხვა ტიპის ლაინერები. ექსპოზიციაზე სამხედროები ნაღვლიანად გასცქეროდნენ საფრენოსნო პროგრამაში მონაწილე სხვადასხვა გამანადგურებელს, რომელთა საყიდლადაც მათ სახსრები არ გააჩნდათ. ორგანიზატორების უხეში ანგარიშის თანახმად, წლევანდელ ავიასალონზე სულ 47 მილიარდის ღირებულების კონტრაქტები გაფორმდა. შედარებისთვის: 2008 წლის გამოფენაზე კონტრაქტების საერთო ღირებულებამ 88.7 მილიარდი დოლარი შეადგინა.

მსოფლიოს ორი უდიდესი ავიასალონი — ბრიტანული ფარნბორო და ფრანგული ლე ბურჟე — ევროპაში ტარდება და ამიტომაც ამერიკულ Boeing-ს თამაში „სხვის ტერიტორიაზე“ უწევს, იქ, სადაც დომინანტი ევროპული Airbus-ია და ამ კომპანიის საავიაციო ქარხნებია განთავსებული. იმისთვის, რომ ევროპულ ავიასალონზე ამერიკული პროდუქტისთვის მიექციათ ყურადღება, ოკეანგაღმიდან სამოქალაქო სფეროში ამერიკელების ბოლო ქმნილება Boeing 787 Dreamliner-ი ჩამოფრინდა. „ოცნების ლაინერმა“ მაყურებლებში აჟიოტაჟი გამოიწვია, მაგრამ არა ბიზნესმენებში: ამერიკულმა კომპანიამ მხოლოდ სამი თვითმფრინავის გაყიდვა შეძლო, საერთო ღირებულებით 500 მილიონი დოლარი.



წლევანდელ ავიასალონზე თვითმფრინავის დებიუტთან ერთად, ანტონოვმა 20 Ан-158 გაყიდა

სამაგიეროდ სხვა ამერიკული თვითმფრინავები გაცილებით უკეთესად იყიდებოდა. Boeing-ისთვის ბრიტანეთში დადებული ყველაზე დიდი კონტრაქტი იყო არაბთა გაერთიანებული საამიროების ავიაკომპანია Emirates-თან დადებული ხელშეკრულება, რომელიც 30 ცალი Boeing 777-ის აგებას ითვალისწინებს. გარიგების ღირებულება 9.1 მილიარდი დოლარია. ახლოაღმოსავლური ავიაკომპანია აგრძელებს მასშტაბებით ხალხის განცვიფრებას. რეგიონში უმსხვილესი ავიაკომპანიის პარკი უკვე ითვლის 142 თვითმფრინავს და მათი გაზრდა 200-მდე იგეგმება. ამერიკული კომპანიის კიდევ ერთ ხელშეკრულებას Royal Bank of Scotland-ის სალიზინგო განყოფილებასთან 43 Boeing 737-ის მიწოდებაზე დადებული კონტრაქტი წარმოადგენდა. თუმცა ამერიკელებისთვის დარტყმად იქცა ის გარემოება, რომ კომპანიამ ამ თვითმფრინავების გარდა კიდევ 52 A320 შეიძინა. 95 თვითმფრინავი სალიზინგო კომპანიას 7.6 მილიარდი დოლარი დაუჯდა.

ევროპულ კონცერნს ავიასალონზე სხვა მიღწევებიც ჰქონდა. გერმანულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიაკომპანია Germania-მ ხუთი A319 შეიძინა. მართალია, გარიგების ღირებულება „მხოლოდ“ 372 მილიონი დოლარია, მაგრამ ინტერესს სხვა გარემოება იწვევს, — ავიაკომპანია მანამდე მხოლოდ „ბოინგის“ თვითმფრინავებს ყიდულობდა. გაიყიდა არაერთი შედარებით პატარა თვითმფრინავიც. ბრიტანულმა ავიაკომპანია Flybe-მ 5 მილიარდ დოლარად ბრაზილიური ფირმა „ემბრაერის“ 140 რეგიონული თვითმფრინავი შეიძინა. განზე არც რუსული კომპანიები დარჩენილან, — „აეროფლოტმა“ 11 A330-ზე გააკეთა შეკვეთა.


ინტენსიური რეკლამირების მიუხედავად, ჩინურ-პაკისტანურ ერთობლივ გამანადგურებელს მყიდველი არ გამოუჩნდა



„მწარმოებელი“ გაზვიადებულია, ვინაიდან ამ ფირმის შემუშავებული MC-21 ჯერ კიდევ პროექტირების სტადიაშია, თუმცა მალაიზიამ 50 თვითმფრინავის შეძენის სურვილი გამოთქვა. კონტრაქტი, რომლის ღირებულებაც 3 მილიარდი დოლარია, 2016-2020 წლებზეა გათვალისწინებული. რაც შეეხება თავად თვითმფრინავს, მისი სერიული წარმოება და გაყიდვა ჯერ კიდევ შორსაა. მაგალითად, ფარნბოროში მხოლოდ თვითმფრინავის სალონის მაკეტი ჩაიტანეს, რადგან ჯერ თვითმფრინავის ნატურალური ზომის მაკეტიც კი არ არსებობს.

უკონტრაქტოდ არც უკრაინელები დარჩენილან. გამოფენაზე ანტონოვის საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნილი

კატალოგური ფასების მიხედვით, კონტრაქტის ღირებულებამ 2 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა.

ბრიტანულ ავიასალონზე რუსებმა ჩაიყვანეს თავიანთი სამოქალაქო ავიაციის იმედი — რეგიონული Superjet-ი, რომელიც ყოველდღე სადემონსტრაციო ფრენას ასრულებდა. ექსპერტებს თვითმფრინავის საფრენოსნო პროგრამა მანამდე, პარიზისა და მოსკოვის ავიასალონებზე ჰქონდათ ნანახი და ამიტომაც რუსებმა ამით ვერავინ გააკვირვეს. საინტერესო ის იყო, რომ თვითმფრინავის სერტიფიცირებისას მისი ექსპორტზე გატანის მივიწყებული საკითხი კვლავ წამოიჭრა, — სალიზინგო ავიაკომპანია Pearl Aircraft Corporation-მა ერთდროულად 30 რუსული თვითმფრინავი იყიდა და დამატებით 15 ლაინერზე წინასწარი ხელშეკრულება გააფორმა. რუსულმა „გაზპრომავიამ“ 10 თვითმფრინავი შეიძინა. სავარაუდოდ, კიდევ 12 ცალს ავიაკომპანია Orient Thai Airlines-ს, მიიღებს, რომელთანაც წინასწარი ხელშეკრულება გაფორმდა. ახლა „სუხოის“ 150 თვით-


მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთებისთვის ჯერ არც ერთი Super Jet-ი არ გადაცემულა, „სუხოის“ კონტრაქტები უკვე 150 ცალის დამზადებაზე აქვს

მფრინავზე აქვს შეკვეთა. 2029 წლამდე სულ 800 თვითმფრინავის აწყობა და გაყიდვა იგეგმება.

კონტრაქტი რეგიონული თვითმფრინავის მწარმოებელმა კიდევ ერთმა რუსულმა კომპანია Иркут-მაც მიიღო. მართალია, ამ შემთხვევაში ტერმინი

Ан-158-ის დებიუტი შედგა, თვითმფრინავი პირველად წარუდგინეს ფართო პუბლიკას. დებიუტთან ერთად კი რუსულმა სალიზინგო კომპანია ИФК-მ 20 თვითმფრინავი შეიძინა. თითო 99 მგზავრზეა გათვლილი.



სამოქალაქო კოლეგებისგან განსხვავებით, სამხედრო მწარმოებლები პროდუქციის გაყიდვის იმედს არ კარგავდნენ და როგორც მაყურებლების, ასევე პოტენციური კლიენტების მოზიდვას ცდილობდნენ. ებრაულმა კომპანია Elbit Systems-მა ავიასალონზე შვეულმფრენებისთვის განკუთვნილი ახალი თაობის უნივერსალური კაბინა Cockpit-NG-ი წარადგინა. ებრაული გამოგონება რამდენიმე ფერადი დისპლეის ერთობლიობაა, რომელთა შორისაც მთავარი დიდი მულტისენსორული ეკრანია, რომელზეც ყველა საბორტო სისტემის მონაცემების გამოყვანა შეიძლება.

ამერიკული კომპანია Raytheon-ი სტუმრების მოზიდვას 2010 წლის მაისში ჩატარებული საბრძოლო ლაზერის გამოცდის ვიდეოჩანაწერით ცდილობდა. ამ იარაღს თვითმფრინავების, შვეულმფრენებისა და უპილოტო აპარატების ჩამოგდება სხვადასხვა სიმაღლესა და დისტანციაზე შეუძლია. ყველაფერთან ერთად მის განსაკუთრებულობას ზღვის თავზე სამიზნეების განადგურების უნარი წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, კომპანიის განცხადებით, წარმატებით დამთავრებული გამოცდა სწორედ ზღვის თავზე ჩატარდა — უპილოტო თვითმფრინავის განადგურების დისტანციამ 3.2 კმ შეადგინა.

სამხედრო ავიაციაში სიახლე იყო ავიაშოუზე პაკისტანის JF-17 Thunder-ის ტიპის ორი გამანადგურებელი, რომელზეც ის ჩინეთთან ერთად მუშაობს. პაკისტანი ამ თვითმფრინავის ექსპორტზე დიდ იმედს ამყარებს, თუმცა სალონის ფარგლებში არც ერთი არ გაუყიდია. კიდევ ერთი სიახლე ჩვენი მეზობელი თურქეთის უპილოტო „ფენიქსი“ იყო. ის საამქროდან სალონის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე გამოიყვანეს. უცნობია, აპირებს თუ არა თურქეთი მის ექსპორტზე გატანას.

პარალელურად ავიასალონის თავზე გასული საუკუნის პირველ ნახევარში აგებული Messerschmitt Bf-109, Fiat G.46, Hawker Hurricane დაფრინავდნენ. მათ გვერდზე კი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში შექმნილი თანამედროვე საფრენი აპარატები სერავდნენ დიდი ბრიტანეთის ცას. მათ შორის F-22 Raptor-ი, A400M-ი, რომელსაც მწარმოებელმა კომპანიამ საკმაოდ ჟღერადი სახელი „გრიზლი“ შეარქვა, JAS-39 Gripen NG, Aermacchi M-346, F/A-18E Super Hornet-ი.

წლევანდელ ბრიტანულ ავიაგამოფენაზე „სუხოის“ ლაინერის გარდა, რუსეთი პროდუქციის გასაღებას უკვე ტრადიციად ქცეული მეთოდით — მაკეტებით, პლაკატებითა და ვიდეორგოლებით ცდილობდა. მაკეტების სახით გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გამანადგურებლები Су-35, МиГ-35, МиГ-29СМТ, Су-30МК და შვეულმფრენები Ми-35М, Ка-60, Ми-171Ш. პერსპექტიული რუსული მეხუთე თაობის გამანადგურებელი Т-50 გამოფენაზე არ ყოფილა.

რუსეთმა ორი კონტრაქტი გააფორმა. პირველი პერუსთან, რომელმაც 250 მილიონ დოლარად 6 სატრანსპორტო Ми-171Ш და ორი დამრტყმელი Ми-35П შეიძინა, მეორე კონტრაქტი კი „სუხოის“ ფირმამ — ვიეტნამსა და ალჟირთან. პირველი 20 Су-30МК2-ს იყიდის, ალჟირი კი — 16 Су-30МКА-ს. ორივე შემთხვევაში გარიგების ღირებულება უცნობია.

მიუხედავად უფულობისა, რამდენიმე სამხედრო გარიგება გამოფენაზე მაინც შედგა. ამერიკულმა „სიკორსკიმ“ საუდის არაბეთის სამი სატრანსპორტო შვეულმფრენი S-70iTM შეიძინა. შენაძენის ფასი არ გახმაურებულა და თუ პოლონეთში აწყობილი შვეულმფრენები არაბების მოწონებას დაიმსახურებს, კიდევ 12 ცალს შეიძენენ.



იტალიურმა არმიამ ამერიკული წარმოების RQ-7 Shadow 200-ის ტიპის 4 უპილოტო თვითმფრინავი შეიძინა და ეს 51 მილიონი დოლარი დაუჯდა. თავად უპილოტოებს ამერიკული კომპანია აწარმოებს, მაგრამ იტალიაში გამოშვებული მაკომპლექტებელი დეტალების გამოყენებით.

ბრაზილიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კომპანია „ემბრაერის“ 28 ერთეული პერსპექტიული მფრინავი ტანკერ KC-390-ის შესყიდვაზე. დოკუმენტის თანახმად, პირველ თვითმფრინავს სამხედროები 2016 წელს მიიღებენ.

*თემურ პულუზაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვი ოკუპირებული აფხაზეთის წყლებს ეპატრონება




წყალქვეშა ფრთებიანი საზღვაო კატარღა Гермес-ი

26-27 ივლისს სოხუმის ყურესა და სოფელ ქვედა ეშერის სანაპირო ზოლში პირველად ჩატარდა რუსეთ-აფხაზეთის ერთობლივი საზღვაო სწავლება „შავი ზღვის უსაფრთხოება 2010", საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო საპატრულო კატარღების, შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო ხომალდისა და ე.წ. აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სანაპირო დაცვის ძალების მონაწილეობით.

სწავლებისათვის გამოიყო 300 სამხედრო, ჯავშანტექნიკის 10 ერთეული, თითო-თითო აფხაზური და რუსული შვეულმფრენი, შავი ზღვის ფლოტის კორვეტი „სუზდალეცი", 2 რუსული და 1 აფხაზური საპატრულო კატარღა, მობილური რადიოლოკაციური კომპლექსი Зверобой და სხვ.

საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ იური ზვირიკის ხელმძღვანელობით სწავლებაში მონაწილე ძალებმა ლეგენდის მიხედვით სოხუმის ყურეში ტერორისტების გემით შემოღწევა არ დაუშვეს და იქ მდებარე ნავთობბაზის დაკავება თავიდან აიცილეს.

სწავლების ლეგენდის ტერორისტებთან ბრძოლის პოპულარულ თემასთან დაკავშირების მიუხედავად, ამის უკან სულ სხვა მიზნები და ამოცანები იკითხება.

რუსეთი რეგიონში განაგრძობს ძალის დემონსტრირებისა და სამხედრო მუქარის პოლიტიკას, რომლითაც მოსკოვი კავკასიაში შექმნილ ე.წ. ახალ რეალიებთან საქართველოს შეგუებას ცდილობს.

ამავე მიზნებს ემსახურება პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის ბრძანება, როცა 2009 წლის სექტემბერში ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის სანაპირო დაცვის სასაზღვრო-საპატრულო კატარღების დივიზიონის ჩამოყალიბება მოითხოვა. მაშინვე ითქვა, რომ დივიზიონი უახლესი წარმოების 10 რუსული სასაზღვრო-საპატრულო კატარღით დაკომპლექტდებოდა.

გასული წლის 11 დეკემბერს დივიზიონმა პირველი ორი კატარღა — №205 (პროექტი 12200 Соболь-ი) და №609 (პროექტი 12150 Мангуст-ი) მიიღო, ხოლო მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს „სობოლი" №206 და „მანგუსტი" №608 დაიმატა. ამ ზაფხულს დივიზიონი „მანგუსტი" №610-ით შეივსო და წლის ბოლომდე კიდევ ხუთი კატარღის შემოყვანას აპირებენ.

ცნობილია, რომ სანქტ-პეტერბურგის გემთსაშენმა ფირმა Алмаз-მა მიმდინარე წლის პროგრამის შესაბამისად ივლისში „სობოლი" №208, №209 და №210 წყალში ჩაუშვა. რიბინსკის წყალსაცავზე კი ადგილობრივ გემთსაშენ ქარხანაში აგებული „მანგუსტის" პროექტის საპატრულო კატარღა №611 გამოცდას გადის.

საქარხნო გამოცდას, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვაში გადმოყვანასა და ეკიპაჟების მომზადებას დაახლოებით 3-4 თვე სჭირდება.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ საოკუპაციო ჯარების ოჩამჩირის სასაზღვრო-საპატრულო კატარღების დივიზიონი მცურავი საშუალებებით სრულად შეივსება. დივიზიონის სავარაუდო შემადგენლობა შეიძლება ასე გამოიყურებოდეს: 6 „სობოლი" (№205, 206, 207, 208, 209, 210) და 4 „მანგუსტი" (№608, 609, 610, 611).




ოჩამჩირის პორტი: თურქული კომპანიის ქვანახშირის ჩასატვირთი ესტაკადა და მის წინ მოდრეიფე რუსული „მანგუსტი"



2009 წლის 11 დეკემბერი: რუსული კატარღების შესვლა ოჩამჩირის პორტში და რეიდზე თურქული კონტეინერმზიდი მოჩანს

ათივე თანამედროვე კატარღა უახლესი შეიარაღებითა და სანავიგაციო აპარატურით არის აღჭურვილი, მაგრამ რუსებს ეს არ აკმაყოფილებს და საქართველოს სანაპირო წყლების აფხაზეთის მონაკვეთში რეგულარული პატრულირებისათვის შავი ზღვის ფლოტის ხომალდებსაც გზავნიან.

ივნისის ბოლო რიცხვებიდან აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ კურსირებს სევასტოპოლის 68-ე საწყალოსნო რაიონის დამცავი ხომალდების ბრიგადის მე-400 წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ხომალდების დივიზიონის კორვეტი „სუზდალეცი“, რომელმაც ამ მისიაზე ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზის 184-ე საწყალოსნო რაიონის დამცავი ხომალდების ბრიგადის 181-ე წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ხომალდების დივიზიონის კორვეტი „ეისკი“ შეცვალა.

„სუზდალეცის“ პატრულირება დაახლოებით 40-50 დღე გაგრძელდება, აგვისტოში მას მე-400 დივიზიონის კორვეტი „მურომეცი“ შეცვლის.

პატრულირებისას ხომალდები დროდადრო ახალი ათონის, სოხუმისა თუ ოჩამჩირის რეიდებზე ჩერდებიან და რუსეთის ინტერესების დემონსტრირებას ახდენენ.

ოკუპირებული აფხაზეთის სანაპირო წყლებში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ყოფნას პოლიტიკურ მიზნებთან ერთად სეპარატისტული ხელისუფლების უკანონო საზღვაო კავშირების დაცვა აქვს დავალებული.

არსებობს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ცირკულარი №3043, რომელიც ორგანიზაციის წევრ 168 სახელმწიფოს გაეგზავნა და რომლის თანახმადაც, 3 აპრილის 23:59 საათიდან საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში ცურვა ოფიციალურ თბილისთან შეუთანხმებლად აკრძალულია. ამ მოთხოვნებს, სამწუხაროდ, ჩვენი მეგობარი თურქეთის კერძო კომპანიების სავაჭრო გემები არ ემორჩილებიან. განვლილ წლებში აფხაზეთის წყლებში უკანონო ნაოსნობისათვის საქართველოს სანაპირო დაცვამ თურქეთის დროშით მოცურავე არაერთი გემი დააკავა. იმ დროს, როცა სოხუმს თურქეთთან სახმელეთო-საჰაერო კავშირი არ გააჩნია, მთელი ტვირთბრუნვა მხოლოდ საზღვაო გზებით ხდება.

2008 წელს სოხუმის რეჟიმის იმპორტმა 6 მილიარდ 206 მილიონი რუბლი, ანუ დაახლოებით 210 მილიონი დოლარი, ხოლო ექსპორტმა კი 889 მილიონ 900 ათასი რუბლი, ანუ დაახლოებით 30 მილიონი დოლარი შეადგინა. მთელი ექსპორტ-იმპორტის 80% თურქეთზე მოდიოდა.

საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით აფხაზეთის პორტებში სავაჭრო საქონელთან ერთად თურქეთიდან სამრეწველო ნაწარმიც შედის. ტყვარჩელის რაიონში ქვანახშირის მომპოვებელი აგრეგატები, ოჩამჩირის პორტში ქვანახშირის დამტვირთავი ესტაკადა, მდინარე ღალიძგაზე წყლის გამსუფთავებელი მოწყობილობები, 40-მეტრიანი ხიდის ელემენტები და ბევრი სხვა რამ თურქული გემებით არის შეტანილი. უკანა გზაზე კი გემები ოჩამჩირიდან ათასობით ტონა ქვანახშირსა თუ შავი ლითონის ჯართს ეზიდებიან.

აპრილში სოხუმში თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ კავკასიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჩავიდა.

სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო უწყების პირველ პირთან, მაქსიმ ღვინჯილიასთან მოლაპარაკების დროს პირდაპირი საზღვაო მიმოსვლის აღდგენის საჭიროებაზე ისაუბრეს.

თურქეთთან სატვირთო მიმოსვლა, ასე თუ ისე, გამართულია და სოხუმის ხელისუფლება ახლა პირდაპირი სამგზავრო ხაზის ამოქმედებისათვის ძალას არ იშურებს. თურქეთში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირებისათვის სა[illegible]ლოში დასაბრუნებლად ბევრად მოსახერხებელია. 30 მაისს სოხუმში თურქეთიდან რეპატრირებული აფხაზების სამგზავრო გემ Abrek-ზე ტურისტული სეზონის გახსნის დღესასწაულზე თურქეთთან სამგზავრო ხაზის გახსნის საჭიროება კიდევ ერთხელ აღინიშნა.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა რუსეთის კავკასიის სანაპიროს პორტებთან, სადაც რეგულარული თუ სეზონური საზღვაო მიმოსვლის აღდგენას ცდა არ აკლია. მგზავრების სიმცირისა და აფხაზეთის ინფრასტრუქტურის დაბალი დონის გამო ასეთ ხაზებს გემთმფლობელებისათვის მოგება არ მოაქვს და სწრაფად იხურება.

2003 წლის ზაფხულში ბოლივიის დროშით მოცურავე Vega-1-მა სოჭის სოხუმთან დაკავშირებას შეეცადა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების პროტესტის შემდეგ მიმოსვლა მალევე შეწყდა.

2004 წლის ზაფხულში ხაზის გამოცოცხლება სოჭის პორტის თბომავლებმა Акация-მ და Платан-მა სცადეს. 2004 წლის 11 აგვისტოს აფხაზური „გრიფების“ დაცვით, სოჭიდან სოხუმისაკენ რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა ჟირინოვსკიმ ჟურნალისტებთან ერთად „აკაციით“ იმგზავრა, მაგრამ მგზავრების მისაზიდად ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი.

2009 წელს სოჭი-გაგრის ხაზზე Olympia Line-ს წყალქვეშა ფრთებიანი თბომავალი Гермес-ი გამოჩნდა, მაგრამ 189-ადგილიანი თბომავლით მგზავრობის მსურველთა სიმცირის გამო ხაზი მალე დაიხურა.

წელს მორიგი ექსპერიმენტი კომპანია Логгер-მა ჩაატარა. 21 ივლისს კომპანიის 140-ადგილიანმა სამგზავრო თბომავალმა Ирбис-მა საცდელი რეისი შეასრულა შემდეგი მარშრუტით: ტუაფსე-ლაზარევსკოე-დაგომისი-სოჭი-ადლერი-გაგრა.

ტუაფსიდან გაგრამდე 7-საათიანი მგზავრობის სურვილი მხოლოდ 67-მა მგზავრმა გამოთქვა. მიუხედავად ამისა, კომპანია 1-ელი აგვისტოდან რეისებისათვის რეგულარული ხასიათის მიცემას აპირებდა. ასევე გადაწყვეტილი იყო სოჭიდან აფხაზეთისაკენ წყალქვეშა ფრთებიანი თბომავლის გამოყენება.

აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას წელს ტურისტული სეზონი ჩაუვარდა, რაც სამგზავრო ხაზების ამოქმედებისათვის განცდილ მორიგ მარცხსაც ნიშნავს.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართველი მფრინავები ავღანეთის ცაში

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო კონტინგენტი კარგა ხანია სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში ავღანეთში სამხედრო მისიით იმყოფება. შორეულ ავღანეთში თავიანთ მოვალეობას არა მხოლოდ ქართველი სამხედროები ასრულებენ. უკვე მესამე წელია ავღანეთის ცაში შვეულმფრენებზე ქართველი სამოქალაქო მფრინავები დაფრინავენ. ჩვენი ჟურნალის სტუმრები არიან ქართული სამოქალაქო ავიაკომპანია „თუშეთის" მფრინავები:

**— როგორ მოხვდნენ ქართველი მფრინავები ავღანეთში და რამდენი ხანია, რაც ისინი ამ ქვეყანაში თავიანთ მისიას ასრულებენ?**

**ბესო მაისურაძე, ეკიპაჟის მეთაური:** — ავღანეთში მესამე წელია, 2008 წლის მარტიდან დავფრინავთ. ამერიკული საშვეულმფრენო კომპანია „დაიკორპი" ავღანეთის ტერიტორიაზე ფრენებს ასრულებს. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა და მას შემდეგ ქართული საშვეულმფრენო ავიაკომპანია „თუშეთის" თანამშრომლები იქ იმყოფებიან. ჩვენი ავიაკომპანიის კუთვნილი შვეულმფრენებით დავფრინავთ, Ми-8МТВ-1-ის ტიპის ორ შვეულმფრენს ვიყენებთ. ბაზირების ადგილი ქაბულის აეროპორტია. ჩვენი თანამშრომლები მის ტერიტორიაზე, კოტეჯებში ცხოვრობენ. ძალიან კარგი საცხოვრებელი პირობებია, ყველას ცალ-ცალკე ოთახი გვაქვს. ჩვენ და ამერიკელი სამხედროები ერთნაირ პირობებში ვცხოვრობთ და საერთო სასადილოშიც დავდივართ. აეროპორტის ტერიტორიაზე ცხოვრებისთვის ყველა პირობაა შექმნილი, ამიტომაც უმეტესწილად ბაზაში ვართ და ქალაქში იშვიათად გავდივართ.

**— რა სახის დავალებების შესრულება გიწევთ?**

— ჩვენ, როგორც სამოქალაქო მფრინავებს, მხოლოდ სამოქალაქო სახის დავალებები გვაკისრია. ავღანეთში მივლენილი ორი შვეულმფრენიდან ერთი ქაბულში ამერიკის საელჩოზეა მიწერილი და საჭიროების შემთხვევაში მისი თანამშრომლები სხვადასხვა ბაზაში გადაგვყავს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამერიკელი სამხედრო მაღალჩინოსნებიც გვიტარებია. სამხედროებიც გადაგვყავს, ოღონდ ერთი პუნქტიდან მეორეში. სამხედრო ოპერაციებში ან დესანტის გადასხმაში ჩვენ არ ვმონაწილეობთ. ჰუმანიტარულ ოპერაციებშიც მიგვიღია მონაწილეობა და ქაბულიდან ქვეყნის სხვადასხვა რაიონში შვეულმფრენებით ჰუმანიტარული ტვირთი ჩაგვიტანია. სხვადასხვა სახის ტვირთიც გადაგვაქვს, მაგალითად, კავშირგაბმულობის ანტენები. Ми-8МТВ-1-ის ტიპის შვეულმფრენს სასარგებლო

„თუშეთის" პილოტების გადაღებულ ფოტოზე სწორედ ის ამინის სასახლეა ასახული, რომელიც 1979 წლის 27 დეკემბრის ღამეს საბჭოთა სპეცდანიშნულების ჯგუფებმა იერიშით აიღეს. იმ დღიდან ავღანეთის თითქმის ათწლიანი საბჭოთა ოკუპაცია დაიწყო






ქართულდროშიანი შვეულმფრენი ავღანეთის მთებში

დატვირთვის სახით 4000 კგ-ის გადატანა შეუძლია, მაგრამ ჩვენ მაქსიმალური დატვირთვით არ დავფრინავთ. მოგეხსენებათ შვეულმფრენის საფრენოსნო შესაძლებლობები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტემპერატურაზე. ასაფრენი წონისა და ტემპერატურის ლიმიტებში ჩვენ ყოველთვის ვჯდებით. შვეულმფრენის სატვირთო-სატრანსპორტო ნაკვეთურში ჩატვირთული კავშირგაბმულობის ანტენები დაშლილი გადაგვაქვს. ფრენის მარშრუტები წინასწარ იგეგმება, ერთ კვირით ადრე. ასე რომ, წინასწარგანსაზღვრულ რეისებს ვასრულებთ.

ყოფილ შემთხვევა, სარისკო დავალებებზეც გავფრენილვართ. მიზანი ნარკოტიკებთან ბრძოლაა — ჩვენ ჰაერიდან ყაყაჩოების პლანტაციების ვეძებთ და ვუთვალთვალებთ. ამ დროს ბორტზე ამერიკელი სპეციალისტები არიან, ყაყაჩოს პლანტაციების ადგილმდებარეობას ინიშნავენ. ჩვეულებრივ რეისებში კი ბორტზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ორი ამერიკელი სამხედროა.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხან აქ, ხან იქ, აფეთქებები და თალიბებთან შეტაკება ხდება. ჰელმანდის პროვინციაში ყველაზე დაძაბული ვითარებაა და ამიტომაც ამ რეგიონში ფრენისას ერთი „იროკეზი" მოგვყვება ხოლმე. მიწიდან ცეცხლის გახსნის შემთხვევაში ის ვერაფრით დაგვეხმარება, მაგრამ მის ბორტზე შეიარაღებული პირები არიან და ავარიული დაჯდომის შემთხვევაში დაგვიცავენ და ევაკუაციას გაგვიკეთებენ. თუ პირველად გვიწევს რომელიმე ახალგახსნილ სამხედრო ბაზაში ჩაფრენა, წინ ამერიკელების შვეულმფრენი მიფრინავს, რომელიც სივრცეს ზვერავს.

**— ავღანეთი მთაგორიანი ქვეყანაა და იქ საკმაოდ რთული კლიმატური პირობებია. რამდენად ძნელია ასეთ პირობებში ფრენა და თუ გამოგადგათ საქართველოს მთიან რელიეფში ფრენის გამოცდილება?**

**ნუგზარ მიქიაშვილი,** ეკიპაჟის **მეთაური:** — საქართველოსა და ავღანეთის მთების ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება. რა თქმა უნდა, საქართველოში შეძენილი ფრენის გამოცდილება შეუფასებელია და უამისოდ ნამდვილად გაგვიჭირდებოდა. ავღანეთშიი სხვანაირი მთებია, სიმაღლეები ძალზე მკვეთრად იცვლება და ამიტომაც იქ ფრენას თავისებურებები აქვს. სირთულეს, რა თქმა უნდა, კლიმატური პირობების ქმნის. ავღანეთში ძალზე ცვალებადი ამინდია, ხშირია ქვიშის ქარიშხლები და ფრენა შეუძლებელია. ყოფილა შემთხვევა, ფრენისთვის კარგი ამინდი ყოფილა და უეცრად კი ქვიშის ქარიშხალი ამოვარდნილა. თუ შესაძლებელია, მას გვერდს ვუქცევთ, თუ არა და, გარისკვას დაჯდომას ვამჯობინებთ და ფრენას ქარიშხლის ჩადგომის შემდეგ ვაგრძელებთ. არანაკლებ სირთულეს მაღლი სიცხე გვიქმნის, მაგრამ ჩვენი შვეულმფრენები დაკისრებულ ამოცანას მაინც კარგადართმევენ თავს. მათ სპეციალურად მაღალმთიან რაიონებში საფრენად შექმნილი TB3-117BM-ის ტიპის ძრავები აქვს. ამერიკელების შვეულმფრენებს ვაკვირდებით. მიფრინავს „იროკეზი" და ნათლად ხედავ, რომ კლიმატური პირობების გამო უჭირს ფრენა. როგორც წესი, რელიეფიდან 800-1000 მ სიმაღლეზე დავფრინავთ, ზღვის დონიდან 3000-4000 მ-ზე. საბედნიეროდ, შვეულმფრენებს ჩვენთვის არასდროს უღალატია, სერიოზული ტექნიკური მტყუნება არ გვქონია და იმედია, არც მომავალში გვექნება. შვეულმფრენის ტექნიკურ ექსპლუატაციას ჩვენი ავიაკომპანიის ტექნიკოსები უზრუნველყოფენ.

სიცხის გამო ქაბულის დროით დილის 4-5 საათზე ვდგებით და 6-7-ზე უკვე ჰაერში ვართ. იშვიათად, შუადღის

ფრენებს შორის „თუშეთის" მფრინავები და ტექნიკოსები ბატკნის მწვადებისთვისაც იცლიან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-2 საათის მერე ფრენა იყოს. ქაბულში 12 საათამდე +37 გრადუსია, შუადღის ტემპერატურა +40-45 გრადუსამდე ადის. ყუნდუზში ტემპერატურა 50 გრადუსამდეც ადის ხოლმე. ოდნავ დაბალი ტემპერატურაა ჯალალაბადში, მაგრამ სამაგიეროდ ძალზე მაღალი ტენიანობაა და ეს უფრო ცუდია. ავღანეთში ზაფხული და ზამთარი — ორი, ერთმანეთის საპირისპირო უკიდურესობაა. ზამთარში თოვლი მოდის და საკმაოდ ცივა კიდეც. ფრენის სიმაღლეები დიდია, ტემპერატურა — დაბალი. შვეულმფრენს კი შემოყინვის ეშინია.

**— თუ გაუხსნიათ თქვენი შვეულმფრენებისთვის ცეცხლი?**

— იშვიათად. ერთ-ერთი ფრენისას შვეულმფრენს ტყვია სატვირთო-სატრანსპორტო ნაკვეთურის იატაკში არსებული ლიუკის გვერდზე მოხვდა, იატაკში გაიარა და ფიუზელაჟის ზედა მხრიდან გამოვიდა. საბედნიეროდ, შვეულმფრენის სისტემები არ დაუზიანებია და ფრენა გავაგრძელე. ჩვენ სამოქალაქო შვეულმფრენები გვყავს და ამიტომაც თავდაცვის საშუალებებად არც სითბური ხაფანგები გვაქვს და არც ჯავშანი. ჩვენი დაცვის ერთადერთი საშუალება ჯავშანჟილეტებია.

**გენადი დაბათაშვილი,** ეკიპაჟის მეთაური: — ჯალალაბადიდან მოვფრინავდით, როდესაც მიწიდან გახსნილმა ცეცხლმა შვეულმფრენს აკუმულატორები დაუზიანა. იძულებული გავხდით, დავმჯდარიყავით. ამერიკელები ჩვენს დასახმარებლად რამდენიმე წუთში მოვიდნენ. ჰაერში მათი ავიაცია დაფრინავდა და გვაზღვევდა, ხმელეთზე კი საევაკუაციო ჯგუფი გადმოვიდა. ამ მხრივ ამერიკელებს ყველაფერი მაღალ ფონეზე აქვთ. დაზიანებული შვეულმფრენი ადგილზევე შეკეთდა და ბაზაში თავისი სვლით დაბრუნდა.

**— რამდენ ხანში ხდება ავიაკომპანიის პირადი შემადგენლობის როტაცია და კიდევ რამდენ ხანს მოგიწევთ ავღანეთში ყოფნა?**

**ბესო მაისურაძე:** — ჩვენ ყოველ სამ თვეში ერთხელ, ტექნიკური და საფრენოსნო შემადგენლობის სრული ჩანაცვლება კი არ ხდება. ხალხის შეცვლა თვითონ ჯგუფის შემადგენლობაში ხდება. ერთ ბორტზე ერთდროულად ორივე მფრინავიც კი არ იცვლება. ახლანდელი კონტაქტის ვადა წელს, ნოემბერში იწურება, მაგრამ ვფიქრობთ, კონტრაქტი გაგრძელდება.

*ესაუბრა*
*თემურ პულუზაშვილი*

# ტანკები ოჩამჩირესთან




## ოჩამჩირის 24-ე მოტომსროლელი ბრიგადა

1992-93 წლების ომში აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმის აღება რამდენჯერმე სცადეს და თითოეული იერიშის დროს ცხადი შეიქნა, რომ ქალაქის შესანარჩუნებლად მხოლოდ დამცველთა თავდადება საკმარისი არ იყო.

ბევრი რამ საბრძოლო საშუალებებით დროულ მომარაგებასა და რეზერვებით დახმარებაზე იყო დამოკიდებული, რასაც მნიშვნელოვანწილად ოჩამჩირის რაიონში გამავალი საგზაო-სარკინიგზო ხაზების გამართული მუშაობა განსაზღვრავდა.

ომის პირველ თვეებში ოჩამჩირის რაიონში მოქმედი ქართული ფორმირებები ძირითადად მოწინააღმდეგის მოთარეშე თავდასხმებს იგერიებდნენ. სეპარატისტთა ორგანიზებული წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად, საჭირო გახდა სანაპირო ზოლის დაცვა, განსაკუთრებული ყურადღება რაიონის ტერიტორიაზე გამავალმა სატრანსპორტო კომუნიკაციებმა მოითხოვა.

1992 წლის ნოემბერში დაიწყო და დეკემბრის დასაწყისში დასრულდა ოჩამჩირის 24-ე მოტომსროლელი ბრიგადის ჩამოყალიბება. მეთაურად პოლკოვნიკი გია ვაშაკიძე დაინიშნა, ხოლო შტაბს სათავეში პოლკოვნიკი ივორდავა ჩაუდგა.

ბრიგადის შემადგენლობაში შევიდა: 240-ე, 241-ე, 242-ე, 243-ე მერკულის, 244-ე, 245-ე სამურზაყანოს, 246-ე მოტომსროლელი ბატალიონები, 247-ე საარტილერიო და 250-ე საზენიტო საარტილერიო დივიზიონები, აგრეთვე კავშირის, სადაზვერვო, საინჟინრო და სხვა ქვედანაყოფები.

ბრიგადის ოპერატიულ დაქვემდებარებაში დროდადრო ზუგდიდელ მოხალისეთა ბატალიონი „ოდიში" და თბილისელ მოხალისეთა ბატალიონი „თბილისელი" იყო.

ოჩამჩირის რაიონში მტერს 24-ე ბრიგადასთან ერთად საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული ბევრი სხვადასხვა ფორმირება ებრძოდა და ზოგიერთს თავისი ჯავშანტექნიკა ჰყავდა.

სამოქმედო რაიონიდან გასვლისას ზოგიერთი ფორმირება მიზეზთა გამო ჯავშანტექნიკის გატანას ვერ ახერხებდა და 24-ე ბრიგადას გადასცემდა.

1992 წლის შემოდგომაზე ბრიგადამ პირველი ორი ტანკი ქუთაისის ბატალიონისაგან მიიღო და შემდგომში ტანკების რაოდენობა განუწყვეტლივ მატულობდა.

რაკი ტანკების მასობრივად გამოსაყენებლად სამიზნეები არ არსებობდა, ტანკები ბრიგადის ბატალიონებზე გადანაწილდა, რითაც ქვედანაყოფთა საცეცხლე შესაძლებლობები გაიზარდა და ჯავშანტექნიკის გამოყენების ოპერატიულობამ მოიმატა.

ბატალიონებში ტანკების განსხვავებული რაოდენობა იყო. მაგალითად, 241-ე ბატალიონს 4 ტანკი, 243-ს — 8, 245-ს კი 1 ტანკი ჰყავდა და ა.შ. ტანკების რიცხოვნობა ხშირად იცვლებოდა.

ტანკები, ძირითადად, ორ დანიშნულებას ასრულებდა: სახმელეთო ქვედანაყოფების საცეცხლე მხარდაჭერას უზრუნველყოფდა და სატრანსპორტო საშუალების მოვალეობას (ქვეითების გადაყვანა, დაზიანებული ტექნიკის ბუქსირება) ასრულებდა.

მიუხედავად ამისა, ტანკების დიდი ნაწილი მაინც უფუნქციოდ იყო და დამატებით ტექნიკურ თუ სხვა სირთულეებს ქმნიდა.

ბრიგადის სარდლობის გადაწყვეტილებით, ტანკების ეფექტურობის

ასამაღლებლად 1993 წლის მაისში მდინარე ღალიძგის სანაპიროსთან მომზადდა დახურული პოზიციები, სადაც 6 ტანკი განლაგდა.

ერთმანეთისაგან 20-25 მეტრით დაშორებული ტანკები ბესლახუბასთან მოწინააღმდეგის პოზიციებს პერიოდულად, რამდენიმე დღე ბომბავდა და აქტიურ მოქმედებათა საშუალებას არ აძლევდა.

აფხაზებს ჯავშანტექნიკის ნაკლებობა რუსებმა ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით შეუვსეს. 1993 წლის გაზაფხულიდან, განსაკუთრებით — ტყვარჩელში, „ჰუმანიტარული დახმარების" შეტანის შემდეგ მოწინააღმდეგის ხელში უამრავი ხელის ტანკსაწინააღმდეგო РПГ-7-ები და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი „ფაგოტები" აღმოჩნდა.

ტამიშის რაიონში სხვადასხვა დროს „ფაგოტებით" 3 ტანკი დაზიანდა. პირველ ტანკს „ფაგოტმა" ლულა გაუხვრიტა, მეორეს ძრავა დაუზიანა, ხოლო მესამეს კი კოშკურისა და კორპუსის შეხების ადგილზე მოხვდა და კოშკურა კორპუსთან მიადუღა.

ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები სეპარატისტებს იმდენად ბევრი ჰქონდათ, რომ ბრიგადის არტილერიასთან საბრძოლველადაც იყენებდნენ.

ჟვლისში სოფელ ოხურეის ახლოს „ფაგოტებით" 247-ე საარტილერიო დივიზიონის სამი Д-44 დაზიანდა, ერთ-ერთს რაკეტა ლულაში მოხვდა, მაგრამ სარემონტო ოცეულმა საველე პირობებში ორი ქვემეხის გამართვა-აღდგენა მაინც მოახერხა.

რუსების ახალციხის მე-10 დივიზიისაგან მიღებული და აფხაზეთში გაგზავნილი ტანკების ერთი ნაწილის რესურსები ილეოდა, ხოლო მეორეს კი ამოწურული ჰქონდა. ამას ემატებოდა სატანკო ეკიპაჟების მოუმზადებლობა და არასწორი ექსპლუატაცია, რაც ხშირად ტანკების მწყობრიდან გამოსვლას იწვევდა.

დაზიანებული ტექნიკის სარემონტოდ ტანკისტები ხშირად მიმართავდნენ ოჩამჩირის „სოფლტექნიკის" ბაზას, რომლის უფროსი დიმა ფრანგულიდი იყო. როგორც კი ბაზის ტანკების შესაკეთებელ საწარმოდ გადაკეთება გადაწყდა, ფრანგულიდმა სამხედროებთან საქმის დაჭერას თავი აარიდა და ჯავშანტექნიკის სარემონტოს სათავეში ოჩამჩირელები ემზარ არახამია და ნუგზარ ქირია ჩაუდგნენ.

სამუშაოს დიდი მოცულობის გამო „სოფლტექნიკის" ბაზაზე მალე ჩამოყალიბდა ჯავშანტექნიკის ცალკეული სარემონტო ასეული, რომლის მოვალეობა იყო ოჩამჩირის რაიონში მოქმედი ყველა შეიარაღებული ფორმირების ჯავშანტექნიკის შეკეთება-გარემონტება.

ასეულის ტექნიკური შესაძლებლობები БТС-4 ტიპის მრავალმხრივი დანიშნულების დაჯავშნულმა გამწევმ ბევრად გაზარდა.

თბილისიდან გაგზავნილი 2 გამწე სოხუმის 23-ე ბრიგადისათვის იყო განკუთვნილი და ერთ-ერთის დასატოვებლად ოჩამჩირეში რკინიგზის ეშელონის შესაჩერებლად საგანგებო ღონისძიებებიც კი გატარდა.

ბრიგადაში ტრისტან ლეჟავას ხელმძღვანელობით ტანკისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ჯგუფი ჩამოყალიბდა, მებრძოლები თეორიულ მომზადებასთან ერთად ჯავშანტექნიკის ტარებასა და სროლაში ვარჯიშობდნენ.

**24-ე ბრიგადის ცალკეული სარემონტო ასეულის მეთაურის მოადგილე კაპიტანი ნუგზარ ქირია:** „მოწინააღმდეგემ ბრიგადისა და სხვა ფორმირებათა დაახლოებით 20-მდე ტანკი დაგვიზიანა, ძირითადად, ტანკსაწინააღმდეგო ქარხნული თუ თვითნაკეთი ნაღმებით.



ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი

1993 წლის მარტში ტანკები №412 და №202 ტამიში-კუტოლის გზაზე მიდიოდნენ, როცა №202 მოულოდნელად ნაღმზე აფეთქდა. დაზიანებული ტანკის გამოსაყვანად დაჯავშნული გამწე №28 (ეკიპაჟი: სლავა ჩიჩუა, ზურაბ ხეცურიანი, იური შენგელია, მურმან გოგუა, ნუგზარ ქირია, ემზარ არახამია) გაიგზავნა. შემთხვევის ადგილზე მისვლამდე 400 მეტრში გამწე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა.

იქვე მოწინააღმდეგის პოზიციებს მეორე ტანკი №412 ამუშავებდა და ერთ-ერთი მანევრის დროს ისიც ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა.

გამწის ეკიპაჟიდან იური შენგელია ოჩამჩირეში გავგზავნეთ, ხოლო ჩვენ აფეთქებული ტანკების ახლოს გავმაგრდით. საცეცხლე მხარდაჭერას პოზიციებზე მყოფი „ავაზას" ბატალიონიც გვიწევდა.

დასახმარებლად მოსული K-700 მძიმე ტრაქტორით გამწე ოჩამჩირეში გადავიყვანეთ, შევაკეთეთ და ოთხი საათის შემდეგ გარემონტებული გამწით უკან მივბრუნდით.

სამაშველო ოპერაციის დაწყებამდე აფეთქების ადგილები შევამოწმეთ და კიდევ 11 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი ვიპოვეთ. ყველა ასფალტქვეშ იყო დაყენებული, ღრმული გაკეთებული ჰქონდა გზის პირიდან, სადაც ჩვეულებრივ ღორღია დაყრილი.

მოგვიანებით გავიგეთ თურმე წინაღამეს გზაზე ვიღაცები ფარნებით დადიოდნენ და, ალბათ, მაშინ დანაღმეს იქაურობა.

ორივე ტანკი ბაზაში გადავიყვანეთ, რამდენიმე საათში შევაკეთეთ და გარემონტებული ტექნიკა ისევ პოზიციებს დაუბრუნდა.

იმ ღამეს ლაბრა-ტამიში-ბესლახუბის რაიონიდან კიდევ 3 ტანკი და 1 ქვეითთა საბრძოლო მანქანა გავიყვანეთ.

ორივე ტანკს გადაბმულობის ქუროები ჰქონდა დაზიანებული, ხოლო მესამე კი ნაღმზე იყო აფეთქებული.

საბრძოლო მანქანა ძრავაში მოხვედრილმა ტყვიამ დააზიანა, მინდორში გაჩერებულს აფხაზებმა გვერდით კოცონი დაუნთეს, რომ ევაკუაციის დაწყებისათვის ხელი შეეშალათ. გამწის ეკიპაჟს თითქმის 50-60 მეტრის ხოხვით გულამ

მრავალმხრივი დანიშნულების დაჯავშნული გამწე БТС-4



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუწია, რომ მძიმე გვარლი დაზიანებული საბრძოლო მანქანისათვის ჩაება და ბუქსირით სამშვიდობოზე გამოეყვანა.

ომის პირველ თვეებში სეპარატისტები ჩვენს ჯავშანტექნიკას გაზის ბალონებისაგან დამზადებული თვითნაკეთი ნაღმებით ებრძოდნენ. ინაღმებოდა გზები და ხიდები. გზებზე აფეთქების რამდენიმე შემთხვევა იყო, ხოლო ხიდებზე ჯავშანტექნიკა მხოლოდ შემოწმების შემდეგ იწყებდა მოძრაობას, ამიტომაც ვერ ვიხსენებ აფეთქების შემთხვევებსაც.

ასეულში მაღალი დონის სპეციალისტები გვყავდა. ისინი ჯავშანტექნიკის შეკეთებას არცთუ იშვიათად პირდაპირ ბრძოლის ხაზზე ახერხებდნენ.

ერთხელ ბრიგადის შტაბიდან დაგვირეკეს და სოფელ ცაგერასთან მწყობრიდან გამოსული ტანკების შეკეთება დაგვავალეს. მამა-შვილი ოლეგ და მურმან მუმლაძეები საუკეთესო ელექტრიკოსები იყვნენ და დაზიანებული ტანკები რამდენიმე საათში საბრძოლო მწყობრში ჩააყენეს.

ასეული ჯავშანტექნიკის რემონტთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ტრაქტორებითაც ეხმარებოდა“.

გუმისთისაგან განსხვავებით, ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონებში ფრონტის ერთიანი ხაზი არ არსებობდა. იყო აფხაზთა ცალკეული გამაგრებულ-დაცული რაიონი (ქალაქი ტყვარჩელი, სოფლები ჯგერდა, გვადა, ჭლოუ და სხვ.), — წინააღმდეგობის მთავარი კერები. დაახლოებით 60 კილომეტრი სიგრძის შეხების ხაზის გასწვრივ განლაგებული ბრიგადის ქვედანაყოფები სატრანსპორტო კომუნიკაციების პირა პოზიციებს იცავდნენ და თავდაცვით ოპერაციებს ატარებდნენ.

ამ დროს მოწინააღმდეგე მოქმედების აქტიურ ტაქტიკაზე იყო გადასული და ძალების გადაყვანა-გადაჯგუფებითა და მოულოდნელი დარტყმებით მისთვის ხელსაყრელ დროსა თუ ადგილზე სოხუმი-ოჩამჩირის გზის დაბლოკვას ცდილობდა.

ბრიგადის ტანკების დიდი ნაწილი მაინც უფუნქციოდ იყო დარჩენილი



საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი თითქოს ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის ერთი ნაწილი სეპარატისტებს ქართული ფორმირებების გადაადგილებებისა თუ შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა და ამით მოქმედებას ბევრად უადვილებდა.

რამდენჯერმე დადგა აფხაზთა წინააღმდეგობის მთავარი რაიონების დაკავების საკითხი, მაგრამ ინიციატივა ინიციატივად რჩებოდა...

**24-ე ბრიგადის მეთაურის პირველი მოადგილე, ბრიგადის არტილერიის უფროსი, პოლკოვნიკი ნაური ჯიქია:** „სეპარატისტების გასანადგურებელი ყველა საშუალება გვქონდა და სარდლობას აფხაზთა გამაგრებული რაიონების ასაღებად აქტიური ზომების მიღების წინადადებებით არაერთგზის მივმართე, მაგრამ ოფიციალურ თბილისს ამის პოლიტიკური ნება არ ჰქონდა. ძალები კი ამისათვის საკმარისი იყო. მარტო ოჩამჩირის ბრიგადის განკარგულებაში 18 ერთეული 85 მმ-იანი ქვემეხი Д-44, 12 — 122 მმ-იანი ჰაუბიცა Д-30, 4 — БМ-21 Град-ი, აგრეთვე სხვადასხვა რაოდენობის 85 მმ-იანი და 100 მმ-იანი საზენიტო ქვემეხი იყო. ბრიგადის ჯავშანტექნიკა 20-მდე ტანკს, 15-მდე ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1-ს, 22 მსუბუქად დაჯავშნულ გამწევ МТЛБ-სა და სხვა ტექნიკას ითვლიდა. ამას ემატებოდა მეზობელ გულრიფშის რაიონში მოქმედი 1-ელი საარმიო კორპუსის ქვედანაყოფები. ამ ძალებით ჩვენ ოჩამჩირე-ტყვარჩელის მიმართულებაზე აფხაზებისათვის დარტყმის მიყენება თავისუფლად შეგვეძლო.

ასეთი ოპერაციებით ჩვენს პოზიციებზე თავდასხმების აღკვეთასა და რამდენიმე ათასი მებრძოლის, ჯავშანტექნიკისა თუ არტილერიის ათეულობით ერთეულის სოხუმისათვის გამოთავისუფლებას შევძლებდით.

მე კადრის პროფესიონალი სამხედრო ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი ჯარისკაცი გონიერი და უშიშარია, მაგრამ ამ თვისებათა გამოსავლენად აუცილებელია, მას კარგად მომზადებული მეთაური ჰყავდეს. იყო შემთხვევა, როცა დივიზიონის ბატარეა ერთ-ერთ ბატალიონს მიამაგრე და რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნებულმა არტილერისტებმა მეთაურის შეცვლა მომთხოვეს. საუბრისას გაირკვა, რომ ბრძოლისას მეთაურს უცოდინარობა, ბატარეის ხელმძღვანელობის უუნარობა გამოუჩენია და შეცვლაც ამიტომ მომთხოვეს“.

*თემურ ჩაჩანიძე*

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

# FENNEK






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოლანდიური ტანკები



ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალის უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მსხვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლუხებიანი, დაჯავშნული საშუალების შექმნის საჭიროებამდე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრძოლებში ბრიტანელთა ტანკებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს პირველად შეუტიეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეწონათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს, ხოლო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.

„არსენალში" მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ჟურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, შვეიცარიის, უკრაინის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის ტანკმშენებლობის ისტორია, ამ ნომერში ჰოლანდიელთა მიღწევებზე გიამბობთ...



დაჯავშნული Ehrhardt-ი

ტიტების ქვეყნის არმიამ პირველი ჯავშანავტომობილი 1914 წლის ოქტომბერში მიიღო, როცა ბელგიაში გერმანელთა შემოჭრის შემდეგ დაჯავშნული Minerva M 14 თავის ეკიპაჟიანად მეზობელი — ნეიტრალური ნიდერლანდების სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

„მინერვას" ინტერნირება გაუკეთდა და პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კანონიერ მფლობელს — ბელგიის არმიას უკან დაუბრუნდა.

იმ წლებში, როცა ევროპის მრავალი ქვეყანა ჯავშანტექნიკის წარმოებითა და ჯავშანსატანკო ჯარების შექმნით იყო დაკავებული, ჰოლანდიის მთავრობაში ამაზე არც არავინ ფიქრობდა. ოკეანისგაღმა კოლონიების გამო მეტ ყურადღებას ავიაციასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს უთმობდნენ.

1927 წელს არმიამ „რენოს" ორი მსუბუქი ტანკი FT-17 შეიძინა და ისიც სადემონსტრაციო-სასწავლო დანიშნულებით. ერთ-ერთი სწავლების დროს „რენო" რბილ ნიადაგში ჩაეფლო და ამ



ჰოლანდიის არმიის ტანკეტები Carden Lloyd Mk VIB

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტიტების ქვეყნის ჯავშანტექნიკა

შემთხვევამ ტანკებზე უარყოფითი შეხედულება კიდევ უფრო განამტკიცა.

თუმცა ჯავშანტექნიკის შესაძლებლობათა გამოსაკვლევად ბრიტანეთიდან Vickers-Armstrongs-ის Carden Lloyd Mk VIB ტიპის 5 ტანკეტი მაინც შემოვიდა.

ტანკეტებს საკუთარი სახელები: Poema, Jaguar-ი, Panteri-ი, Luipaard-ი, Lynx-ი ქონდა და სამსახურისათვის გამწვევად საარტილერიო დივიზიონს გადაეცა.

სამამულო პირველი ჯავშნავტომობილი იარაღის მწარმოებელმა ფირმა Siderius-მა შექმნა და ამისათვის ნაალაფარი გერმანული სატვირთო ავტომობილი გამოიყენა.

Ehrhardt-ის (მოდელი E-V/4) ფირმის ავტომობილი ჯერ 6-12 მმ სისქის ჯავშანფურცლებით შეიმოსა, ხოლო 1932 წელს ცილინდრული ფორმის კოშკურა და ტყვიამფრქვევი დაემატა.

„ერჰარდტზე" არჩევანი შემთხვევით არ გაკეთებულა. ავტომობილის ორივე ხიდი წამყვანი იყო, ტვირთამწეობა 3,5 ტონას შეადგენდა და ომის დროს გერმანელები პლატფორმას 65 მმ-იანი საზენიტო ქვემეხების დასაყენებლად იყენებდნენ.

„სიდერიუსის" ჯავშნავტომობილი საიმედო გამოდგა და სამსახური 30-იანი წლების შუა ხანებში დაასრულა. შემდეგ საწყობში ინახებოდა, ვიდრე 1940 წელს გერმანელებმა უკან არ წაიყვანეს.

1931-33 წლებში ჰოლანდიაში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. ქვეყნის ქალაქები არეულობამ, გამოსვლებმა და დემონსტრაციებმა მოიცვა.

ძალადობის შესაჩერებლად პოლიციას დაჯავშნული ავტომობილები დასჭირდა, რისთვისაც ჰაარლემის ავტოსასწავლო ასეულში სატვირთო ორხიდიანი GMC-ის შასიზე რვა ჯავშნავტომობილი აიწყო.

თხელი ჯავშანფურცლებისაგან დამზადებული მარტივი ფორმის კორპუსში ამბრაზურები გამოიჭრა. ერთ-ერთს ნახევარსფეროს ფორმის კოშკურა და ტყვიამფრქვევიც ჰქონდა.

ჯავშნავტომობილებს დაბალი საბრძოლო თვისებები აღმოაჩნდა, ამიტომ ხუთი მათგანი მალე ჩამოიწერა და დარჩენილ სამს კი ჯავშანდაცვა გაუძლიერდა.

1932 წელს ამსტერდამის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში მდებარე ქარხანა Hemburg-ში არტილერიის ყოფილი ოფიცრის ვიინმანის პროექტით Morris-Commerrcial-ის (მოდელი D) ბაზაზე სამი საპოლიციო ჯავშნავტომობილი დამზადდა. სამხიდიანი ავტომობილის უკანა ორივე ხიდი წამყვანი იყო და 7,9 მმ-იანი Lewis-ის ტყვიამფრქვევებს ატარებდა.

საპოლიციო ჯავშნავტომობილებმა 1934 წლის 4 ივლისს მთავრობას არეულობათა ჩახშობასა და წესრიგის დამყარებაში დიდი სამსახური გაუწია.

ჯავშნავტომობილების საჭიროება გაჩნდა კოლონიებშიც, სადაც ანტიჰოლანდიურ გამოსვლებს არცთუ იშვიათად ძალადობაც ახლდა.

1929 წელს ნავთობმომპოვებელმა კომპანია Royal Dutch Shell-მა კუნძულ კიურასაოზე ვენესუელელი ამბოხებულებისაგან თავდასაცავად ავტომობილი და სარკინიგზო დრეზინა ფოლადის ფურცლებით შემოსა.

1933 წელს კოლონიების საქმეთა სამინისტროს შეკვეთით გემთსაშენმა ფირმა Wilton-Fijenoord-მა ოსტინდოეთში (ახლანდელი ინდონეზია) მყოფი ჰოლანდიელი სამხედროებისათვის Krupp L2H43-ის შასიზე 3 ჯავშნავტომობილი დაამზადა. თითოეული კოშკურაში ერთ, ხოლო კორპუსში დაყენებულ ორ ტყვიამფრქვევს ატარებდა.

1934 წელს ორი მათგანი გამოსაცდელად ოსტინდოეთში გაიგზავნა, მაგრამ იქაური გზებისათვის დაჯავშნული „კრუპი" ძალიან მძიმე გამოდგა. სირთულე საავიაციო ბენზინზე მომუშავე ძრავამაც შექმნა, ამიტომ მანქანები უკან, ჰოლანდიაში გაიგზავნა.



DAF-ის ჯავშანავტომობილი M39



Royal Dutch Shell-ის დაჯავშნული ავტომობილი



სადაზვერვო ავტომობილი-ჯიპი YA-126

1935 წლის თებერვალში ორი მათგანი ბრაზილიის მთავრობამ იყიდა და ქალაქ სან-პაულოს პოლიციას გადასცა.

ბრაზილიელთა მოთხოვნით ჯავშანავტომობილებს შეიარაღება მოხსნეს და მისი ადგილი გაზისა და წყლის ნაკადის გამშვებმა ლაფეტებმა დაიკავა. მანამდე Wilton-Fijenoord-მა ბრაზილიას სატვირთო „ფორდის“ შასიზე საპოლიციო ავტობუსი დაუმზადა.

ავტობუსის კორპუსი 4 მმ-იანი ფოლადის ფურცლებისაგან იყო აწყობილი და 22 პოლიციელს იტევდა. შეიარაღებული არ იყო, მაგრამ კორპუსში დატანებული ფანჯრები და ლიუკები პოლიციელებს ტყვიამფრქვევებისა თუ პირადი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საშუალებას აძლევდა.

კოლონიური ქვედანაყოფების გასაძლიერებლად 1937 წელს ჰოლანდიელი სამხედროები ბრიტანეთში მომუშავე უნგრელი ინჟინრის, ნიკოლას შტრაუსერის ჯავშანავტომობილ AC 3A-ით დაინტერესდნენ.

ავტომობილი მაშინ გამოცდას გადიოდა და კარგ გამავლობასთან ერთად საიმედოობაც გამოავლინა.

ჰოლანდიელების შეკვეთით ბრიტანულმა ფირმა Alvis-მა 12 ჯავშანავტომობილი AC 3D დაამზადა და 1937-38 წლებში კუნძულ იავაზე გაგზავნა.

1942 წლის მარტში ჯავშანავტომობილები იაპონელებთან ბრძოლებში მონაწილეობდნენ და უმეტესობა მოწინააღმდეგეს ალაფად დარჩა.

კუნძულიდან გასულმა იაპონელებმა რამდენიმე AC 3D ჰოლანდიელებთან მებრძოლ ინდონეზიელებს დაუტოვეს. ერთმა ჯავშანავტომობილმა კი სამსახური დამოუკიდებელი ინდონეზიის არმიაშიც კი მოასწრო.

1935 წლისათვის ჰოლანდიის არმიის განკარგულებაში სულ 5 ტანკეტი (Carden Lloyd Mk VIB) და 4 ჯავშანავტომობილი (სამი Morris-Commerrcial-ი და ერთი Wilton-Fijenoord-ი) იყო. ეს ტექნიკა იმავე წელს მობილური არტილერიის დივიზიონს გადაეცა.

ჯავშანსატანკო პარკის გასაზრდელად 1936 წელს ჰოლანდიის მთავრობამ შვეციაში 12 მძიმე ჯავშანავტომობილი Landverk 181 (ჰოლანდიური აღნიშვნა M36) იყიდა და ამის საფუძველზე 1-ელი ესკადრონი ჩამოყალიბდა.

მომდევნო პარტია 12 Landverk 182-ისაგან (M38) შედგებოდა და ფორმირების პროცესში მყოფი მე-2 ესკადრონი შეავსო.

შვედური ტექნიკა საკმარისი არ იყო და სამამულო წარმოების განვითარებისათვის ცნობილმა ავტომშენებელმა კომპანია DAF-მა დაიწყო მუშაობა.

კომპანია 1928 წლის აპრილში დაარსდა. მის სახელს უკავშირდება მსუბუქი ამფიბია MC-139 (4X4), დაჯავშნული ავტომობილი M-39 (6X4) და სხვ.

ამ უკანასკნელში DAF-ის სპეციალისტებმა უკანა ხიდისათვის ორიგინალური კონსტრუქცია გამოიყენეს — ღრუ, მოქანავე ბალანსირის პლატფორმას ბოლოებზე გაუკეთდა მორგვები, რომლებზეც თვლები იყო დამაგრებული. თვლების ამოძრავებას ბალანსირის შიგნით მოთავსებული კონუსურკბილანებიანი გადაცემა უზრუნველყოფდა.

კომპონირების მხრივ M-39 ტრადიციულ ხაზს აგრძელებდა, სადაც მძღოლს ჯავშანავტომობილის წინა და ძრავას კი — უკანა ნაწილი ჰქონდა დათმობილი.

შეიარაღება მძღოლის გვერდით მოთავსებული ერთი 20 მმ-იანი ან 37 მმ-იანი ქვემეხისა და 4-5 ტყვიამფრქვევისაგან შედგებოდა.

ომის დაწყებამდე DAF-მა 12 ჯავშანავტომობილის დამზადება მოასწრო და თორმეტივე მე-3 ესკადრონმა მიიღო.

**M39: მასა — 5,8 ტონა, ეკიპაჟი — 5 კაცი, ჯავშანი — 10-12 მმ-იანი, კარბურატორიანი ძრავა — 95-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 75 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 300 კმ, შეიარაღება — Bofors-ის 37 მმ-იანი ქვემეხი და Lewis-ის 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევები;**

1940 წლის 10 მაისს გერმანიის არმია ჰოლანდიაში შეიჭრა და 15-ში ჰოლანდიის არმიამ კაპიტულაცია გამოაცხადა.

ბრძოლებში გერმანელ პარაშუტისტებს მცირე წინააღმდეგობა მე-2 ესკადრონის ჯავშანავტომობილებმა გაუწია.

სადაზვერვო ჯავშანავტომობილი YP-104



ბიბლიოთეკა



ჯავშანტრანსპორტიორი YP-408

სავარაუდოდ, 2-3 მათგანი განადგურდა, ხოლო დანარჩენი ვერმახტს დარჩა.

1949 წლის აპრილში ჰოლანდია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდა და არმიის ჯავშანსატანკო პარკი მთლიანად ამერიკული თუ ბრიტანული წარმოების ტექნიკით იყო დაკომპლექტებული.

სამამულო ჯავშანსატანკო წარმოების აღორძინებასთან ისევ DAF-ი იდგა და ამ მიმართულებით გაკეთებული პირველი ნაბიჯი არმიული საავტომობილო პარკის ნელ-ნელა ჰოლანდიური ავტომობილებით შევსების პროგრამა იყო.

DAF-ის პირველი პროდუქცია იყო 1949 წელს გამოშვებული 3-ტონიანი სამხედრო დანიშნულების უკაპოტო სატვირთო ავტომობილი A30, რომელსაც დაბალბორტებიანი ტენტიანი ძარა ჰქონდა და ასაკეც სკამებზე 16 ჯარისკაცს იტევდა.

1950-52 წლებში DAF-მა პირველი ჰოლანდიური სადაზვერვო ავტომობილი-ჯიპი YA-054 (4X4) შექმნა, მაგრამ სამხედროებმა დაიწუნეს და მაინც ამერიკული Willys M38A1 ამჯობინეს.

მიუხედავად ამისა, მუშაობა გაგრძელდა და მომდევნო 1 ტონა ტვირთამწეობის YA-126-მა (ბორბლების ფორმულა 4X4) ბევრად უკეთესი საექსპლუატაციო მახასიათებლები გამოავლინა.

1952-60 წლებში YA-126 სერიულად მზადდებოდა და არმიაში დაზვერვის, მეკავშირის, ქვეითების გადამყვანი და ქვემეხების გამწევი ავტომობილის დანიშნულებას ასრულებდა.

DAF-ის სპეციალისტებმა ავტომობილის შასი მსუბუქი ჯავშანავტომობილ YP-104-ის დასამზადებლად გამოიყენეს.

მსუბუქი YP-104-ის ეკიპაჟი მეთაურის, მძღოლისა და მეორე მძღოლ-რადისტისაგან (პოსტი კიჩოს ნაწილში იყო მოთავსებული) შედგებოდა და თავდასაცავად ერთ 7,62 მმ-იან ტყვიამფრქვევს ატარებდა.



ქვეითთა საბრძოლო მანქანა YPR-765PRI

YP-104-ი 1962-65 წლებში მცირე რაოდენობით დამზადდა და სადაზვერვო ქვედანაყოფების შეიარაღებაში შევიდა.

1959 წელს DAF-მა ქვეითების გადასაყვანი ჯავშანტრანსპორტიორ YP-408-ის (8X6) საცდელი ნიმუშები წარმოადგინა.

სამწლიანი საგამოცდო ციკლის შემდეგ კონსტრუქციამ სრულყოფილი სახე მიიღო და სერიული დამზადებისათვის წარმოებას გადაეცა.

ოთხხიდიანი ჯავშანტრანსპორტიორის პირველ ხიდზე ტორსიონული და მეორეზე კი ზამბარებიანი დაკიდება არის გამოყენებული. მესამე და მეოთხე ხიდები ბალანსირებზეა დაყენებული და შასიზე ნახევრად ელიფსური რესორებით არის მიმაგრებული.

პირველი, მესამე და მეოთხე ხიდები წამყვანია, ხოლო პირველი და მეორე კი — მართვადი.

ჯავშანტრანსპორტიორს მთლიანად დახურული კორპუსი აქვს, სადაც ძრავა-ტრანსმისია და მართვის ორგანოები წინა ნაწილში მოთავსდა. კორპუსის შუა და კიჩოს ნაწილები სადესანტო განყოფილებას დაეთმო, დესანტის ჩასხდომა-გადმოსხდომა უკანა ნაწილში ორსაგდულიანი კარებით ხდება.

**YP-408:** მასა — 12 ტონა, ეკიპაჟი — 2 კაცი და დესანტი — 10 კაცი, ჯავშანი — 8-16 მმ, დიზელის ძრავა — 123-



მრავალმხრივი გამოყენების მოდულური ჯავშანტრანსპორტიორი Boxer-ი

**ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 80 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 600 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები;**

ჰოლანდიის არმიას 750 სტანდარტული და სხვადასხვა დანიშნულების (ოცმეთაურის, ასეულ-ბატალიონის მეთაურის, სანიტარული, 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნის გამწე და სხვ.) ჯავშანტრანსპორტიორი გადაეცა.

90-იანი წლებიდან YP-408-ები შეიარაღებიდან მოიხსნა და მისი ადგილი ქვეითთა საბრძოლო მანქანებმა დაიკავა.

1967 წელს ამერიკის თავდაცვის სამინისტრომ ცნობილ კომპანია FMC-სთან პერსპექტიული ქვეითთა საბრძოლო მანქანის შექმნაზე კონტრაქტი გააფორმა. სამი წლის შემდეგ წარმოდგენილი XM-765 ამერიკელმა სამხედროებმა დაიწუნეს, სამაგიეროდ ჰოლანდიელთა დაინტერესება გამოიწვია.

ლიცენზიის შეძენის შემდეგ კონსტრუქცია ოდნავ შეიცვალა (შეიარაღება მარჯვნივ გადმოიტანეს, მეთაურს კი მძღოლის უკანა ადგილი უკავია) და აღნიშვნა YPR-765PRI მიიღო, ხოლო 1975 წლიდან ჰოლანდია ქვეითთა საბრძოლო მანქანების სერიულ გამოშვებას შეუდგა.

YPR-765PRI-ის ალუმინის კორპუსი შედუღებით არის დამზადებული. გარედან კორპუსზე ჭანჭიკებით ფოლადის ჯავშანია დამაგრებული. კორპუსსა და ჯავშანს შორის სიცარიელე პოლიურეთანის ქაფით არის ამოვსებული, რაც დამატებით ცურვადობას ანიჭებს.

დამზადებულია 890 სტანდარტული და მის ბაზაზე შექმნილი 600 სპეცდანიშნულების (მართვის, საბრძოლო-სადაზვერვო, 81 მმ-იანი თვითმავალი ნაღმსატყორცნი, 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნის გამწე, ტანკსაწინააღმდეგო, საზენიტო, საპოლიციო, საარტილერიო დაზვერვის, საინჟინრო, სასწავლო, სანიტარული, სარემონტო-საევაკუაციო და სხვ.) ტექნიკის ერთეული.

**YPR-765PRI: მასა — 13,7 ტონა, ეკიპაჟი — 3 კაცი, დესანტი — 7 კაცი, დიზელის ძრავა — 265-ცხ.ძალიანი, სიჩ-**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქარუ ხმელეთზე — 60 კმ/სთ-ში და წყალში —6,3 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი ხმელეთზე — 490 კმ, შეიარაღება — 25-მმ-იანი Erlikon KBA-BO2 და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი;**

YPR-765PRI ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანა უკვე მოძველდა, მაგრამ 224 ერთეული არმიულ სამსახურს ისევ აგრძელებს. დამატებითი ჯავშნით გაძლიერებული რამდენიმე ერთეული ჰოლანდიელ სამხედროებს ავღანეთის ოპერაციაში ემსახურებოდა.

დაწყებულია არმიის უახლეს ჯავშანტექნიკაზე გადასვლის პროგრამა, სადაც მთავარი ადგილი გერმანულ-ჰოლანდიური კომპანიების მონაწილეობით შექმნილ მოდულური კომპონირების ჯავშანტრანსპორტიორ Boxer-მა დაიკავა.

1999 წელს ოთხმა ქვეყანამ: ჰოლანდიამ, გერმანიამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა დაიწყეს ერთობლივი პროექტი, რომელსაც ბოლოს პირველი ორი შემორჩა.

2002 წელს ორი ქვეყნის ერთობლივი მუშაობა მრავალმხრივი გამოყენების ჯავშანტრანსპორტიორის პირველი პროტოტიპის შექმნით დასრულდა.

საბრძოლო ამოცანების, ზურგის სამსახურებისა თუ ტექნიკური უზრუნველყოფის საჭიროებათა გათვალისწინებით უნიფიცირებულ დაჯავშნულ შასიზე სხვადასხვა სახის ჯავშანტრანსპორტიორის აწყობა შეიძლება.

არსებობს საკომანდო, დაზიანებული ტექნიკის საევაკუაციო, სანიტარული, სატვირთო თუ ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღების მოდულები, რომელთა შეცვლა-მონტაჟისათვის 60 წუთი საკმარისია.

მოდულების შეიარაღება 7,62 მმ-იანი ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევების, ან 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხისაგან შედგება.

ასეთმა მიდგომამ ჯავშანტექნიკის გამოყენების ეფექტურობა შესამჩნევად გააუმჯობესა და პარკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ხარჯი მნიშვნელოვნად შეამცირა.

**Boxer-ი: მასა დამატებით 14 ტონა, ეკიპაჟი დამატებით 2 კაცი, დესანტი დამატებით 11 კაცი, დიზელის ძრავა დამატებით 530-ცხ.ძალიანი, სიჩქარე 103 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 1050 კილომეტრი, შეიარაღება — 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი;**

ჰოლანდიის არმია სერიულ „ბოქსიორებს" 2011 წლის დასაწყისიდან მიიღებს. პროგრამა 272 ჯავშანტრანსპორტიორის დამზადებაზეა გათვლილი. მათ შორის 135 სტანდარტულია, 65 საკომანდო-სანიტარული იქნება და ა.შ.



მსუბუქი სადაზვერვო ჯავშანავტომობილი Fennek-ი

ჰოლანდია-გერმანიის მეორე ერთობლივი პროექტის შედეგი მსუბუქი მზვერავი ჯავშანავტომობილი Fennek-ია.

პროექტში ჰოლანდიური კომპანიები SP Aerospace და Vehicle Systems BV მონაწილეობდნენ.

პირველი საცდელი „ფენეკი" 1996 წლის დეკემბერში გამოჩნდა და 2001 წლის ბოლოს სერიული წარმოება დაიწყო.

„ფენეკის" კორპუსი ფოლადის ფურცლებისაგან არის დამზადებული და ეკიპაჟს 7,62 მმ-იანი ჯავშანმხვრეტი ტყვიებისა და 5 კილოგრამამდე ნაღმების აფეთქებისაგან იცავს. აღჭურვილია ტელესკოპურ ანძაზე დამაგრებული სადაზვერვო აპარატურის კონტეინერით და დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში დაკვირვება შეუძლია.

ანძა 3,3 მეტრ სიმაღლეზე იწევა. აპარატურა დღისით 5 კმ-ის, ხოლო ღამით კი 3 კმ-ის რადიუსში სამიზნეთა იდენტიფიცირებას ახერხებს. მოპოვებული ინფორმაცია ელექტრონულ რუკაზე აისახება.

სადაზვერვო აპარატურაში შედის: ინფრაწითელი და სატელევიზიო კამერები, ლაზერული მანძილმზომი, სანავიგაციო სისტემა GPS-ი და სხვ. შეუძლია სადაზვერვო ამოცანების შესასრულებლად უპილოტო საფრენი აპარატის ტარება-გამოყენება.

ჰოლანდიელმა სამხედროებმა სადაზვერვო დაჯავშნული 12 „ფენეკი" ავღანეთის ოპერაციაში გამოიყენეს. მათი შეფასებით, ის ეფექტურობით YPR-765-ს ბევრად აღემატება.

„ფენეკის" დადებით მხარედ ითვლება ნაკლები ხმაური და შემჩნევადობა, ამიტომ გზების გაკონტროლებისა და დიდი ფართობის მქონე რაიონებზე დაკვირვებისათვის იდეალურია.

უახლოეს წლებში არმია სხვადასხვა დანიშნულების ახალ 410 ჯავშანავტომობილს მიიღებს. The Military Balance 2010-ის მონაცემებით, ამჟამად არმიის განკარგულებაში 148 „ფენეკია".

**Fennek: მასა — 10,657 ტონა, ეკიპაჟი — 3 კაცი, დიზელის ძრავა — 240-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 112 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი შოსეზე — 1000 კმ და დასერილ ადგილებში 400 კმ, შეიარაღება — 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი ან 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი;**

„ცივი ომის" ხანაში ჰოლანდიის არმიამ სატანკო პარკის შეცვლის დიდი პროგრამა წამოიწყო და 1969-71 წლებში სატანკო ქვედანაყოფები გერმანული წარმოების 468 ერთეული Leopard 1A1-ის ტიპის ტანკით შეივსო.

1985-88 წლებში ტანკებს მოდერნიზაცია ჩაუტარდა. „ლეოპარდებზე" ცეცხლის მართვის ავტომატიზებული სისტემა და ლაზერულ მანძილმზომიანი ახალი სამიზნეები დაიდგა. ახალი ფორმის კოშკურა შედულებით არის დამზადებული და მიმორიგებული ჯავშნით დაცული.

1982-86 წლებში არმიას კიდევ 445 „ლეოპარდ" 2A4 (2A4NL) დაემატა. ჰოლანდიურ „ლეოპარდს" გერმანულისაგან ბელგიური ტყვიამფრქვევი FN MAG-ი, სამამულო წარმოების საკვამლე ყუმბარსატყორცნები, რადიოსადგური და ზოგიერთი სხვა მოწყობილობა განასხვავებდა.

„ცივი ომის" დასრულებისთანავე ჰოლანდიელებმა „ლეოპარდების" დიდი ნაწილი სხვა ქვეყნებს მიჰყიდეს. ბოლო მონაცემებით არმიის განკარგულებაში 44 „ლეოპარდ" 2A6 რჩება, ხოლო 16 რეზერვშია.

*შალვა გოგიბერიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვოსტოკ 2010“ - პოლიტიკური ასპექტები

# რუსული სწავლება „ვოსტოკ-2010“

# კუნთების თამაში მსოფლიოს დასანახად



ამა წლის ივნის-ივლისი რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის ძალზე დაძაბული გამოდგა, — მისი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები ინტენსიურად ემზადებოდნენ ყველაზე მასშტაბური სწავლებისთვის.

სწავლება „აღმოსავლეთი-2010“ პოსტ-საბჭოთა რუსეთის ისტორიაში ყველაზე მსხვილი სამხედრო მანევრებია. მასში მონაწილეობდნენ დაახლოებით 20000 სამხედრო მოსამსახურე, 5000 ერთეულზე მეტი სახმელეთო საბრძოლო ტექნიკა, 75 თვითმფრინავი და შვეულმფრენი, 40 ხომალდზე მეტი. სწავლება მიმდინარეობდა 11 საერთო-საჯარისო, 3 საჰაერო და 4 წყნარი ოკეანის ფლოტის პოლიგონებზე. მანევრებში ჩაერთვნენ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და ნაწილობრივ

„ვოსტოკ 2010“ - სამხედრო ანალიზი

# ჩაფლავებული რეფორმა, არშემდგარი მანევრები და...

# ჩვეული „პაკაზუხა“ საბჭოურ სტილში

მოდი, პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს დავუტოვოთ გასარკვევად, ვის შესაშინებლად ჩაატარეს „აღმოსავლეთი-2010“, ჩვენ კი დავუბრუნდეთ ამ სწავლების სამხედრო ასპექტებს, რაც, ალბათ, მეტად აინტერესებს ჟურნალ „არსენალის“ მკითხველს.

პროფესიონალი სამხედროებისთვის ცნობილია, რომ ყველა სწავლება იწყება ჩანაფიქრით. მის საფუძველს წარმოადგენს ის ამოცანები და საკითხები, რომელთა დამუშავებაც მნიშვნელოვანია მოცემული ეტაპისა და გარემოსთვის. შესაბამისად, წვრთნების დაწყებამდე სწავლების შტაბი განსაზღვრავს მის ფაზებს და სასწავლო საკითხებს. დავიწყოთ დასახელებით. სწავლებას მიენიჭა ოპერატიულ-სტრატეგიული დონე, თუმცა სწავლების დეკლარირებულ ამოცანებში გენერალური შტაბის უფროსმა ჩამოთვალა ისეთი საკითხები, როგორიცაა „გაერთიანებების, შენაერთებისა და სამხედრო ნაწილების ახალი საორგანიზაციო-საშტაბო სტრუქტურების აპრობირება და სხვადასხვა სახეობის ძალებისა და საშუალებების ოპერატიული გადასროლა. მათი წვრთნა საბრძოლო მოქმედებების ჩატარებისთვის უცნობ რაიონებში და ამოცანების შესრულება იზოლირებული მიმართულებებით“. რუსული სამხედრო ენციკლოპედიის თანახმად კი სტრატეგიული ოპერაცია წარმოადგენს: „რამდენიმე ერთდროულ ფრონტულ ოპერაციას, გაერთიანებულს ერთიანი ჩანაფიქრითა და ხელმძღვანელობით“. „აღმოსავლეთი-2010“ სტრატეგიული სწავლება რომ ყოფილიყო, უნდა ჩატარებულიყო ერთიანი გეგმით და გაერთიანებინა რამდენიმე ოპერაცია საერთო ჩანაფიქრითა და ხელმძღვანელობით. ის, რაც



სწავლების შტაბებში ხშირად არ იცოდნენ ამა თუ იმ ნაწილის ადგილსამყოფელი

ვოლგისპირეთ-ურალის სამხედრო ოლქებიც. უზრუნველყოფისთვის შეიქმნა საფრონტო ავიაციის დაჯგუფება, მოზიდულ იქნა შორეული და სპეციალური ავიაციის ძალებიც. სწავლებაში აქტიურად მონაწილეობდნენ წყნარი ოკეანის, ჩრდილო და შავი ზღვის ფლოტები. პირველად გამოიყენეს საზღვაო ავიაცია. შორეული აღმოსავლეთის აეროდრომებზე როსტოვის ოლქის ავიაბაზიდან გადაისროლეს ბომდამშენები Су-24, ხოლო ლიპეცკის საგამოცდო ცენტრიდან ბომდამშენ-გამანადგურებელი Су-34 (სულ 26 ერთ.). ყველა აპარატმა გადაფრენა დაუჯდომლად შეასრულა, თანაც Су-24 ჰაერში სამჯერ გაიმართა, Су-34 კი — ორჯერ. ჰაერში საწვავით გამართვა რუსულ შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ სტრატეგიულ ავიაციაში წარმოებდა, ისიც საბჭოთა ეპოქაში და ძალზე იშვიათად. ამდენად საფრონტო ავიაციის ეს მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს რუსეთისთვის უნიკალურ მოვლენად. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ Су-34 რუსეთის საჰაერო ძალებში სულ 5 ერთეულია და, სავარაუდოდ, სწავლებაში ხუთივე მონაწილეობდა.

რუსეთის საზღვაო ძალები შორეულ აღმოსავლეთში გადავიდნენ. წყნარი ოკეანის ფლოტის გასაძლიერებლად საბრძოლო მანევრების რაიონში შევიდა შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი სარაკეტო კრეისერი „მოსკოვი“ და ჩრდილოეთის ფლოტის მძიმე ატომური სარაკეტო კრეისერი „პეტრე დიდი“. დაჯგუფებაში ასევე შევიდნენ დიდი ნავსაწინააღმდეგო ხომალდები „ადმირალი ტრიბუცი“ და „ადმირალი ვინოგრადოვი“. საზღვაო შენაერთის ამოცანა იყო მოწინააღმდეგის თვითმფრინავებისა და რაკეტების მოგერიება, წყალქვეშა ნავების აღმოჩენა, დესანტის მხარდაჭერა. წყალქვეშა ნავების განადგურებაში ხომალდებს დახმარებას უწევდნენ შვეულმფრენები Ка-27 და Ка-31. იმის გათვალისწინებით, რომ მკვეთრად არის შემცირებული რუსეთის საზღვაო ძალების სახომალდო შემადგენლობა, ამ გადასვლით წყნარ ოკეანეში „აღმოსავლეთი-2010“-ში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ბრძოლისუნარიანმა წყალზედა რუსულმა ხომალდმა.

ოპერაციაში საშტაბო ფუნქციებს ასრულებდა ატომური კრეისერი „პეტრე დიდი“. მასზე აღმართული იყო რუსეთის პრეზიდენტის შტანდარტი. სწორედ მისი გემბანიდან ადევნებდნენ თვალს საბრძოლო სროლებს უმაღლესი მთავარსარდალი და თავდაცვის მინისტრი, მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო შემადგენელი მთელი სწავლების ღონისძიებების მხოლოდ 20%-ს ასრულებდა. პრეზიდენტი მედვედევი კმაყოფილი დარჩა და ამაყად განაცხადა: „რუსეთი იყო, არის და იქნება დიადი საზღვაო დერჟავა“.

„პეტრე დიდი“ – რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების საჩვენებელი ფასადია. ის მუდმივად მონაწილეობს შორეულ ნაოსნობებში (ინდოეთი, აფრიკა, ვენესუელა, კუბა). პრეზიდენტ მედვედევამდე მის გემბანზე ორჯერ იმყოფებოდა ვლადიმირ პუტინი. სხვებისგან განსხვავებით ამ ხომალდის მეზღვაურებს მაღალი ანაზღაურება აქვთ. ხელმძღვანელობის სტუმრობის დროს სამხედრო მოსამსახურეებს ეცვათ ექსპერიმენტული ე.წ. ტროპიკული ფორმა, მაშინ, როდესაც სხვა ხომალდებზე ტრადიციული ფორმაც კი პრობლემა-



ჩატარდა კი მსხვილმასშტაბიანი, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი სამეთაურო-საშტაბო სწავლება იყო ძალების მოზიდვით. სწავლების მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი ჩვენთვის უცნობია. მაგალითად, გაურკვეველია, შეიქმნა ერთიანი ოპერატიულ-სტრატეგიული სარდლობა თუ შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის სამხედრო ოლქები თავიანთ ამოცანებს დამოუკიდებლად ასრულებდნენ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საიტებზე გამოქვეყნებული ოფიციალური შეტყობინებების თანახმად, „ცუგოლის“, „ტელემბას“, „ბურდუნისა“ და სხვა პოლიგონებზე დაიგეგმა და ჩატარდა 6 ცალკეული ერთმანეთთან დაუკავშირებელი ტაქტიკური სწავლება საბრძოლო სროლებით სხვადასხვა თემატიკის მიხედვით. ანუ ციმბირის სამხედრო ოლქის ფარგლებშიც კი არ იყო სწავლება ერთიანი ჩანაფიქრით გაერთიანებული.

**ვნახოთ, რა სასწავლო-სამხედრო საკითხების დამუშავება იგეგმებოდა „აღმოსავლეთი-2010“-ის ჩატარების დროს:**

*— „ახალი სახის“ ფარგლებში შეცვლილი მართვის სისტემის შემოწმება. ზემდგომი და დაქვემდებარებული შტაბების ურთიერთქმედების ეფექტურობის დადგენა;*

*— სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების დანაყოფების მანევრის დამუშავება შორ მანძილებზე;*

*— მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზების შემოწმება;*

*— შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის შენაერთების მონიტორინგი*


საზღვაო ქვეითთა დესანტირების მომენტი

*საერთო-საჯარისო ბრძოლის საწარმოებლად.*

სწორედ ამ საკითხების შესაბამისად შემუშავდა სცენარი, რომლის თანახმადაც პირობითმა მოწინააღმდეგემ დაიწყო ტერორისტული აქტიურობა რუსეთის ტერიტორიაზე. ამ ქმედებების ფონზე პირობითი მოწინააღმდეგე გადავიდა აგრესიულ ქმედებებზე და შეიჭრა რუსეთში. პირველ ეტაპზე რუსეთის შინაგანმა ძალებმა გაატარეს კონტრპარტიზანული ღონისძიებები; მეორეზე – მნიშვნელოვნად გააძლიერეს ჯარების დაჯგუფება ცენტრალური რუსეთისა და ურალის რეგიონებიდან ძალების გადმოსროლით; მესამეზე – მოწინააღმდეგის აგრესიას რუსეთის ჯარები პასუხობდნენ თავდაცვითი ბრძოლებით წინასწარ მომზადებული პოზიციებიდან და იგერიებდნენ მძიმე ზარალის მიყენებით, რითაც ქმნიდნენ კონტრდარტყმის წინა პირობას; მეოთხეზე – სახმელეთო ძალები ავიაციისა და ფლოტის მხარდაჭერით გადადიოდნენ შეტევაზე, ამარცხებდნენ მოწინააღმდეგის დაჯგუფებებს ორივე სტრატეგიული მიმართულებით და აღადგენდნენ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოებრივ მთლიანობას.

ეს სცენარი სულაც არ გამოირჩევა ორიგინალურობით. დაახლოებით იმავე

## „ვოსტოკ 2010“ - პოლიტიკური ასპექტები

ტურია. ხომალდს აქვს შედარებით კომფორტული კაიუტები, სპორტული დარბაზი და აუზიც, მაგრამ „პეტრე დიდზე“ მთავარი მაინც შეიარაღებაა: საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს „კორტიკსა“ და „კინჟალს“ შეუძლია არა მარტო საჰაერო, არამედ ზედაპირული მიზნების განადგურებაც. აღნიშვნის ღირსია სარაკეტო სისტემა „გრანიტი“. ეს არის ზებგერითი 7-ტონიანი რაკეტა („პეტრე დიდზე“ ის 20 ცალია), რომელსაც მოწინააღმდეგის მსხვილი ხომალდის დაზიანება 750 კმ-ზე შეუძლია. დასავლელი სპეციალისტების გათვლებით, ამ რაკეტის მხოლოდ კინეტიკური ენერგიაც კი (ასაფეთქებელი მუხტის გარეშე) საკმარისია, რომ მოხვედრისას ზოგიერთი ხომალდი შუაზე გააპოს. ამიტომ რუსები ამ ხომალდს „ავიამზიდთა მკვლელსაც“ უწოდებენ.

სროლები საზღვაო შენაერთის ოთხივე ხომალდიდან გაკეთდა. სამხედროთა გადმოცემით, ყველა ამოცანა წარმატებით შესრულდა და ჟურნალისტები და ექსპერტები იძულებული იყვნენ, ეს დაეჯერებინათ, რადგან სწავლების რაიონში ხშირი ნისლი იდგა, სროლების ხმა ისმოდა, მაგრამ შედეგს ვერავინ ხედავდა.

სასწავლო ბრძოლები რამდენიმე ათას კმ-ზე მიმდინარეობდა. პირველად გამოიყენეს საბრძოლო ტექნიკის ახალი ნიმუშები: მძიმე ცეცხლმფრქვეველი სისტემები, აეროზოლური შენიღბვის მანქანები და შემნიღბავი ქაფის საფრქვევები, ცრუგადასასვლელები, მოწინააღმდეგის რადიოტექნიკური დაზვერვის საწინააღმდეგო ელექტრონული საშუალებები, ასევე, მართვის ახალი სისტემები.

სწავლებას პირადად ხელმძღვანელობდა თავდაცვის მინისტრი ა. ე. სერდიუკოვი და რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ნ. ე. მაკაროვი. მოზიდული ძალები თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე 2009 წელს ჩატარებულ „დასავლეთ – 2009“-ში, თანაც ამ უკანასკნელში რუსულ ძალებთან ერთად ბელორუსიის შეიარაღებული ძალებიც მონაწილეობდნენ. ასე რომ, „აღმოსავლეთი-2010“ მასშტაბით უკვე სამჯერ აღემატება ქვეყნის დასავლეთში ჩატარებულ მანევრებს.

ეროვნული

სწავლებაზე მხოლოდ ორი ოფიციალური დელეგაცია მიიწვიეს. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია სწავლებას „ცუგოლის“ პოლიგონზე დაესწრო და თვალი ადევნა წყლიანი დაბრკოლების ფორსირებასა და პირობით მოწინააღმდეგესთან ბრძოლას „რთულ ტაქტიკურ პირობებში“. დამკვირვებელთა მეორე ჯგუფს, ჩინეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას, ხელმძღვანელობდა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ჰოუ შუსონი.

როგორც სერდიუკოვმა განმარტა: „აღმოსავლეთი - 2010“ არის 2009 წელს ჩრდილო კავკასიაში ჩატარებული „კავკასია-2009“-ის, რუსეთის ჩრდილო-დასავლეთში „ლადოგა-2009“-ისა და ბელორუსიაში „დასავლეთი-2009“-ის მე-2 ეტაპს. 2011 წელს დაგეგმილია ამ სამწლიანი სწავლებების შემაჯამებელი ეტაპის — „ცენტრი-2011“-ის ჩატარება“.

რამდენიმე უნიკალური მომენტის გამო სწავლება შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის პოსტსაბჭოთა ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენად.

## „ვოსტოკ 2010“ - სამხედრო ანალიზი

შინაარსით ჩატარდა რუსეთში ბოლო ათ წელიწადში თითქმის ყველა სწავლება.

ამ „დიდი მანევრებისთვის“ მზადება სწავლება „დასავლეთი-2009“-ის დამთავრებისთანავე დაიწყო. შტაბები ამუშავებდნენ გეგმებს, ინიშნებოდნენ ოფიცერ-შუამავლები და ა.შ. ჩვეულებრივ, პოლიგონებსა და სწავლებების რაიონებში წინასწარ იქმნება საველე ბანაკები, სადაც უნდა განთავსდნენ მოზიდული ძალები. ამჯერად მინისტრ სერდიუკოვის ბრძანებით ეს არ მომხდარა, რადგან დაგეგმილი იყო ჯარების განგაშით გაყვანა და მათი მოქმედება უცნობ ადგილმდებარეობაზე, სადაც მათ თავად უნდა გაეშალათ ბანაკები, მოეწყოთ საცხოვრებელი და უზრუნველეყოთ კვება.

უკვე აპრილიდან დაიწყო პრობლემები ჯარების გადასროლაში. მნიშვნელოვნად შემცირებული სამხედრო გადაზიდვების შტაბი ვეღარ ასწრებდა სრული მასშტაბით ამხელა მოცულობის ამოცანების შესრულებას. შეფერხება იყო ასევე თანხების მოძიებაშიც. გადასროლის ჩავარდნის გამო რამდენიმე ნაწილმა ვერ ჩააღწია დანიშნულების ადგილამდე და დისლოკაციის პუნქტებში დაბრუნდა.

სწორედ აქ გამოჩნდა სერდიუკოვის ნოვატორობა. მისი გადაწყვეტილებით სწავლებაზე სამხედროთა კვებისთვის მოიზიდეს სამოქალაქო ორგანიზაციები; სამოქალაქო ორგანიზაციებს უნდა გაეწიათ სამედიცინო მომსახურებაც. შედეგიც პროგნოზირებადი აღმოჩნდა, – ყველაფერმა მაინც სამხედროთა ზურგზე გადაიარა.

როგორც ყოველთვის, მიუხედავად ბრძანებისა, წინასწარ მოუმზადებლად სწავლების დაწყებისა, ყველა პოლიგონზე მიმდინარეობდა ჯარების სწავლებისთვის წვრთნა, თან იმდენად ინტენსიურად, რომ შეიარაღებულმა ძალებმა დანაკარგიც კი განიცადეს. კერძოდ, პოლიგონ „ბურდუნზე“ მე-5 სატანკო ბრიგადაში დაიღუპა T-72-ის ეკიპაჟი.

სწავლების დაწყების წინ, ივნისში, მდგომარეობა სულ აირ-დაირია მას შემდეგ, რაც გენერალურმა შტაბმა ბოლო მომენტში გადაწყვიტა დამატებითი ძალების მოზიდვა. შედეგად, შექმნილ ქაოსში შტაბების განკარგულებაში არსებული დანაყოფებისთვის მომზადებულ გეგმებში შეიყვანეს სულ სხვა ნაწილები და შენაერთები.

ნებისმიერი სწავლების დროს ნამდვილი ომი მიმდინარეობს მხოლოდ შტაბებში არსებულ რუკებზე. ჯერ კიდევ სწავლების დაწყებამდე შტაბებში შედიოდა



შეიძლება სწავლების დროს აფეთქებები და ტანკების გრუხუნი ძალიან შთამბეჭდავად მოჩანს, მაგრამ ნამდვილ ომში ყველაფერი სხვანაირადაა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აღმოსავლეთ-2010“-ს საბჭოთა ხანაშიც პერიოდშიც არ გააჩნდა ანალოგი რუსეთის დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადასროლილი საბრძოლო ტექნიკითა და ჯარების რაოდენობით. ეს იყო ურთულესი ამოცანა, თუკი გავითვალისწინებთ უზარმაზარ მანძილებს, სახმელეთო კომუნიკაციების სუსტად განვითარებულ ქსელს (ურალის აღმოსავლეთით ერთადერთი მსხვილი საკომუნიკაციო ხაზია ტრანსციმბირული მაგისტრალი) და რუსეთის შძის ყველა დონის სამეთაურო შემადგენლობისთვის ასეთი მასშტაბური სტრატეგიული გადასროლის უნარ-ჩვევების უქონლობას.

გასაკვირი არ არის, რომ რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება ამ სწავლებაზე იყო მიჯაჭვული. ფაქტობრივად, „აღმოსავლეთი-2010“ იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების ე.წ. „ახალი სახის“ შემოწმება. თავად სწავლება კარგად გაშუქდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ორგანოში, გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“, რამაც საშუალება მოგვცა ფასადური სამხედრო



## „ვოსტოკ 2010“ – სამხედრო ანალიზი

ბრძანებები და განკარგულებები, რომელთა დამუშავებასაც ოფიცრები ვერ ართმევდნენ თავს. ამას დაემატა სერდიუკოვის გადაწყვეტილებით ახალი დანაყოფების მოზიდვაც, რის შედეგადაც სწავლების რუკებსა და გეგმებზე დატანილი დანაყოფების ნაცვლად, სასწავლო წერტილებში სინამდვილეში იყვნენ სულ სხვა ნაწილები და შენაერთები, თანაც აბსოლუტურად სხვა ადგილებში.

ამის გამო ყველა წვრთნა ჩატარდა ძველი გეგმების შესაბამისად. ახალჩამოსული დანაყოფები მიტოვებული იყვნენ თავის ანაბარად, ხოლო იმ ქვედანაყოფებს, რომლებიც ვერ ჩავიდნენ სწავლებაზე, სასწავლო განკარგულებები მისდიოდათ იმ მისამართზე, სადაც წესით, უნდა ყოფილიყვნენ და არა იქ, სადაც რეალურად იმყოფებოდნენ. ამასობაში, სწავლების ხელმძღვანელობის შტაბს წარმოდგენაც არ ჰქონდა შექმნილ მდგომარეობაზე.

იმ დანაყოფებში, სადაც მიდიოდა ბრძანებები და განკარგულებები, შტაბები ვერ აუდიოდნენ ქაღალდების უზარმაზარ ნაკადებს. არ კმაროდნენ ოფიცრები. სანამ მიმღები შტაბი ამუშავებდა წინასწარ განკარგულებას, უკვე მოდიოდა საბრძოლო გეგმა და ბრძანება. ოფიცრები თავს ანებებდნენ წინასწარ განკარულებით გათვალისწინებულ საქმეს და გადადიოდნენ ახალი ბრძანებების დამუშავებაზე. ამ დროს კვლავ მოდიოდა მორიგი წინასწარი განკარგულება და ასე გაუთავებლად...

სწავლების მეორე დღეს შტაბებს შორის ურთიერთქმედება სრულიად დაიკარგა. მესამე დღეს უკვე ნაწილების შტაბების დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებთან შეწყდა ურთიერთქმედება. სწავლების პროცესში ვერც ერთმა ბატალიონის მართვის ორგანომ ვერ მიიღო განკარგულება ან გეგმა! შტაბის უფროსები თვითონ იგონებდნენ ამოცანებს, თავად იძლეოდნენ ბრძანებებს და შემდეგ „გმირულად ასრულებდნენ“ მათ. სწავლების ბოლოს ყველა დონის შტაბში სრული ანარქია იყო.

ისევე როგორც მართვის სფეროში, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემაში „ახალ სახეზე“ გადასვლისას მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჯარების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა თანდათან გადავიდა სამოქალაქო ორგანიზაციების მხარეზე. ამის გასამართლებლად მოჰყავთ საზღვარგარეთული ანალოგიები, მაგრამ საზღვარგარეთის არმიებში მკვეთრად არის გამიჯნული სამხედრო და სამოქალაქო პასუხისმგებლობის სფეროები, თანაც კერძო ფირმები ამ უზრუნველყოფას მხოლოდ დისლოკაციის ადგილებში ახდენენ. სწავლებებისა და საბრძოლო მოქმედებების პერიოდში ეს ამოცანები კვლავ სამხედროების გადასაწყვეტი ხდება. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განზრახული აქვს სამოქალაქო ორგანიზაციებს დაავალოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა არა მარტო დისლოკაციის ადგილებში, არამედ საბრძოლო მოქმედებების დროსაც. „აღმოსავლეთ-2010“-ის ჩატარებისას, სხვასთან ერთად, ამ გადაწყვეტილების ეფექტურობის ჩვენებასაც აპირებდნენ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები. აღმოჩნდა, რომ კერძო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ რესურსები საველე ბანაკებში სამხედროთათვის ნორმალური ყოფითი პირობების შესაქმნელად (აბანოები, სამრეცხაოები და ა.შ), მიუხედავად იმისა, რომ ბანაკები 2-3 თვით ადრე შეიქმნა. სწავლებაში მონაწილე ჯარებს ნაბრძანები ჰქონდათ თან წაეღოთ მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფის მინიმალური მარაგი, შედეგად, პირადი შემადგენლობა დარჩა ტრიალ მინდორში, მოუწყობელ საველე ბანაკებსა და საკვების გარეშე. ამ პირობებში თავდაცვის სამინისტრომ სწრაფად მონახა გამოსავალი — ობიექტების მშენებლობაზე გაიგზავნა სამხედრო მოსამსახურეები, სამხედრო ნაწილებმა კი სამოქალაქო ორგანიზაციებს გადასცეს ზურგის ქონება (საველე სამზარეულოები, კარვები, საველე აბანოები და სხვ).

რუსეთის ყველაზე მასშტაბურ სამხედრო სწავლებაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეები ცდილობდნენ, თავი დაეხსნათ ტილებისგან, მუნისა და დიზენტერიისგან. ამის მიზეზი იყო პოლიგონებზე არსებული ცხოვრების უმძიმესი პირობები. ყოფითი „კატასტროფის“ განხილვის მიზეზი გახდა რამდენიმე ახალწვეულის ნათესავების საჩივრები, რომლებმაც თავიანთ ახლობლებს ჩააკითხეს „სერგეევკის“ პოლიგონზე. ამის შესახებ პირველი მონაცემები პრესაში სწავლების დაწყებამდე ორი კვირით ადრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპექტაკლის უკან დაგვენახა ჩვენთვის საინტერესო საკითხები და გამოგვეტანა დასკვნა.

ამ მასშტაბურ სწავლებას უნდა დაედასტურებინა, რომ რეფორმების შემდგომი რუსეთის არმია არის თუ არა ხარისხობრივად ახალი ფენომენი, რომელიც ორგანიზაციით, გაწვრთნილობითა და აღჭურვილობით მოწინავე ქვეყნების არმიათა დონეზეა.

სწავლების მიზნის შესახებ რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურმა პირებმა არაერთი განცხადება გააკეთეს. მათი თქმით, სწავლებაზე დამუშავდა „ბანდფორმირებებთან ბრძოლის მეთოდები". ყველა სამხედრო მეთაური კატეგორიულად უარყოფდა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის არმიის წინააღმდეგ მიმართულ მზადებას. თუმცა მსოფლიოს სამხედრო ექსპერტები გაოცებულნი კითხულობდნენ, რუსეთის აღმოსავლეთში რა ბანდები დათარეშობენ (ან შეიძლება ითარეშონ ), რომ მათთან საბრძოლველად ჯ/ტექნიკის, არტილერიის (მათ შორის რეაქტიული), ავიაციის (უახლესი Су-34-ს ჩათვლით) და მით უმეტეს, სამხედრო ხომალდების გამოყენებას აპირებენ.

ნებისმიერი საღად მოაზროვნე სამხედრო ექსპერტისთვის ნათელია, რომ რუსეთის აღმოსავლეთში ლოკალური ომების საფრთხე არ არსებობს. აქ შესაძლებელია მხოლოდ მსხვილმასშტაბიანი ომი. ამიტომ საფუძვლიან ეჭვს ბადებს „აღმოსავლეთი-2010"-ის სცენარის ადეკვატურობა: თუკი რეალური და არა საყარაუდო მოწინააღმდეგე ამ საომარი მოქმედების თეატრში საბრძოლო მოქმედებებს გააჩაღებს, ის არ დასჯერდება მოტომსროლელი დანაყოფების შეტევით ვლადივოსტოკის მიმართულებით, რაც სწავლების დამგეგმავებმა ჩადეს მოქმედებათა ეტაპებში. მთელი 4300 კმ-იანი საზღვრის გაყოლებაზე დარტყმას მიაყენებენ რამდენიმე დაჯგუფებით, რომელთა შემადგენლობაში ათასობით ჯარისკაცი იქნება. რუსეთის ბირთვული ფუგასები ვერ შეაჩერებს, რადგან თვითონაც აქვს ბირთვული იარაღი.

სწავლების ბუნდოვანმა მიზანმა და ბოლომდე უთქმელმა სიმართლემ თავად რუს სამხედრო ექსპერტებში [illegible] ეჭვი. ერთი ნაწილის აზრით, მაშინ როდესაც ტერორისტული მოძრაობა გააქტიურდა ჩრდილო კავკასიაში, არეულობაა ცენტრალურ აზიაში, რუსეთის შძ-ის ბრძოლა ტერორისტებთან ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში განპირობებულია შეიარაღებული ძალების მომზადებით „შინაგანი მტრის" წინააღმდეგ. ამ აზრს ადასტურებს სწავლების ფარგლებში შსს-თან ერთად შინაგანი შეიარაღებული კონფლიქტების ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია, ასევე დახმარების აღმოჩენა ციმბირის ფედერალური ოლქის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის დამყარებაში. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ არმიას ჟანდარმის ფუნქციების შესრულებისთვის ამზადებენ.

გეოპოლიტიკის პრობლემების აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი კონსტანტინ სივკოვი მიიჩნევს, რომ დაიწყო რუსეთის არმიის მალულად მომზადება NATO-ს ან სხვა საერთაშორისო სამხედრო სტრუქტურის შემადგენლობაში საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის, რისა

## „ვოსტოკ 2010" - სამხედრო ანალიზი

გამოჩნდა. კერძოდ, ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთს მიმართა ახალწვეულის დედამ, რომელმაც განაცხადა, რომ სამხედრო ბანაკში საშინელი ანტისანიტარიაა, ჯარისკაცებს ტილები ჭამთ და არა აქვთ წყალი. დაჭაობებული გუბიდან ამოღებული წყლით რეცხავდნენ ქვაბურებს, რომლიდანაც შემდეგ საჭმელს შეექცეოდნენ, იქვე იბანდნენ. სტატიის გამოქვეყნების მეორე დღეს მთელი დანაყოფი სამედიცინო ნაწილში წაიყვანეს. ყველა ჯარისკაცი აბანავეს და დეზინფექცია ჩაუტარეს. ასეთი ბედნიერება სხვა ნაწილებს არ ეღირსათ. მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ უსურიისკის სამხედრო მოსამსახურეთა მშობელთა კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარე ლუდმილა ივასენკო პირადად შეხვდა მე-5 არმიის შტაბის უფროსს და მშობელთა პრეტენზიები გადასცა.

ბუნებრივია, თავდაცვის სამინისტროს არ სურდა ეღიარებინა ამ მეთოდის სრული ფიასკო. სასწრაფოდ გადაწყდა ჯარებისთვის ზურგებიდან და ადგილობრივი სამხედრო საწყობებიდან მომარაგების მიწოდება. ვინაიდან მარაგების ეშელონირების დრო აღარ რჩებოდა, ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ სტრატეგიული მარაგების გამოყენება გამართლებული იყო. მდგომარეობა უცებ ვერ გამოსწორდა, ვინაიდან სწავლების შტაბში არ იცოდნენ ნაწილების ზუსტი მდებარეობა და ეს საქმე ისევ და ისევ, დანაყოფების მეთაურებს დაეკისრათ. პირადი შემადგენლობებისათვის საკვებს მეზობელ დასახლებულ პუნქტებში ყიდულობდნენ, ზურგის ოფიცრები დარბოდნენ მომარაგების პუნქტებში და აგროვებდნენ ყველაფერს, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა.

მას შემდეგ, რაც ტელევიზიით აჩვენეს კეთილმოწყობილი საველე ბანაკები, სადაც სამოქალაქო პირები ემსახურებოდნენ „რუსეთის გმირ დამცველებს", ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ზურგის უზრუნველყოფის ახალმა სისტემამ გაამართლა(!). მაყურებელთა მზერის მიღმა დარჩა მშიერი და მუნიანი ჯარისკაცები, რომლებიც ალუმინის ჭიქებში თავად ადუღებდნენ მშრალ წვნიან „როლტონს".

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მუდმივად ახდენდა „ახალი სახის" დანაყოფების მაღალ სამანევრო შესაძლებლობების რეკლამირებას. სწავლებაზე შემუშავებულ იქნა ჯარების გადასროლის ახალი მეთოდი, რომლის თანახმადაც პირადი შემადგენლობა დისლოკაციის ადგილებს ტოვებდა განგაშით და გაჰქონდა მხოლოდ პირადი იარაღი და მინიმალური რაოდენობის მომარაგების საშუალებები. ამის შემდეგ მათ გადაისროდნენ საბრძოლო გამოყენების ადგილებში, სადაც ადგილობრივი შეიარაღებისა და ტექნიკის შესანახ და სარემონტო ბაზებში მათ ელოდებოდათ ტექნიკა და მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებები, რისი მიღების შემდეგაც დანაყოფი ხდებოდა სრულყოფილი საბრძოლო ერთეული. ეს სისტემა საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ ახალი ნამდვილად არ არის. მას უკვე დიდი ხანია იყენებენ აშშ-ისა და დასავლეთის მოწინავე ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში. სისტემის ეფექტიანობა დადასტურდა სპარსეთის ყურეში საომარი ოპერაციების დროსაც. NATO-ს ტერმინოლოგიაში ამ სისტემას „ორმაგი ბაზირება" ჰქვია, რაც რუს პროპაგანდისტებს ყოველთვის აგრესიულობის მანიშნებლად მიაჩნდათ. ეტყობა, ან რუსებმა უნდა აღიარონ, რომ ცდებოდნენ, ან აგრესიული სამხედრო პოლიტიკის გატა-



თვისაც იზოლირებული მიმართულებითა და ლოკალური ამოცანებით საჰაერო-სადესანტო და საზღვაო სადესანტო დანაყოფების გადასროლა ჩატარდა. პირველად „აღმოსავლეთი-2010"-ში შეტანილ იქნა ცნება აუთსორსინგი (ინგლ. outsoursing), რაც გულისხმობს სხვისი რესურსების გამოყენებას.

ჩემი აზრით, სრულიად არ არის საჭირო იყო სამხედრო უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებული ან ექსპერტი, რომ მიხვდე, – შორეულ აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში ჯარები სწავლებაზე ამუშავებდნენ მსხვილმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის მოგერიებას. ამის დასტურად მოვიყვან 2010 წლის ივლისის გაზეთ „კრასნაია ზვეზდადან" ამონარიდებს: „სერგეევსკის პოლიგონზე პოლკოვნიკ ევგენი ტუბოლას გაძლიერებული მოტომსროლელი ბრიგადის ბატალიონები და დივიზიონები ოპერატიულ-სტრატეგიული სწავლება „აღმოსავლეთი-2010"-ის ფარგლებში იგერიებდნენ პირობითი მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს მთა-ტყიან, ჭაობიან რაიონებში და აყენებდნენ სასტიკ დაზიანებას მის ქვედანაყოფებს



რუს მებრძოლ მყვინთავებს დივერსიული ოპერაციებისთვის ამზადებენ

კლასიკური მოძრავი თავდაცვის პირობებში"; „სწავლების ამ ეტაპზე ახალი ტიპის სამი მოტომსროლელი ბრიგადა გადადის კონტრშეტევაზე. ისინი გაძლიერებული არიან არტილერიით, ავიაციით, საინჟინრო-მესანგრეთა ქვედანაყოფებით. კონტრშეტევის მიზანია პირობითი მოწინააღმდეგის სამი დღის მძაფრი თავდაცვითი ბრძოლებით გამოფიტული მოტომსროლელი ნაწილების განადგურება".

როგორც ვხედავთ სწავლებაზე მუშავდებოდა მსხვილმასშტაბიანი საგარ-



რებისთვის ემზადებიან (რაც ქართველებისთვის ახალი ნამდვილად არ იქნება.)

რუსეთში მდგომარეობა უფრო ხელსაყრელი იყო ამ მეთოდისათვის, ვინაიდან ყველა ბაზა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, პრობლემები მაინც შეიქმნა ნაწილებისა და ქვედანაყოფების შტატების მრავალფეროვნების გამო, რაც თავისთავად გამოწვეული იყო ძირითადი საბრძოლო ტექნიკის, ასევე დიდი ტიპობრივი მრავალსახეობით. მაგალითად, მოტომსროლელი ქვედანაყოფები აღჭურვილი იყვნენ როგორც БМП-1,2,3, ასევე БТР-70,80, ხოლო ზოგიერთი სულაც МТ-ЛБ-თი. სატანკო ქვედანაყოფები Т-72, Т-80Б, Т-80БВ, Т-90А, Т-90С-თი. ეს საბრძოლო ტექნიკა განსხვავდება შეიარაღების სისტემებით, ეკიპაჟის რაოდენობით, სავალი ნაწილით, ძრავებითა და ა.შ.

მოსკოვის ოლქიდან ბრიგადის გადმოსროლა სამოქალაქო თვითმფრინავებით ძვირი ჯდებოდა, ხოლო სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები საჭირო რაოდენობით არ იყო. ამიტომაც შეირჩა ვოლგისპირეთ-ურალის სამხედრო ოლქის ერთი ბრიგადა.

ბრიგადის სატანკო ბატალიონის საშტატო Т-72-ის ნაცვლად ბაზებზე დასწყობებული იყო Т-80-ები, საშტატო საარტილერიო 2С19-ის ნაცვლად 2С1 და Д-30, მოტომსროლელთა БМП-2-ის ნაცვლად ან МТ-ЛБ, ან БМП-1. ამ რეალობის პირისპირ დადგომის შემდეგ გადაწყდა ბრიგადის მაგივრად მისი მხოლოდ ერთი გაძლიერებული ბატალიონი გადაესროლათ, მიუხედავად იმისა, რომ დანიშნულების პუნქტში БМП-2-ების ეკიპაჟებს БМП-1-ები ელოდათ. მკითხველს გვინდა ავუხსნათ, — მიუხედავად იმისა, რომ სავალი ნაწილი ორივე ტიპს ერთი და იგივე აქვს, მათი შეიარაღება ძირეულად განსხვავდება. რა თქმა უნდა, 30-მმ-იანი ავტომატური ქვემეხების მემიზნე-ოპერატორებმა ორიოდე მეცადინეობით ვერ შეძლეს БМП-1-ის 73-მმ-იანი 2А28 ტიპის ქვემეხის ათვისება, რაზედაც სწავლების ხელმძღვანელობამ თვალები დახუჭა და გადასროლა წარმატებულად გამოაცხადა. **პროფესიონალებისათვის ნათელია, რომ ასეთი ბატალიონის ფასი ნულის ტოლია!**

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწავლებამ „აღმოსავლეთი - 2010" კიდევ ერთხელ დაამტკიცა რუსეთის შეიარაღებული ძალების რეფორმების კონცეპტუალურად არასწორი მიმდინარეობა. ე.წ. „ახალი სახის შეიარაღებული ძალები" სინამდვილეში არაადეკვატური აღმოჩნდა არსებული გამოწვევებისა. თავიდანვე ნათელი იყო რეფორმის რადიკალურობა, მისი რეალიზების შემჭიდროებული ვადები, გარემოს აუცილებელი წინააღმდეგობა და მძიმე ეკონომიკური პირობები არ იძლეოდა შეცდომებისა და გადახრების თავიდან აცილების შესაძლებლობას. ყველაზე დიდ მარცხად შეიძლება ჩაითვალოს არმიის დაკომპლექტების საკონტრაქტო სისტემის პრინციპებზე გადაყვანის ჩავარდნა, ოფიცერთა შემადგენლობის შემცირებით გამოწვეული სოციალური დაძაბულობა, ანაზღაურების დიფერენცირებული სისტემის შემოღების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასების სიმცირე, სამხედრო განათლების ნაჩქარევი და გაუაზრებელი რეფორმა და მრავალი სხვ. ღიმილის გამომწვევია სახმელეთო ჯარების მთავარსარდალ პოსტნიკოვის განცხადება: „ახალწვეულებმა ორ თვეში აითვისეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, პირადი იარაღი, რაც აჩვენა კიდეც მიმდინარე სწავლებამ". სინამდვილეში, სწავლება რომ არ ჩავარდნილიყო, შორეულ აღმოსავლეთში სამსახურგავლილ ჯარისკაცებს მეთაურები აიძულებდნენ, მონაწილეობა მიეღოთ სწავლებაში. მათი რიცხვი კი 23%-ზე მეტი აღმოჩნდა. ცალკე გამოყოფის ღირსია შეიარაღების სახელმწიფო პროგრამების უვარგისობა, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით ჩავარდა. შედეგად, მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებიდან ტექნიკური აღჭურვილობის დონის მიხედვით რუსეთის შეიარაღებული ძალები ყველაზე ჩამორჩენილია, რაც რუსეთისთვის ძალზე საშიშ სახეს იღებს. რეფორმის „მამებმა" რატომღაც გადაწყვიტეს, რომ რუსეთს მხოლოდ ლოკალურ ომებში (აგვისტოს ომის მსგავსში) მოუხდებოდა მონაწილეობა, ხოლო მსხვილმასშტაბიანში – აღარასოდეს. ამ ჩანაფიქრს რუსეთის შეიარაღებული ძალების მინიმიზება და დივიზიების ლიკვიდაცია მოჰყვა. მხოლოდ ახლაღა გააცნობიერა სამხედრო-პოლიტიკურმა ელიტამ, რომ აღმოსავლეთში სამხედრო ბალანსის მდგომარეობა საკ-

## „ვოსტოკ 2010" - პოლიტიკური ასპექტები

ეო აგრესიის მოგერიება მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მასობრივად იყენებს ჯავშანტექნიკასა (ტანკების ჩათვლით) და ავიაციას. ბუნებრივია, ამ სცენარს არაფერი აქვს საერთო „ბანდფორმირებებთან ბრძოლასთან". დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სწვლება არის ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 2009 წლის სწვლება „დიდი ნაბიჯის" პასუხი. ამასვე ადასტურებს რუსეთის შძ-ს გენერალური შტაბის უფროსის არმიის გენერალ მაკაროვის განცხადება, რომ ამ სწვლებების ჩატარებით რუსეთი მზადყოფნის დემონსტრირებას ახდენს რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილების შემთხვევაში.

ჩვენ „არსენალში" უკვე ვისაუბრეთ საომარი მოქმედების ამ თეატრში რუსეთ-ჩინეთს შორის არსებულ შეფარდებაზე. შეგახსენებთ, რომ ამ მიმართულებაზე რუსეთს ჰყავს 12 ბრიგადა, ჩინეთს – 9 დივიზია და 11 ბრიგადა. ზღვისპირეთსა და ხაბაროვსკის მხარეში რუსეთს აქვს თითო გამანადგურებელთა და ორ-ორი ბომბდამშენთა ავიაბაზა (ანუ შეკვეცილი ავიაპოლკი), ჩინეთის შენიანის სამხედრო ოლქს – 3 გამანადგურებელთა ავიადივიზია (7 პოლკი) და 1 საიერიშო ავიადივიზია (2 პოლკი). ბუნებრივია, რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს დასავლეთიდან ძალების სწრაფი გადასროლის უნარი, რისი შემუშავების მცდელობაც იყო „აღმოსავლეთი-2010"-ის სწავლების ძირითადი მიზანი. ისმის კითხვა, რამდენად ადეკვატური იყო სწავლება რეალურ სამხედრო-პოლიტიკურ ან თუნდაც ოპერატიულ მდგომარეობასთან. ჯერ ერთი, რუსეთმა რომც შეძლოს ბაიკალსიქით მთელი სახმელეთო და საჰაერო ძალების გადაყვანა, მაინც ვერ გაუტოლდება რაოდენობრივად ამ ოპერატიულ მიმართულებაზე მყოფ შენიანისა და პეკინის სამხედრო ოლქებს. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩინეთს კიდევ აქვს 5 სამხედრო ოლქი, რომელთა ძალებითაც შენიანისა და პეკინის სამხედრო ოლქები 2-3-ჯერ შეიძლება გაძლიერდეს, თანაც რუსეთისგან განსხვავებით, ჩინეთისთვის სამხრეთიდან ჩრდილოეთით ძალების გადასროლა განვითარებული შიდა კომუნიკაციების ხაზებით დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ამასთან, „სავარაუდო მოწინააღმდეგე" არ იქნება საქართველოს ტოლფასი, ამდენად დიდი ალბათობით მას საჰაერო უპირატესობა თუ არა, რუსეთზე არანაკლები ძალა ეყოლება ჰაერში, რაც იძულებულს გახდის რუსეთს საჰაერო გადასროლის მარშრუტები შეცვალოს მაქსიმალურად ჩრდილოეთისკენ და მხოლოდ შემდგომ სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს გულისხმობს დამატებით რამდენიმე ასეულ კმ-ს, რომ არაფერი ვთქვათ საწვავის, დროისა და ოპერატიულობის ზარალზე. ამავე დროს რაც უნდა „საჰაერო მრუდები" ხაზონ რუსმა მფრინავებმა, დანიშნულების აეროდრომები დარჩებიან იქ, სადაც ამჟამად არიან, ანუ მოწინააღმდეგის ავიაციის მოქმედების ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ სწავლებაზე ასევე დამუშავდა სარაკეტო-საავიაციო მასირებული დარტყმების მოგერიება, მაინც კითხვის ქვეშ დგას რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შესაძლებლობები თანამედროვედ აღჭურვილი მოწინააღმდეგის შესაკავებლად.

## „ვოსტოკ 2010" - სამხედრო ანალიზი

მალდ პრობლემატური იყო და რეაგირებას მოითხოვდა, მაგრამ გაურკვეველია, რით შეიძლება მასზე რეაგირება.

„აღმოსავლეთი - 2010"-მა ცხადყო რუსეთის შეიარაღებული ძალების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: არმიას არ ჰყოფნის ოფიცრები და უზრუნველყოფის სამსახურები. მაგალითად, ოფიცერთა ნაკლებობის გამო სწავლებაში მონაწილე ბრიგადების ძალების ნაწილმა (კერძოდ, ჰაერსაწინააღმდეგო ქვედანაყოფებმა) ვერ შეძლეს პოლიგონებამდე მიღწევა.

სწავლების შედეგი ფასდება მის წინაშე არსებული ამოცანებისა და საკითხების გადაწყვეტის ეფექტურობის მიხედვით. ჩვენ ჩამოვთვალეთ საკითხები და ამჟამად ვნახოთ თითოეულის შესრულების ხარისხი:

— მართვის სისტემა დაირღვა სწავლების საწყის ეტაპზევე. სწავლების ბოლოს თითოეული შტაბი თვითონ იგონებდა ამოცანას და თვითონვე წყვეტდა. არ იყო საერთო ჩანაფიქრი, არც ერთიანი მართვა;

— ბევრი ნაწილი და ქვედანაყოფი ვერ ჩავიდა სწავლების რაიონში. ჯარების ჰაერით გადასროლა, რუსი დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, იყო „ლამაზ ფარსი შოუს ელემენტებით";

— ჯარების სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემამ ვერ გაამართლა. აღმოჩნდა, რომ „ახალი სახის" დანაყოფებში ზურგი ძალზე სუსტია და ვერ ახერხებს მათ უზრუნველყოფას;

— რუსეთის შეიარაღებული ძალები არ არის მზად კონტრტერორისტული ან საერთო-საჯარისო საბრძოლო მოქმედებისთვის როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ ასპარეზზე.

რუსებმა მსოფლიოს აჩვენეს ლამაზი „პოკაზუხა", რომელზეც დაიხარჯა უდიდესი თანხები და რომლის ეფექტურობაც მიზერულია. „ახალი სახის" არმიის პრეზენტაცია ჩავარდა. აღმოჩნდა, რომ რეფორმები იყო მცდარი და ფუჭი.

„აღმოსავლეთი-2010"-ის დასრულების შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ვერაფრით ვერ წარმოადგინა სწავლების შემაჯამებელი ბრძანების დამუშავებული ვერსია. სანაცვლოდ, ქვეყნის მედიაში პერიოდულად ქვეყნდება უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელების კომენტარები, სადაც ლაპარაკია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და არმიის რეფორმირების ეფექტურობის დამადასტურებელი იყო ეს სწავლება. „აღმოსავლეთი-2010" რომ მართლაც მნიშვნელოვანი იყო, ეჭვი არავის ეპარება და გასაგებია დროის გაჭიანურებაც, რაც ჩემი აზრით, გამოწვეულია სახელისუფლებო წრეებში ამ სწავლების შედეგებზე გაჩაღებული კამათით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სერდიუკოვის შემაჯამებელ მოხსენებას, ალბათ, გაასაიდუმლოებენ.

რუსი და უცხოელი სამხედრო ექსპერტები სვამენ კითხვას, თუ რამდენად გააცნობიერებს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმ ფაქტს, რომ არ შეიძლება გაგრძელდეს ფანტაზიისა და სურვილების რეალობასთან არევა. მათი დიდი ნაწილი ეთანხმება იმ ფაქტს, რომ რუსეთის სამხედრო რეფორმა ჩავარდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოდერნიზების ფარგლებში (დეკლარირების დონეზე მაინც) გადაიდგა სწორი ნაბიჯებიც (სერჟანტთა როლის გაზრდა, სამხედრო-სამოქალაქო ფუნქციების გამიჯვნა, ოლქების ნაცვლად სარდლობების შექმნა და ა.შ.), მათ ეფექტი არ ექნება, თუკი რუსეთის შეიარაღებული ძალები რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლებით ვერ შეესაბამება მის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და შესაძლო საფრთხეებს. მერამდენედ იმეორებენ ერთსა და იმავე შეცდომას – მოწინააღმდეგე არ იომებს ისე, როგორც რუს სამხედრო მაღალჩინოსნებს უნდათ (სწორედ ამგვარი სცენარით წარიმართა „აღმოსავლეთი-2010"), ის იმოქმედებს ისე, როგორც მისთვის იქნება მოსახერხებელი. ეს აქსიომაა და ეხება არა მარტო რუსეთს.

**P.S.** სწავლების მთავარ საიდუმლოს მხოლოდ ახლახან აეხადა ფარდა. აღმოჩნდა, რომ წვრთნებში დანაყოფები „ძველი სახით" მონაწილეობდნენ, რადგან სწავლების დაწყების წინ ჯარები გადავიდნენ ახალ შტატებზე, რაც ძალაში აგვისტოში შედის. ისმის კითხვა, მაშინ რა საჭირო იყო ამ სწავლების ჩატარება, თუკი არმიაში ისედაც იგეგმებოდა ახალი გლობალური რეფორმები? პასუხი ამ კითხვაზე ჩვენ კი არა, მგონი, რუსებსაც არ გააჩნიათ.

*ვახტანგ კაპანაძე*
*ბრიგადის გენერალი*
*გენშტაბის ყოფილი უფროსი*

# „მსოფლიო დეტექტივების სერია"

**ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან" ერთად თითო კრიმინალური საქმე!**

ცნობილი ავტორები, კლასიკა და ბესტსელერები

როს მაკდონალდი

ჯონ დიქსონ კარი

ჯო ჰორზი

დეშილ ჰემეტი

ბორის აკუნინი

ჩარლზ პ. სნოუ



## ფასი 2 ლარი!

(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის ემუქრება რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთიდან C-300-ით

გასულ კვირას სენსაციასავით გავრცელდა ინფორმაცია — რუსეთმა ოკუპირებულ აფხაზეთში C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები განათავსა, რასაც ოფიციალური თბილისის კატეგორიული პროტესტი მოჰყვაო.

თუმცა, C-300-ის კომპლექსი რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გუდაუთაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, შემოდგომაზე შეიტანა. ინტერნეტში ფოტოსურათიც კი იდო, თუ როგორ ტვირთავდნენ გუდაუთის რკინიგზის სადგურში სარკინიგზო ღია პლატფორმიდან დაბალ სიმაღლეზე მფრენი სამიზნეების აღმომჩენ რადიოლოკაციურ სადგურს, რომელიც C-300-ის კომპლექსში შედის.

თითქმის ორი წელი ფუნქციონირებდა რუსული C-300 ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე და ოფიციალურ თბილისს პროტესტი მანამ არ განუცხ-



ქართველ პოლიტიკოსებს ორი წლის განმავლობაში ინტერნეტში კარგად რომ ჩაეხედათ, ამ სურათს აღმოაჩენდნენ, რომელზეც აღბეჭდილია გუდაუთის სარკინიგზო სადგურზე რუსული C-300-ის ერთ-ერთი ელემენტის — დაბალ სიმაღლეზე მფრენი სამიზნეების აღმომჩენი რადიოლოკატორის ჩამოტვირთვის პროცესი...

## C-300-ის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები

# C-300 და მისი რეალური შესაძლებლობები

საზენიტო სისტემა C-300 მსხვილი სამრეწველო და ადმინისტრაციული რაიონების, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა და სამხედრო ბაზების დასაცავად არის განკუთვნილი. დანიშნულებიდან გამომდინარე, მას როგორც აეროდინამიკური, ასევე ბალისტიკური სამიზნეების განადგურება შეუძლია. ეს იყო პირველი საბჭოთა სისტემა, რომლის საბაზო ვარიანტს ერთდროულად 12 სამიზნის გაცილება და მათგან 6-ისკენ რაკეტების გაშვება შეეძლო. სისტემაზე მუშაობა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და ის იმ მომენტისთვის ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების შეიარაღებაში არსებული მოძველებული — სტაციონარული მრავალარხოვანი C-25-ისა (მხოლოდ მოსკოვის გარშემო) და გადასაადგილებელი ერთარხიანი C-75 (საშუალო დისტანციის) კომპლექსების შესაცვლელად იყო გამიზნული.

1969 წელს საკონსტრუქტორო ბიურო Алмаз-მა ახალ საზენიტო სისტემაზე დაიწყო მუშაობა. კომპლექსი მრავალფუნქციური უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ის ერთდროულად სამ მოდიფიკაციად იქმნებოდა: C-300B, რომელიც სახმელეთო ჯარებისა და ჯავშანსატანკო დივიზიების დასაცავად; C-300Ф, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებზე უნდა განთავსებულიყო და C-300П — ის ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უზრუნველსაყოფად და არსებული კომპლექსების შესაცვლელად იყო გამიზნული.

რაც შეეხება რუსების მიერ აფხაზეთში, გუდაუთაში განთავსებულ საზენიტო სისტემას, ჩვენ მიერ მოძიებულ ფოტოებზე ნათლად ჩანს, თუ როგორ იტვირთება გუდაუთის სარკინიგზო სადგურში შემოსული მატარებლიდან 76H6-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგური. ეს უკანასკნელი რთული რელიეფზე დაბალ სიმაღლეზე მფრენი სამიზნეების აღმოსაჩენადაა განკუთვნილი და საზენიტო სისტემა C-300П-ის შემადგენლობაში შედის.

1978 წელს შეიარაღებაში ამ სისტემის პირველი ვარიანტი — C-300ПТ მიიღეს. მის აღნიშვნაში ლიტერა „T“ ტრანსპორტირებადს ნიშნავს, — შემადგენლობაში შემავალი ყველა ელემენტი ბაზირდებოდა მისაბმელებზე, რომლებიც გამწევებით გადაჰქონდათ. პოზიციაზე მოწყობისას გამწევებს მისაბმელებს ხსნიდნენ. მის შემადგენლობაში საკონსტრუქტორო ბიურო „ფაკელის“ შექმნილი ორი ტიპის რაკეტა შედიოდა: 5B55K და 5B55P. ორივეს გამშვებ მისაბმელზე დამაგრებული ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი ოთხი სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერიდან უშვებენ. რაკეტებს 20 მ სიმაღლეზე დენთის მუხტი ისვრის. პარალელურად იშლება აეროდინამიკური ზედაპირები და ავტოპილოტის ბრძანებით აირული საჭეები რაკეტას სამიზნისკენ ხრიან. ამავე დროს ჩაირთვება ერთსაფეხურიანი რაკეტის სამარშო ძრავაც. რაკეტის პირველ მოდიფიკაციას სამიზნის განადგურება 47 კმ დისტანციაზე შეეძლო, მეორეს — 75-90 კმ-მდე. C-300ПТ-ს სერიული წარმოება 80-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა. შემდგომ მან მოდერნიზაცია გაიარა და სერიულ წარმოებაში ნიშნულით C-300ПТ-1 ჩაუშვეს. წინამორბედისგან, მისი ყველა ელემენტი მისაბმელზეა ბაზირებული.

1982 წელს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებმა შეიარაღებაში მიიღეს სისტემა C-300ПС, სადაც ლიტერა „C“ — თვითმავალს ნიშნავს. მისი შექმნა ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში საზენიტო კომპლექსების ბრძოლაში გამოყენების გამოცდილებამ განაპირობა, მაშინ მათი სი-

ადებია, სანამ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ოფიციალურად არ აღიარა ეს ფაქტი.

თუკი ოფიციალურმა თბილისმა მართლაც არ იცოდა, რომ აფხაზეთში რუსული C-300 უკვე 2 წელია ფუნქციონირებს, მაშინ ეს ქართული სპეცსამსახურების უდიდეს ნაკლზე მიუთითებს, თავი რომ დავანებოთ აგენტურულ დაზვერვას. ქართული არმიის შეიარაღებაში ხომ არის „კოლჩუგის" ტიპის რადიოელექტრონული დაზვერვის კომპლექსი (5 წლის წინ უზომოდ გაბერილ ფასად — 15,6 მლნ დოლარად რომ შევიძინეთ), რომელსაც გამოსხივებული რადიოტალღების პელენგირება და ობიექტის იდენტიფიკაცია 600 კმ-ის რადიუსში შეუძლია. ორი წლის განმავლობაში გუდაუთასთან მდგარი რუსული C-300-ის ფაზირებულანტენიანი ლოკატორები იმ სიმძლავრის რადიოტალღებს გამოასხივებდნენ, რომელთა დაუფიქსირებლობა არ შეიძლებოდა.

სხვათა შორის, ამერიკული მხარისთვის ახალი სულაც არ აღმოჩნდა რუსული C-300-ების აფხაზეთში გამოჩენა, მათაც თავიდანვე იცოდნენ ეს ამბავი, მაგრამ, საინტერესოა, რატომ არ აცნობეს ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი მეგობარი საქართველოს ხელისუფლებას? ან თუკი გაუზიარეს, რატომ დუმდა დღემდე ოფიციალური თბილისი და პროტესტს რატომ არ აცხადებდა?

რუსული C-300 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების შემოტანა ოკუპირებულ ქართულ მიწებზე (ჯერ აფხაზეთში, მომავალში კი ალბათ ცხინვალის რეგიონშიც) უბრალო ფაქტი როდი გახლავთ და იგი ჩვენთვის ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე გალში ჩაყვანილი რუსული ტანკები, თუ ახალგორთან დაყენებული ჰაუბიცები.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს დიდი იმედი აქვთ, რომ დასავლეთი და პირველ რიგში — NATO პროტესტს განუცხადებს რუსეთს ოკუპირებულ აფხაზეთში C-300-ის განთავსების გამო. ზოგიერთი ჩვენი თუ რუსი პოლიტიკოსის აზრით, აფხაზეთში C-300-ის შეტანით მოსკოვი არღვევს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის ადაპტირებულ ხელშეკრულებას, რომელიც 1999 წელს სტამბოლში დაიდო.

ქართველ სახელმწიფო მოხელეებს ამ ორივე იმედის დიდი გაქარწყლება ელოდებათ, — ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ისევე როგორც სხვა ევროპელი სახელმწიფოები, თავისი განცხადებებით მხოლოდ შეშფოთებას თუ გამოხატავს. კაცმა რომ თქვას, რატომ აქამდე არ განაცხადა პროტესტი აშშ-ის ხელისუფლებამ, თუკი მისმა დაზვერვამ ჯერ კიდევ ორი წლის წინ იცოდა ოკუპირებულ აფხაზეთში C-300-ის შეტანის ფაქტი?!

რაც შეეხება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებას, ის არასოდეს ითვალისწინებდა საზენიტო-სარაკეტო ტიპის შეიარაღების შეზღუდვას, რადგან ამ კლასის საბრძოლო ტექნიკა განეკუთვნება თავდაცვით იარაღს და რუსეთს ვერავინ დააბრალებს სამხრეთ ფლანგზე შემტევი შეიარაღების გადასროლას. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2007 წლის ბოლოდან მოსკოვმა შეაჩერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის ადაპტირებულ ხელშეკრულებაში მონაწილეობა, თუმც სისტემატურად იღებდა მონაცემებს ქართული არმიის შეიარაღებაზე, რომლებსაც დასავლელი ვერსიფიკატორები სისტემატურად ამოწმებენ.

სხვა საქმეა, რამდენად ჩაითვლება C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო

## C-300-ის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები

ცოცხლისუნარიანობა უმეტესწილად სწორედ მობილურობაზე იყო დამოკიდებული. სისტემის მისაბმელიან მოდიფიკაციას გასაშლელად კი 90 წთ სჭირდებოდა. ახალ კომპლექსში კი ეს ხანგრძლივობა 5 წთ-მდე შემცირდა. ეს უნივერსალური შასის დამსახურება იყო, — კომპლექსის შემადგენლობაში შემავალ ყველა ელემენტს ჰქონდა თავ-თავისი შასი, რომლებიც მაღალი გამავლობის ოთხღერძიანი МАЗ-543М-ის ტიპის მანქანაზე მონტაჟდებოდა. ახალ საზენიტო სისტემის შემადგენლობაში იმავე ტიპის რაკეტები შევიდა, რაც მისაბმელიან სისტემას ჰქონდა. განსხვავება, თუ არ ჩავთვლით შასის, აღმოჩენის საშუალებებში იყო.

სისტემა С-300ПС მოქმედებს დივიზიონის სახით, რომლის შემადგენლობაშიც 90Ж6-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის სამი ბატარეა შედის. თავის მხრივ, ამ უკანასკნელის შემადგენლობაში ირიცხება:

— რადიოლოკაციური სადგური 5Н63С, რომელიც სამიზნის აღმოჩენის, დასხივებისა და მისთვის რაკეტის დამიზნებისთვის გამოიყენება;

— სამი გამშვები დანადგარი, თითოეულზე რაკეტების ოთხი სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერი მაგრდება, ერთი — 5П85С-ისა და დანარჩენი ორი — 5П85Д-ს ტიპისაა.

დივიზიონის შემადგენლობაში შემავალ სამივე ბატარეის მუშაობას აკონტროლებს ერთი სამეთაური-საკომანდო პუნქტი, რომელიც კომპლექსებისგან მოწოდებულ ინფორმაციას ერთიან საინფორმაციო ველში აერთიანებს. იმ შემთხვევაში, თუ საბრძოლო მოქმედება დივიზიონს საკომანდო პუნქტისგან მოშორებით უწევს, მაშინ მის შემადგენლობაში, სამკოორდინატიანი რადიოლოკაციური სადგური 36Д6 შეჰყავთ.

საზენიტო სისტემის „თვალხედვის არეალის" გასაზრდელად, დივიზიონის შემადგენლობაში შეიყვანეს დაბალ სიმაღლეებზე მფრენი სამიზნეების აღმოსაჩენად



რაკეტის გაშვების მომენტი სისტემა С-300ПТ-დან

სისტემა მხოლოდ თავდაცვით იარაღად, მით უმეტეს — სამხრეთ კავკასიის არცთუ ისე დიდ რეგიონში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ С-300-დან გაშვებული რაკეტით შეიძლება წყალზედა მცურავი საშუალების დაზიანებაც, რომელსაც მნიშვნელოვანი რადიოლოკაციური შემჩნევადობა აქვს.

С-300-ის საზენიტო რაკეტების მოქმედების რადიუსი (მოდიფიცირების მიხედვით) 75-დან 200 კმ-მდე მერყეობს. თუკი გუდაუთიდან რუსი სამხედროები გალის რაიონში გადმოიყვანენ თავიანთ С-300ПС (სავარაუდოდ, აფხაზეთში სწორედ ეს მოდიფიკაციაა ჩაყვანილი, რომელიც საჰაერო სამიზნეებს 75-90კმ სიშორეზე და 25კმ სიმაღლეზე აზიანებს) ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს, მაშინ დაზიანების რადიუსში აღმოჩნდება საჰაერო სივრცე ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის თავზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სენაკსა და ზუგდიდზე; ანუ რუსი მეზენიტეები გააკონტროლებენ თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს საჰაერო სივრცეს 100-200 მ სიმაღლიდან.

ოკუპირებულ ახალგორის რაიონში იგივე С-300 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის განთავსების შემთხვევაში კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს, მათ შორის, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, მარნეულის სამხედრო-საჰაერო ბაზა, თბილისის საავიაციო ქარხნის და ვაზიანის აეროდრომები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ აეროდრომებიდან აფრენილი თვითმფრინავები (სამოქალაქო და მით უმეტეს, სამხედრო) სიმაღლის აღებისთანავე აღმოჩნდებიან რუსული საზენიტო კომპლექსის რადარების თვალთვალის არეალში და მათი საზენიტო რაკეტების დამიზნების სისტემაში იქნებიან ჩაჭერილნი.

საბჭოთა დროიდან საჰაერო ფრენების მარშრუტი აღმოსავლეთიდან დასავლეთით და პირიქით, სოფელ ალის (სურამის ზემოთ) თავზე გადიოდა. ოკუპირებულ გალისა და ახალგორის რაიონებში С-300-ების ამოქმედების შემდეგ ქართული შვეულმფრენებისა და მოიერიშე თვითმფრინავების პილოტებს ამ მარშრუტზე უარის თქმა მოუწევთ და უფრო სამხრეთით, დაბალ სიმაღლეებზე უნდა იფრინონ, რომ როგორმე არ მოხვდნენ რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების რადარების მოქმედების არეალში. ანალოგიური უსაფრთხოების ზომების მიღება აუცილებელი გახდება საქართველოს პრეზიდენტის შვეულმფრენისა და სამგზავრო თვითმფრინავის ეკიპაჟებისთვისაც, რადგან მათ მთავარ მგზავრს ფრენა ძალიან უყვარს.

თბილისიდან ბათუმში ჩასაფრენად სამხრეთის მარშრუტის შერჩევა აბსოლუტური გამოსავალი არ არის, რადგან მეზობელი სომხეთის გიუმრის რუსულ სამხედრო ბაზაზე ათ წელზე მეტია განთავსებულია საჯარისო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის განკუთვნილი С-300В ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემა. მუხლუხებიან შასიზე განთავსებული ეს სისტემა 300 კმ რადიუსში აღმოაჩენს საჰაერო სამიზნეს და მას 75-100 კმ (გააჩნია რაკეტების ტიპს) სიშორიდან აზიანებს. გიუმრიდან უშუალოდ სომხეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს გადმოსროლილ რუსულ С-300В-ს შეეძლება საქართველოს სამხრეთით საჰაერო სივრცის დიდი ნაწილის გაკონტროლება, მათ შორის ახალციხის, ბორჯომისა და ხაშურის თავზეც.

რა გამოდის? თუკი ერთდროულად იმოქმედებენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გალსა და ახალგორის რაიონებში შეყვანილი რუსული

## С-300-ის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები

განკუთვნილი 5Н66М-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგური, რომელიც სპეციალურ გასაშლელ ანძაზე არის განთავსებული. თავიდან მისი სიმაღლე 25 მ-ს შეადგენდა, შემდგომში კი ორსექციური ანძა უკვე 39 მ-ზე იშლებოდა. დაკეცილი მისაბმელით გადააქვთ, მოუწყობელ პოზიციაზე მისი გაშლა 2 სთ-ში შეიძლება.

80-იან წლებში რადიოლოკაციურ სადგურს მოდერნიზაცია ჩაუტარეს და შეიარაღებაში მისი ახალი ვარიანტი — 76Н6 მიიღეს. სწორედ ის გადმოტვირთეს გუდაუთის სარკინიგზო სადგურში 2008 წლის შემოდგომაზე. ის გაცილებით ზრდის კომპლექსის შესაძლებლობებს და საქართველოს მთიანი რელიეფიდან გამომდინარე, მისი ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე სარაკეტო სისტემის შემადგენლობაში შეყვანა გამართლებულია. 500 მ სიმაღლეზე სამიზნის აღმოჩენა მას 90 კმ, 1000 მ-ზე კი — 120 კმ დისტანციაზე შეუძლია. ამ დროს სამიზნის სიჩქარე 740 მ/წმ-ს (2640.76 კმ/სთ) არ უნდა აღემატებოდეს. მას ერთდროულად 180 სამიზნის გაკონტროლება შეუძლია, მათი აღმოჩენისას ცდომილება სიჩქარეში 2.7 მ/წმ-ს (9.6 კმ/სთ), ხოლო დისტანციაში 2 კმ-ს შეადგენს. ამ ტიპის რადიოლოკაციური სადგურის გარდა, გასაშლელ ანძებზე ბატარეის შემადგენლობაში შემავალ სამეთაურო მანქანაზე არსებულ 30Н6-ის ტიპის რადიოლოკაციურ სადგურსაც ათავსებენ.



სისტემა С-300ПМ: რადიოლოკაციური სადგური 30Н6 და გამშვები დანადგარები 5П85С

ჩვენ აფხაზეთში განთავსებული საზენიტო სისტემის ელემენტებისგან მხოლოდ 76Н6-ის ფოტო გვაქვს, მაგრამ С-300ПС-ის გარდა, ის მის მოდერნიზებულ ვარიანტ С-300ПМ-ის შემადგენლობაშიც შედის, რომელიც შეიარაღებაში 1993 წელს მიიღეს.

თუ С-300ПТ-ისა და С-300ПС-ის ერთმანეთისგან განსხვავება შასის ბაზით შეიძლება, ახალი სისტემა ცოტა რთულია. შემკვეთის სურვილისამებრ, რაკეტებს როგორც ინდივიდუალურ შასიზე, ასევე მისაბმელებზე ათავსებენ (განსხვავება მხოლოდ გამშვებ ელემენტებზე ვრცელდება). გარდა ამისა, თავად სისტემასაც უფრო ფართო შესაძლებლობები აქვს. მთავარი სიახლე კი 48Н6Е-ს ტიპის რაკეტებია, რომელთა გამოყენების დისტანციაც 150 კმ-

C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომელთაც სამხრეთიდან, სომხეთის ტერიტორიიდან მიუერთდება გიუმრის რუსული სამხედრო ბაზის C-300B ტიპის კომპლექსიც, მაშინ აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთით და პირიქით, გადაფრენები საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე რუსული საზენიტო რაკეტების სროლის საშიშროების გამო შეიძლება საერთოდ ჩაიკეტოს. ერთადერთ გამოსავლად რჩება შვეულმფრენების ფრენა დაბალ და ზედაბალ სიმაღლეზე ხეობის გასწვრივ და მთაგორიანი რელიეფის გამოყენებით, რომლებიც „აბრმავებენ" რუსულ ლოკატორებს.

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსული C-300-ების გამოჩენა მარტო საქართველოსთვის როდია თავსატეხი. მოსკოვი ცდილობს, სამხრეთ კავკასიაში აღადგინოს საბჭოთა დროინდელი საჰაერო სივრცის კონტროლის ერთიანი სისტემა. ეს კი სერიოზული გამოწვევა იქნება NATO-ს წევრი ქვეყნებისთვის, პირველ რიგში კი თურქეთისთვის, ასევე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი შავი ზღვისპირა სახელმწიფოებისთვის — ბულგარეთისა და რუმინეთისთვის.




საჰაერო სივრცე რომელსაც რუსები С-300ПМ-ით გააკონტროლებენ
С-300ПМ-ის რაკეტების მოქმედების რადიუსი გუდაუთიდან და აგუძერიდან
საჰაერო სივრცე რომელსაც რუსები С-300В-თი გიუმრიდან აკონტროლებენ
გიუმრში არსებული С-300В-ის რაკეტების მოქმედების რადიუსი

C-300-ების ოკუპირებულ ქართულ მიწებზე შემოყვანა ამ პროცესის დასასრული სულაც არ არის. რუსეთი ქმნის სამხრეთის მიმართულების სარდლობას და აპირებს 2014 წლამდე გადააიარაღოს თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით თავისი სამხედრო შენაერთები ჩრდილო კავკასიაში, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, სომხეთში, ასევე შავი ზღვის ფლოტისა და კასპიის ზღვის ფლოტილია. ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინ არის...

ირაკლი ალადაშვილი

## С-300-ის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები

მდეა გაზრდილი. С-300ПМ-ის ბატარეის შემადგენლობაშია:

— აღმოჩენისა და დასხივების რადიოლოკაციური სადგური 30Н6. ის ერთდროულად 100 სამიზნეს აკონტროლებს და შეუძლია მაქსიმალურ 300 კმ დისტანციაზე აღმოაჩინოს სამიზნე, რომელიც 2800 მ/წმ (10024.94 კმ/სთ) მაქსიმალური სიჩქარით მიფრინავს;

— 12 5П85С-ის (თვითმავალ შასიზე) ან 5П85Т-ის (მისაბმელიან შასიზე) ტიპის გამშვები დანადგარი შედის. თუ პოზიციაზე ერთდროულად 6 ბატარეა მოქმედებს (ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბატალიონი), მაშინ მათ მუშაობას საერთო საკომანდო პუნქტი და საშუალო და დიდ სიმაღლეებზე მფრენი სამიზნის აღმომჩენი რადიოლოკაციური სადგური 64Н6 ემატება. მასზე ორმაგი ფაზირებულცხაურიანი ანტენა გამოიყენება. სამიზნის აღმოჩენა მას 300 კმ დისტანციაზე შეუძლია და ერთდროულად 200 სამიზნეს აკონტროლებს. სამიზნის დასაფიქსირებლად ამ უკანასკნელის სიჩქარე 10000 კმ/სთ-ს არ უნდა აღემატებოდეს, ანუ პრაქტიკულად ატმოსფეროს ფარგლებში მფრენი ნებისმიერი საფრენი აპარატის დაფიქსირება შეუძლია. შემდგომში სწორედ ამ სისტემის ბაზაზე შეიქმნა მისი საექსპორტო ვარიანტები: С-300ПМ□, С-300ПМ□-1 და С-300ПМ□2 Фаворит.

რაც შეეხება სახმელეთო ჯარებისა და ჯავშანსატანკო დივიზიების დასაცავად განკუთვნილ С-300В-ს, ის არ შედის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ოჯახში და სულ სხვა საკონსტრუქტორო ბიუროს ქმნილებაა. თუმცა მას გაცილებით შთამბეჭდავი მახასიათებლები აქვს, — აეროდინამიკური სამიზნეების გარდა, მას სახმელეთო ბაზირების „ლანსისა" და „პერშინგის" ტიპის ბალისტიკური რაკეტებისა და საავიაციო ბაზირების ფრთოსანი რაკეტების განადგურებაც შეუძლია. დანიშნულებიდან გამომდინარე, სისტემის შემადგენლობაში შემავალ ყველა ელემენტს ინდივიდუალური, მუხლუხიანი შასი აქვს.

სისტემა С-300В მოქმედებს დივიზიონის შემადგენლობაში, რომელშიც ოთხი ბატარეა შედის. ბატარეა 10 კომპონენტს შეიცავს. შესაბამისად, სულ 43 ერთეული გამოდის. აეროდინამიკური სამიზნეების განადგურება კომპლექსს 100 კმ დისტანციაზე და 0.025-30 კმ სიმაღლეზე შეუძლია. კომპლექსის სროლის ტემპი წამში 1,5-აა, მორიგეობის რეჟიმიდან საბრძოლოზე გადასვლელად მას მხოლოდ 40 წმ სჭირდება. დივიზიონის საბრძოლო კომპლექტი 96-192 რაკეტას ითვლის.

მესამე სისტემა С-300Ф — სამხედრო ხომალდებზე განსათავსებლად არის გამიზნული. სისტემის პირველი ვარიანტი С-300Ф Форт-ი С-300П-ს ბაზაზე შეიქმნა და ანალოგიური სარაკეტო შეიარაღება ჰქონდა. ის შეიარაღებაში 1983 წელს მიიღეს. ხომალდზე რაკეტები გამშვებ კონტეინერებში ვერტიკალურად, დოლური ტიპის გამშვებ დანადგარშია განთავსებული. თითო 8 რაკეტას იტევს. ეს სისტემა 1164 Атлант-ის პროექტის კრეისერებზეა განთავსებული. სულ ამ პროექტის ოთხი ხომალდი აიგო. თითოზე 8-8 გამშვები დანადგარია დაყენებული. საბრძოლო კომპლექტი — 64 რაკეტა.

შემდგომში საზღვაო კომპლექსმა მოდერნიზაცია გაიარა. ახალ С-300ФМ Форт-М-ს მხოლოდ 1144 Орлан-ის პროექტის მძიმე ატომურ კრეისერებზე აყენებენ. პროექტით ოთხი ხომალდი აიგო. ეს სისტემა С-300ПМ/ПМУ-ს დონემდეა მიყვანილი და მისივე რაკეტებს იყენებს. 1144-ე პროექტის მიხედვით შექმნილი ხომალდების მწყობრში არსებულ ერთადერთ წარმომადგენელზე ერთი С-300Ф — 48 ერთეული 48Н6 რაკეტით და ერთი С-300Ф□, 46 ერთეული 48Н6Е2 რაკეტით.

სისტემა С-300-ის სხვადასხვა მოდიფიკაცია რუსეთის, ინდოეთის, საბერძნეთის, ვიეტნამის, უნგრეთის, ალჟირის, ბელორუსიის, ბულგარეთის, სომხეთის, სლოვაკეთის, ყაზახეთის, უკრაინის, ჩინეთის (უშვებს საკუთარ ვარიანტებს) და სავარაუდოდ, სირიისა და ირანის შეიარაღებაშია.

თემურ პულუზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენერალი რომელიც თადარიგში არ გასულა

## ოთხვარსკვლავიანი ამერიკელი გენერალი, რუსებთან ღია დაპირისპირების შემდეგ... ავტოკატასტროფაში დაიღუპა...



ამ კაცის ცხოვრება ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებისაგან შედგებოდა. სერიოზულად არასოდეს უფიქრია სპორტზე და ლამის ოლიმპიურ ჩემპიონობას მიაღწია. ამერიკული არმიის ყველაზე შეუპოვარი გენერალი, ნაციზმთან მებრძოლი, დასავლეთ ევროპის ფაშიზმისაგან განმათავისუფლებელი, თანამედროვეთ აცვიფრებდა თავისი გამონათქვამებით არიული რასის თითქოს უპირატესობის შესახებ. ქრისტიანული სულიერი ფასეულობების დამცველი სიცოცხლის ბოლოს ძველ გერმანელთა ომის ღმერთებს ეთაყვანებოდა. მოსიყვარულე მეუღლე და ალერსიანი მამა, ხელქვეითებზე მზრუნველობით გამორჩეული, ბრძოლის წინ ტყვეების გაულეტას მოუწოდებდა ჯარისკაცებს. მას შეეძლო დაბომბვებისა და არტილერიის ცეცხლში მოყოლილს „ილიადას" ციტირება, ცოტა ხნის შემდეგ კი ბილწსიტყვაობის ისეთი კორიანტელის დაყენება, რომ ასეთ საქმეში გამოწრთობილი ძველი კაპრალები გაკვირვებისგან პირდაღებულები ხვდებოდნენ. იგი დღედაღამ შეუსვენებლად ავარჯიშებდა ჯარისკაცებს, რითაც მათ გაღიზიანებას და ზიზღს იწვევდა. როცა საქმე ბრძოლაზე მიდგებოდა, ჯარისკაცების უმრავლესობა ცდილობდა მისი მეთაურობით ებრძოლა. როგორც ისინი ამბობდნენ, ეს მათ დაბრუნების შანსს არგუნებდა. ამ კაცს ჯორჯ სმით პატონ-უმცროსი ერქვა.

### ოლიმპიელი და ბანდიტო

იგი 1885 წლის 11 ნოემბერს კალიფორნიის შტატის დაბა სან-გაბრიელში დაიბადა. მისი წინაპრები ამერიკაში ჯერ კიდევ შეერთებული შტატების შექმნამდე გადასახლებულან და სიმამაცით გამორჩეულებს ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე ყველა ომში მიუღიათ მონაწილეობა.

არცთუ მდიდარი, მაგრამ წელგამართული, კეთილშობილი მოდგმის მიწათმოქმედის, ტიპური სამხრეთელი ფერმერის საყვარელი შვილი ადრე მოსწყვიტეს ბავშვურ გართობებს და წიგნების გარემოცვაში მოაქციეს. მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ შვიდი წლის ჯორჯს წმინდა წერილის და შექსპირის ტრაგედიების მოზრდილი მონაკვეთების ზეპირად ციტირება შეეძლოო. მაგრამ ნიჭიერი ყმაწვილის გონება მხოლოდ ამას როდი სჯერდებოდა, იგი მოხიბლული იყო 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის გმირებით, განსაკუთრებით მოსწონდა კავალერიის გენერლები, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის მხარეს იბრძოდნენ ისინი, კონფედერატები იყვნენ თუ ჩრდილოელები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბავშვობიდანვე ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე.

ჯერ კადეტთა სკოლა დაამთავრა ვირჯინიაში, შემდეგ ვესტ-პოინტში სამხედრო სასწავლებელი, საიდანაც მეორე ლეიტენანტის წოდებით კავალერიის ერთ-ერთ პოლკში ჩაირიცხა და მთლიანად გადაეშვა სამხედრო სამსახურში. იგი მშვენიერი მოჯირითე, მოფარიკავე და მსროლელი იყო. თუმცა ჯორჯმა პირველ წარმატებას არა როგორც თავზე ხელაღებულმა კავალერისტმა, არამედ როგორც სპორტსმენმა მიაღწია. 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე პირველად შეიტანეს პროგრამაში თანამედროვე ხუთჭიდი, რომელსაც მაშინ ოფიცერთა ხუთჭიდს უწოდებდნენ. ლეიტენანტ პატონს წილად ხვდა პატივი ამ სპორტში დაეცვა სახელმწიფო დროშის ღირსება.

აშშ-ის არმიის სარდლობამ ახალგაზრდა ოფიცერს მოსამზადებლად ერთი თვე მისცა. ეს დრო სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ვესტ-პოინტის სამხედრო სკოლის ყოფილი კურსანტისთვის. ოლიმპიადაზე გამოსვლა ჯორჯმა ფარიკაობაში საფრანგეთის ჩემპიონის სენსაციური დამარცხებით დაიწყო. შემდეგი ეტაპი იყო კროსი. პატონს, რომელიც ცხენზე უკეთესად გრძნობდა თავს, ვიდრე ქვეითად, იმდენად გაუჭირდა, რომ ფინიშის შემდეგ დაეცა და გონება ლამის დაკარგა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ლიდერთა ჯგუფში იყო. ცხენით წინააღმდეგობების გადალახვამ კი მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაამყარა. ცურვის შემდეგ იგი ოდნავ ჩამორჩა, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონობის რეალური შანსი შეინარჩუნა. ხუთჭიდის უკანასკნელი სახეობა პისტოლეტის სროლა იყო. სპორტსმენები იარაღის სახეობას თვითონ ირჩევდნენ. პატონის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობამ მცირეკალიბრიან იარაღს მიანიჭა უპირატესობა, მსუბუქი უკუცემისა და მიზანში მოხვედრის კარგი ხარისხის გამო.

საკუთარ თავში არცთუ უსაფუძვლოდ დარწმუნებულმა ჯორჯმა მისთვის უფრო მოხერხებული ამერიკული „კოლტი" აირჩია. მშვიდად გავიდა საცეცხლე ხაზზე, დაუმიზნა და მსუბუქად დაჭლა? დაჭერა საჩვენებელი თითით სასხლეტს. როცა მსაჯებმა შედეგი გამოაცხადეს, ყველა გაოცებისგან გაშეშდა: რვა ათიანი, ორი ტყვია კი ისე დაიკარგა, სამიზნეზე ნიშანი არ დაუტოვებია. იგი მხოლოდ? მხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა. ასე დარჩა ლეიტენანტი პატონი ოლიმპიური მედლის გარეშე. მოგვიანებით, უკვე პროტოკოლის გაფორმების და დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, ამერიკელთა გუნდის „ურწმუნო" წარმომადგენელმა შეამოწმა იმ ადგილის ტყვიის დამჭერი, სადაც ჯორჯის სამიზნე ეკიდა და ამერიკული „კოლტის" ათივე ტყვია იპოვა. აღმოჩნდა, რომ პატონს ორი ტყვია წინა ნატყვიარებში ისე ზუსტად მოეხვედრებინა, რომ შეუიარაღებელი თვალით ამის დანახვა შეუძლებელი იყო. რადგან უკვე დაგვიანებული იყო, ამერიკელებს აპელაციისათვის არ მიუმართავთ. პატონმა კი თითქოს არაფერი მომხდარაო, აუღელვებლად დატოვა შვედეთი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ისევ დაბრუნდა ევროპაში, რათა საფრანგეთის სამხედრო სკოლებში კავალერისტების უმაღლესი კურსები გაევლო. ახალგაზრდა ოფიცერი ბრწყინვალედ ითვისებდა ყოველივე ახალს. ამერიკაში დაბრუნებულმა ცხენოსანთა ბრძოლის სახელმძღვანელოც კი დაწერა და გამოსცა, უფრო მეტიც, მან კავალერისტის ხმლის მოდერნიზაცია ჩაიფიქრა და შექმნა სახელგანთქმული M1913, რომელიც იმავე წელს მიიღეს შეერთებული შტატების







პატონმა საფრანგეთში საკავალერისტო სკოლაში ისწავლა, ამერიკაში დაბრუნებულმა ჯერ სახელმძღვანელო დაწერა და გამოსცა, შემდეგ კი შექმნა სახელგანთქმული კავალერისტის ხმალი M1913, რომელიც მაშინვე მიიღეს შეიარაღებაში

ჯორჯი არ იცილებდა თავის სახელგანთქმულ „ოლიმპიურ კოლტს“ Colt-45-Model-1873-Single-Action-Revolver-ს, რომელმაც არაერთი რთული სიტუაციის დაძლევაში გაუწია სამსახური... (ზედა ფოტოზე აშკარად ჩანს კოლტის ტარი)

კავალერისტული ნაწილების შეიარაღებაში.

როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ამერიკელებმა არ იჩქარეს მასში მონაწილეობა, რადგან საკუთარი პრობლემებიც ბლომად ჰქონდათ, — სამხრეთის საზღვრებთან თავისუფლებისმოყვარე მექსიკა დუღდა და ჩრდილოელ მეზობელს სიურპრიზებით ემუქრებოდა; 1916 წელს გენერალ პერშინგის არმია, რომლის შემადგენლობაში პატონის კავალერისტული პოლკიც ირიცხებოდა, გათავხედებული პანჩო ვილიას რაზმების დასასჯელად მექსიკაში შეიჭრა. ჯორჯს ოქროს ხანა დაუდგა. დრო, როცა მანევრირებულ, ნახევრად პარტიზანულ ომში გადამწყვეტი როლი არა ინსტრუქციების და ბრძანებების ბრმა შესრულებას, არამედ ინიციატივას, ოფიცრის საზრიანობას, სიმამაცეს და პროფესიონალიზმს ენიჭებოდა. მალე ისეთი თავზე ხელაღებული მეთაურის სახელი მოიხვეჭა, რომელიც არასდროს კარგავდა სიმშვიდეს. ერთხელ დაზვერვაზე ლეიტენანტი პატონი ისეთ ხათაბალაში გაეხვია, რომ ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მაგრამ ღირსეულად გამოვიდა მდგომარეობიდან: მარცხენა ხელით „ფორდს“ მართავდა, მარჯვენაში კი თავისი საყვარელი ოლიმპიური „კოლტი“ ეკავა, როცა გამოდევნებული მექსიკელი მხედრებისგან თორმეტი სიცოცხლეს გამოასალმა, მათ შორის პანჩო ვილიას ორი გენერალი (დღევანდელი საველე მეთაურები). ამ შემთხვევის შემდეგ ჯორჯი გენერალ პერშინგს წარუდგინეს, რომელმაც რომ გაიგო მისი გმირობის ამბავი, მეტსახელად ბანდიტო უწოდა და მას შემდეგ მუდმივ მეთვალყურეობას უწევდა მოწონებულ ოფიცერს. მექსიკაში პატონმა თითქმის ორი წელიწადი იომა, ამ დროის განმავლობაში განსაკუთრებული სისასტიკე არ გამოუჩენია, უბრალოდ თავის მეომრულ საქმეს ასრულებდა. თუმცა მომავალ გენერალს „ახალგაზრდა მექსიკური რევოლუციის მოხრჩობაში“ მონაწილეობა საბჭოთა ისტორიკოსებმა და იდეოლოგ-პროპაგანდისტებმა არაერთხელ შეახსენეს. 1917 წელს გენერალი პერშინგი ევროპაში გაემგზავრა და თან გაიყოლა ჯორჯიც, რომელშიც იგი დიდი მომავლის მქონე ნიჭიერ ოფიცერს ხედავდა.

## ფოლადის საბრძოლო ეტლები

ამერიკის საექსპედიციო ნაწილების საფრანგეთის ნაპირებთან გადასხმის პირველსავე დღეებში პატონს კაპიტნის წოდება მიანიჭეს. მალე ახალ წოდებას შესაბამისი გამწესება მოჰყვა. ჯორჯი ერთ-ერთ ფრანგულ ნაწილში გაიგზავნა, სადაც მან დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღო კემბერესთან ბრძოლებში (ამ ბრძოლებში ტანკები, როგორც არსებითი სამხედრო ძალა, პირველად გამოიყენეს). მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი ტანკები მოუქნელ რკინის ვეება „ურჩხულებს“ ჰგავდნენ და მათი სიჩქარე საშუალო სისწრაფით მორბენალი ადამიანისას არ აღემატებოდა, როცა პატონმა ისინი ბრძოლაში ნახა, არა მხოლოდ ღირსეულად შეაფასა ახალი ტიპის სამხედრო შენაერთების შესაძლებლობები და პერსპექტივები, არამედ მათი ფანატიკოსი გახდა.

გენერალ პერშინგის შტაბში დაბრუნებულმა პატონმა კავალერიიდან სატანკო კორპუსში გადასვლა მოახერხა. ეს შენაერთი, რომელიც აშშ-ის პირველი არმიის შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო, ევროპაში იქმნებოდა, მაგრამ სანამ მანქანებს ბრძოლაში ჩააბამ, საჭიროა ეკიპაჟების შერჩევა, მათი მომზადება-გაწვრთნა, ტანკების ბრძოლაში გამოყენების ტაქტიკის შემუშავება. გენერალ პერშინგს იმედი ჰქონდა, რომ პატონი ღირსეულად გაუძღვებოდა ახალ საქმეს, ამიტომ ვადაზე ადრე მიანიჭა მაიორის წოდება ბანდიტო ჯორჯს და 1917 წელს ქალაქ ლანგრეში გახსნილი ამერიკის სატანკო სკოლის უფროსად დანიშნა.

ასე რომ, ბედისა და განგების წყალობით პატონი ერთ-ერთი იმათგანი აღმოჩნდა, ვინც სატანკო ბრძოლების თეორიებისა და პრაქტიკის შექმნის სათავეებში იდგა. ერთ დროს თავზე ხელაღებულმა კავალერისტმა ბედაური ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით აღჭურვილ „რკინის საბრძოლო ეტლზე“ გაცვალა, რათა ჯერ თვად ესწავლა და შემდეგ სხვებისთვისაც ესწავლებინა არა მარტო მათი მართვა, არამედ მათი მეშვეობით გამარჯვებების მიღწევა. როცა პატონი მოგვიანებით შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, გააანალიზა ევროპაში მიღებული გამოცდილება და გამოაქვეყნა სტატიები, რომლებიც ჯავშანსატანკო ნაწილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგად ტაქტიკას მოიცავდა. გარდა ამისა, წამოაყენა რამდენიმე ნოვატორული წინადადება კოშკურების კონსტრუქციის გასაუმჯობესებლად და 1920 წელს ერთ-ერთმა პირველმა აღძრა ტანკების რადიოკავშირით აღჭურვის საკითხი; მაგრამ ეს ყველაფერი უკვე შემდეგ მოხდა, მანამდე კი, 1918 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებში პირველმა 304-ე სატანკო ბრიგადამ საბრძოლო ნათლობა არაგონის იერიშისას მიიღო. ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაური მაიორი პატონი ამ ბრძოლაში დაიჭრა სან-მიხელთან. როცა მისი ქვედანაყოფის ტანკები ტალახში ჩაეფლნენ, ჯორჯი ჯავშანმანქანიდან ამოვიდა, რათა მეკავშირე ეპოვა და საშველად გაეგზავნა, სწორედ ამ დროს მოხვდა მას დუნდულოში ბრმა ტყვია. ცხელი ტყვია მეორე მხარეს გავიდა, მაგრამ პატონს სამუდამოდ სამახსოვრო დაუტოვა. წლების შემდეგ სამხედრო ნაწილებში გამართულ წვეულებებზე იგი შარვალს იხდიდა ხოლმე და დამსწრეებს ნაჭრილობევს უჩვენებდა, თან თავს „ნახევარ ტ...იან გენერალს უწოდებდა“.

ჭრილობა პატონმა სწრაფად მოიშუშა და კვლავ მწყობრში დაბრუნებულმა მეზოისსა და არგონთან ბრძოლებში მონაწილეობაც მოასწრო. ეს ბრძოლები ერთობ მკაცრი და დაუნდობელი იყო. ცოლისათვის მიწერილ ერთ-ერთ წერილში პატონი აღწერდა, თუ როგორ შეძვრა დამწვარ ტანკში და დიდ კალათში როგორ აგროვებდა ყველაფერ იმას, რაც ექვსდიუმიანი ჭურვის მოხვედრის შემდეგ დარჩა ეკიპაჟისაგან. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი პროცედურის ჩატარებამ ომის დამთავრებამდე მას არაერთხელ მოუწია, გასაგები გახდება, რატომ უწოდებდნენ ფრონტელი ენაჭარტალები 304-ე სატანკო ბრიგადას „თვითმკვლელთა კლუბს“. მაგრამ ევროპაში მებრძოლ ამერიკელთა შორის ყველაზე მეტი სამხედრო ჯილდო სწორედ მისმა ეკიპაჟებმა მიიღეს. სამშობლოში მათ როგორც ნამდვილ გმირებს, ისე შეხვდნენ. ამერიკის სანაპიროზე გადასულ ვიცე-პოლკოვნიკ ჯორჯ პატონის მუნდირს ამშვენებდა ჯვარი „გამორჩეული დამსახურებისათვის“, ამავე დასახელების მედალი და მედალი „მეწამული გული“.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პატონი რამდენიმე ხნის განმავლობაში ვაშინგტონში მსახურობდა. ამ პერიოდში მან დიდი ენერგია მოახმარა სატანკო ნაწილების პროპაგანდას, რადგან ღრმად სწამდა, რომ შემდგომ ომებში მათ გადამწყვეტი როლი მიენიჭებოდათ, მაგრამ მხოლოდ ერთეულების მიმხრობა მოახერხა. შტატების პოლიტიკოსთა და სამხედრო ხელისუფლების უმეტესობას ყურადღება უფრო ავიაციისა და ფლოტის განვითარებისაკენ ჰქონდა მიმართული. ფინანსების ლომის წილიც ამ მიმართულებით მიდიოდა. რაკი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, პატონმა მოქმედ არმიაში დაბრუნება მოითხოვა, რადგან სწამდა, რომ იქ უკეთესად გამოიყენებდა ცოდნას, გამოცდილებას და დაუოკებელ ენერგიას.



ჯერ კიდევ სამვარსკვლავიანი პატონი ფელდ-მარშალ ბერნარ მონტგომერისთან ერთად

ჯორჯის ბიოგრაფიის ამ პერიოდის ერთადერთ წარმატებად უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს დუაიტ ეიზენჰაუერის გაცნობა და მასთან დამეგობრება. ეს უკანასკნელი მომავალში ჯერ დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების მთავარსარდალი, შემდეგ კი შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა.

## აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვისპირეთში

მეორე მსოფლიო ომმა პატონს ჯორჯიის შტატის ფორტ ბენინგში განლაგებული მე-2 ჯავშანსატანკო დივიზიის მეთაურის რანგში მოუსწრო. აქედან ამერიკის ჯავშანსატანკო ძალების მთავარსარდლის, გენერალ-მაიორ ჯეიკობ დევერსის ბრძანების თანახმად, მან უმოკლეს დროში გადაისროლა თავისი შენაერთები კალიფორნიის შტატში, სადაც დაბა ინდიოს მახლობლად შეიქმნა „უდაბნოში წვრთნის ცენტრი“. აქ იწვრთნებოდნენ ის ამერიკული სამხედრო ნაწილები, რომლებსაც მომავალში აფრიკის საბრძოლო ბრძოლა ... 

მეორე მსოფლიო ომში ფრანგები იყვნენ. 1942 წლის 8 ნოემბერს დაიწყო ოპერაცია „ტორჩი“: სამი ამერიკული ტაქტიკური შენაერთი ატლანტის ოკეანის გავლით აფრიკის კონტინენტისკენ დაიძრა. დასავლეთის ოპერატიული დაჯგუფების სახმელეთო ძალებს ამჟამად უკვე გენერალ-მაიორი პატონი სარდლობდა. მისი ქვედანაყოფები მაროკოს სანაპიროზე უნდა გადამსხდარიყვნენ და დაეკავებინათ ქალაქი კასაბლანკა და მისი ნავსადგური, რომელსაც ჰიტლერელთა მოკავშირე საფრანგეთის ვიშის კოლაბორაციონისტული ხელისუფლების ოფიცრები და ჯარისკაცები იცავდნენ. ამერიკული არმადას თითქმის ასამდე სამხედრო ხომალდის გამოჩენა, რომელსაც ადმირალი ჰიუიტი სარდლობდა, ფრანგებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ისინი მზად იყვნენ წინააღმდეგობის გასაწევად. აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის მძიმე კრეისერი „ოგასტა“, რომელზეც გენერალი პატონი და მისი შტაბის ოფიცრები იმყოფებოდნენ, ნაპირთან გამოჩენისას ფრანგული სახაზო გემ „ჟან-ბარტის“ და სანაპირო ბატარეის ცეცხლში მოხვდა. ამერიკელები იძულებული გახდნენ, ცეცხლითვე ეპასუხათ, რათა ნაპირზე დესანტის გადასხმა დაეფარათ. ჰაერში სისხლის სუნი დატრიალდა, მაგრამ 11 ნოემბერს, როცა ამერიკელთა სახმელეთო ძალები საიერიშოდ მზად იყვნენ, იანკების თვითმფრინავები კი მიზანს უახლოვდებოდნენ, ფრანგულმა გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ამ მოვლენას ერთი წუთითაც რომ დაეგვიანა, საქმე ქალაქ კასაბლანკას სრული განადგურებით დასრულდებოდა. როდესაც ზავს მოეწერა ხელი, გენერალმა პატონმა ბოკალი აიღო და სადღეგრძელოში ორ ხალხს, ფრანგებს და ამერიკელებს, გმირულად დაღუპული შვილების დატირების შემდეგ გაერთიანებული ძალით საერთო მტრის, ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა უსურვა.

ასე გააკეთა პატონმა ის, რაც არაერთხელ გაიმეორა მეორე მსოფლიო ომში, როცა ადგილზე მდგომარეობის შეფასების შემდეგ, უხეშად დაარღვია შეერთებული შტატებიდან და პირდაპირ ვაშინგტონიდან მიღე-

ბული ინსტრუქციები. კონკრეტულ შემთხვევაში დამარცხებულები არა ტყვეებად, არამედ მოკავშირეებად აქცია, რითაც, სხვათა შორის, ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები მეომარი ბერბერთა ტომების აჯანყება აიცილა თავიდან.

1943 წლის მარტში პატონმა ტუნისში გამგზავრების და იქ კასერის ექსპედიციაში გერმანელებისგან დაწიოკებული მე-2 კორპუსის სარდლად დანიშვნის ბრძანება მიიღო. მან უმთავრესით — უმკაცრესი დისციპლინის დამყარებით დაიწყო. ამ ღონისძიებებმა ხელქვეითთა შორის მას პოპულარობა ვერ მოუპოვა, სწორედ მაშინ შეარქვეს ჯარისკაცებმა პატონს „ჩვენი სისხლისმსმელი“. უკვე ორი კვირის შემდეგ კორპუსმა ბრძოლისუნარიანობა აღიდგინა, კონტრშეტევაზე გადავიდა ბრიტანეთის პირველ და მერვე არმიასთან ერთად და მთლიანად განდევნა გენერალ რომელის ნაწილები ჩრდილო აფრიკის სანაპიროებიდან. სამწუხაროდ, „უდაბნოს მელად“ წოდებულ გენერალ რომელზე გამარჯვების დაფნის გვირგვინი მას არ რგებია, რადგან მალე თავისი მე-2 კორპუსი გენერალ ომარ ბრედლის გადააბარა, თვითონ კი სარდლობის ბრძანებით ამერიკის არმიას ჩაუდგა სათავეში და მოკავშირეთა ჯარების სიცილიაზე შეჭრის გეგმის მომზადებას შეუდგა. პატონს ამ ხმელთაშუა ზღვის კუნძულის გათავისუფლებისას უნდა ემოქმედა ბრიტანეთის მე-8 არმიასთან ერთად, რომელსაც გენერალი მონტგომერი სარდლობდა. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელად კი ბრიტანელი მარშალი ჰაროლდ ალექსანდერი იყო დანიშნული. სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე გადამსხდარმა პატონის ჯარისკაცებმა გერმანელების რამდენიმე გააფთრებული შეტევა მოიგერიეს, რომლებიც მათ ზღვაში გადაყრას ცდილობდნენ, კონტრშეტევაზე გადასვლა მოახერხეს და კუნძულის სიღრმისკენ მესხინისკენ წაიწიეს. მარშალმა ალექსანდერმა ვერ მიაღწია ორი არმიის ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას, მისი შეტევების ტემპი იმდენად დაბალი იყო, რომ ლამის თავდაცვაზე გადასულიყო.

ამით უკმაყოფილო პატონი საკუთარი ინიციატივით შეხვდა მონტგომერის და ორმა მებრძოლმა გენერალმა პირდაპირ ცეცხლის ხაზზე შეიმუშავა საერთო მოქმედების გეგმა.

ამერიკელმა ინგლისელი კოლეგის თანხმობით შექმნა დროებითი დამრტყმელი კორპუსი, რომელიც არც ერთ დოკუმენტში არ იყო გათვალისწინებული, სათავეში ჩაუდგა მას და ერთი კვირის შემდეგ ქალაქი პალერმო აიღო, რამდენიმე დღეში კი მისი ჯარისკაცები უკვე მესინაში იყვნენ. ალექსანდერმა მოკავშირეთა შტაბი მრისხანე დეპეშებით „დაბომბა“, რომ პატონი მას ჯარებს სტაცებს. პატონიც არ უარყოფდა, სამაგიეროდ თავის გასამართლებელ არგუმენტად გამარჯვებას ასახელებდა. გამარჯვებულებს კი, როგორც წესი, არ ასამართლებენ. თუმცა სიცილიაში პატონმა მაინც წაიტეხა ცხვირი. ნაპირზე გადასვლისთანავე მეომრების წინაშე მგზნებარე მოწოდება წარმოთქვა, რომელიც შეეხებოდა მტრის ნებისმიერი მეთოდებით განადგურებას, დაჭრილების დახოცვას, ტყვეების განადგურებას, სახლების გადაწვასა და ქალების გაუპატიურებას. თვითმხილველების თქმით, მისი ყოველი მესამე სიტყვა მრავალ ჭირგადატანილ მეომრებსაც კი შეცბუნებას და ელდას ჰგვრიდა. პატონის აზრით, იგი ამით თავისი ჯარისკაცების საომარ სულს ამაღლებდა. შედეგად, სიცილიაზე გადასხმიდან უკვე ორიოდე თვის შემდეგ რამდენიმე საშუალო რგოლის საველე მეთაური ტრიბუნალის წინაშე წარდგა ჩადენილი სამხედრო დანაშაულის გამო. ტყვეებისა და სამოქალაქო მოსახლეობის დამცირება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოკავშირეთა სარდლობის მოთმინების ძაფი გაწყდა მაშინ, როცა „ბისკარის სასაკლაოს“ საქმე გახმაურდა, რომლის დროსაც ამერიკელთა 75-ე დივიზიის ჯარისკაცებმა სამოცდათექვსმეტი გერმანელი და იტალიელი სამხედრო ტყვე დახვრიტეს. ერთ-ერთმა დაპატიმრებულმა ამერიკელმა ჯარისკაცმა სასამართლოს განუცხადა, რომ მსგავსი უმოწყალო საქციელი მას პატონის სიტყვებმა შთააგონა.

ცეცხლზე ნავთი დაასხა 1943 წლის 10 აგვისტოს მომხდარმა ფაქტმა: როცა პატონი სიცილიის ჩრდილო სანაპიროზე განთავსებულ 93-ე საევაკუაციო ჰოსპიტალს ამოწმებდა, ერთ-ერთ პალატაში აღმოაჩინა ორი რიგითი ჯარისკაცი, რომლებსაც ჭრილობები არ ჰქონდათ. გენერალმა თანმხლებ ექიმს ჰკითხა, რატომ იწვნენ ისინი ჰოსპიტალში. დიაგნოზმა — „საომარ პირობებში ნერვული გამოფიტვა“ — პატონი გააცოფა. მან ჯარისკაცებს სიმულანტები უწოდა, პისტოლეტი ამოიღო და ერთ-ერთ მათგანს სახეში ჩაარტყა. პალატიდან გასვლისას კი, როცა მოიხედა და დაინახა, რომ მის მიერ შეურაცხყოფილი ჯარისკაცი ლოგინზე წამომჯდარი ტიროდა, დაბრუნდა და მეორედ ჩაარტყა პისტოლეტი, ამჯერად თავში. მეორე დარტყმის მოწმეები არა მარტო ექიმები და ექთნები, არამედ ხმაურზე შემოცვენილი ჟურნალისტებიც გახდნენ. მომხდარის დამალვა შეუძლებელი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ გენერლის აღმაშფოთებელი საქციელის შესახებ მთელმა ამერიკამ იცოდა. გაზეთები თავგასული გენერლის ამერიკაში დაბრუნებას მოითხოვდნენ, თუმცა ეიზენ-



ჯორჯის საყვარელი ბულტერიერი „ვილი“ მისი ერთგული მეგობარი და აშშ სამხედრო საიდუმლოებების უზადო მცველიც იყო...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაუერმა პოლიტიკოსებსა და სამხედრო ხელმძღვანელებთან მრავალრიცხოვანი კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტა, პატონი ევროპაში დაეტოვებინა. „ვალს მომავალი გამარჯვებებით გადაიხდი", — უთხრა მთავარსარდალმა თავის მეგობარს. პატონი დროებით ჩამოაშორეს ჯარების სარდლობას და აიძულეს, ბოდიში მოეხადა შეურაცხყოფილი ჯარისკაცისა და ინციდენტის დამსწრე სამედიცინო პერსონალის წინაშე. ბრძანებას დაემორჩილა, მაგრამ იგი მისთვის დამახასიათებელი მანერით შეასრულა. ერთ-ერთი ექიმის აზრით, გენერლის მობოდიშებას ისეთი უცენზურო სიტყვები ახლდა, რომ სჯობდა, საერთოდ არ მოეხადა ბოდიში.

ძნელია ადამიანის ხასიათზე იმსჯელო მისი ბიოგრაფიიდან ამოგლეჯილი რომელიღაც ფრაგმენტის მიხედვით, მით უმეტეს, მებრძოლი გენერლის პიროვნებაზე ერთი ეპიზოდის მიხედვით. ადამიანები, რომლებსაც პატონთან ერთად ფრონტის წინა ხაზზე ზედიზედ რამდენიმე თვით ყოფნამ მოუწია, ამბობდნენ, რომ ის ნამდვილად გენიალური სამხედრო მეთაური, დისციპლინის მოყვარული, ხელქვეითებზე მზრუნველი იყო. „ჯარისკაცი გაწვრთნილი, ჩაცმულ-დახურული და მამლარი უნდა იყოს", — ამბობდა იგი. პატონი ყველას გასაგონად აცხადებდა, რომ მიესალმებოდა დანაკარგს, რადგან გულწრფელად სჯეროდა, რომ გამარჯვება მსხვერპლად ღირდა. სინამდვილეში კი ჯარისკაცებს უფრო მეტად უფრთხილდებოდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა გენერალი. დაუზოგავად ლანძღავდა მტრის დედაკაცებს, მაგრამ გაუპატიურებისათვის დამნაშავეს აუცილებლად სჯიდა. მრისხანე რიტორიკა გენერლისთვის იმ იდეალური მებრძოლის განუყოფელი ნაწილი იყო, როგორიც მას უნდოდა ყოფილიყო, ამიტომ მიისწრაფოდა მისკენ მთელი ცხოვრების მანძილზე.

ასე იყო თუ ისე, პრაქტიკულმა ამერიკელებმა სარდლობას ჩამოშორებული პატონისგანაც კი განიზრახეს სარგებლის მიღება. საქმე ის არის, რომ გენერალს სწრაფი დარტყმების მიყენების ოსტატის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, რის გამოც გერმანული დაზვერვა ფხიზლად უთვალთვალებდა მას და ცდილობდა, მისი არც ერთი ნაბიჯი არ გამოპარვოდა: იქ, სადაც პატონი იყო, შეტევა მზადდებოდა. ამერიკელებმაც ამაზე ააგეს თავიანთი გეგმა. გენერალმა პატონმა კუნძულ სიცილიაზე აბსოლუტურად უსაქმოდ ათი თვე გაატარა, გერმანელები კი ფიქრობდნენ, იგი ამ დროის განმავლობაში საფრანგეთის სამხრეთში შესაჭრელად ემზადებოდა. შემდეგ პატონი კუნძულ კვიპროსზე გადაიყვანეს. ჰიტლერულთა სარდლობა შეფიქრიანდა, რადგან ეგონათ, მოკავშირეთა კონტინგენტის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადასხმა მზადდებოდა. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში გერმანელები „პატონის მოულოდნელ დარტყმას" ელოდნენ და მის მოსაგერიებლად ჯარების გადაჯგუფებას მიმართავდნენ. ერთი სიტყვით, ფუჭად ხარჯავდნენ დროს, ძალასა და რესურსებს. თავად პატონმა ყოველივე იცოდა ეიზენჰაუერისგან და სიამოვნებით ჩაერთო ამ თამაშში. 1944 წლის გაზაფხულზე მან გაავრცელა ხმა, რომ აშშ-ის იმ არმიის სარდლად ინიშნება, რომელმაც მალე პადე-კალეს სრუტის გავლით საფრანგეთის სანაპიროზე გადასხდება. ეს გახლდათ მოწინააღმდეგის დეზინფორმაციის გრანდიოზული ოპერაციის ნაწილი, რომელსაც კოდური სახელწოდება „სულიერი ძალა" ერქვა. სწორედ ამ ოპერაციის წარმატებას მიეწერება გერმანელების მიერ საკუთარი ძალებისა და საშუალებების, რომლებსაც წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ მოკავშირეთა ჯარებისათვის ევროპის კონტინენტზე, არარაციონალური განლაგება.

## ისევ დასავლეთ ევროპაში

1944 წლის 6 ივნისს დაიწყო ოპერაცია „ოვერლორდი" — მოკავშირეთა ძალების ნორმანდიაში გადასხმა. ამ მოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე პატონი დაინიშნა მე-3 ამერიკული არმიის სარდლად, რომელსაც მატერიკზე შეჭრის შემდეგ დასავლეთის ფრონტზე უნდა ემოქმედა. პრინციპების ერთგულმა გენერალმა საფრანგეთის სანაპიროზე დესანტირების დაწყებამდე ჯარისკაცებს დიდაქტიკური სიტყვით მიმართა: „თქვენ დღეს აქ იმიტომ ხართ, რომ სხვაგან ყოფნას საკუთარ თავს ვერ აპატიებდით. ამერიკელებს უყვართ გამარჯვებულები. ამერიკელები ვერ იტანენ ხულიგნებს, ამერიკელებს ეზიზღებათ მშიშრები. ამერიკელები ყოველთვის მოსაგებად თამაშობენ. ამის გამო ამერიკელები არასდროს დამარცხებულან ომებში და არც არასდროს დამარცხდებიან. დამარცხებაზე ფიქრიც კი ამერიკელისთვის საძულველია. ბრძოლა ყველაზე მიმზიდველი შეჯიბრებაა მათ შორის, რომელშიც ადამიანებს მონაწილეობა მიუღიათ. მასში ვლინდება ყველაფერი საუკეთესო და ქრება ყოველივე მდაბალი. გახსოვდეთ, მტერსაც ისევე ეშინია, როგორც თქვენ, შესაძლებელია უფრო მეტადაც... ყველანი არ დაიხოცებით, თქვენგან მხოლოდ ორი პროცენტი დარჩება ბრძოლის ველზე. სიკვდილის არ უნდა გეშინოდეთ. ადრე თუ მალე, სიკვდილი ყველას მოუწევს. მაგრამ თუ ვინმე იტყვის, რომ მას საერთოდ არ ეშინია, იგი მატყუარაა. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვინდა სახლში დაბრუნება და გამარჯვების ამბის ჩატანა, მაგრამ ამის გასაკეთებლად ყველაზე სწრაფი საშუალებაა, წასვლა და იმ ნაბიჭვრების ამოჟლეტა, ვინც ეს ომი გააჩაღა. ყველაზე მოკლე გზა სახლისკენ ბერლინზე გადის". პატონის ჯარი გერმანელთა გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ მე-3 არმიის სარდლის შეუპოვრობის წყალობით ტყეში და სანაპიროზე გაჭიანურებული ბრძოლები ნორმანდიასა და საერთოდ საფრანგეთში თავისებურ ბლიცკრიგად იქცა. ორი კვირის მანძილზე პატონი საფრანგეთის სიღრმისკენ ექვსასი მილის მანძილზე გადაადგილდა, რის შემდეგაც მას ჩამოართვეს მე-2 ფრანგული სატანკო და მე-4 ამერიკული ქვეითთა დივიზიები. ეს უკანასკნელნი პარიზის ასაღებად გადაისროლეს. პატონს კი ლოთარინგიის გათავისუფლება დაავალეს, რომლის დროსაც მე-3 ამერიკული არმიის წინსვლა შენელდა. უსიცოცხლო შეტევებს დიდი მსხვერპლი და ტექნიკის დანაკარგი ახლდა, რაც გერმანელების თავდაცვითი პოზიციების და წინააღმდეგობის მრავალრიცხოვანი კვანძების მო-

1944 წელი, აღლუმი ლოს-ანჟელესში



ეროვნული ბიბლიოთეკა





დღეს გენერალ პატონის აღდგენილი კადილაკი სამუზეუმო ექსპონატია (ზედა ფოტო). მარცხენა ფოტოზე — იგივე კადილაკი 1945 წლის 9 დეკემბერს, სატვირთო მანქანასთან შეჯახების შემდეგ...

მზადების, ჯარების ცეცხლიდან გამოყვანის და ფლანგებიდან შემაკავებელი დარტყმების მიყენების საშუალებას აძლევდა. ნოემბრის ბოლოსათვის ფრონტის ხაზი პრაქტიკულად ჩაკვდა, მოკავშირეთა ჯარები პოზიციურ ომში ჩაეფლნენ. განრისხებული პატონი ადგილს ვერ პოულობდა და ამბობდა, რომ იგი ევროპაში ომს თოვლის მოსვლამდე დაამთავრებდა. ეს კი ამერიკელების, ინგლისელების, რუსებისა და თვით გერმანელების მილიონობით სიცოცხლეს გადაარჩენდა. მიუხედავად ამისა, მის არმიას შეუწყვიტეს საწვავით და საბრძოლო მასალით მომარაგება, რითაც ერთ ადგილზე ყოფნა მიუსაჯეს. 16 დეკემბრისათვის გერმანელებმა მოახერხეს 29 დივიზიის ერთ მუშტად შეკვრა და ფელდმარშალ ფონ რუნშტედის მეთაურობით არდენის მიმართულებით შეტევა წამოიწყეს. რამდენიმე დღის შემდეგ თავს დამტყდარმა დიდთოვლობამ ორივე მხარის სატანკო ნაწილების მოქმედება შეაფერხა. გერმანელებმა ვერ მოახერხეს წინ წაწევა, მოკავშირეებმა კი რეზერვების გადასროლა და ძალების გადაჯგუფება. პატონმა გამოთვალა, რომ გადაჯგუფებისთვის საჭირო იყო მხოლოდ ერთი დღით დამდგარიყო სასურველი ამინდი და აშშ-ის მე-3 არმიის კაპელან ჯეიმს ონეილის უბრძანა ელოცა და ღმერთისთვის ღრუბლების გაფანტვა ეთხოვა. ლოცვის დაწყებიდან სულ მალე თოვა შეწყდა. პატონმა იქვე დააჯილდოვა ონეილი ბრინჯაოს ვარსკვლავით და მანევრი დაიწყო. თავიდან მან ალყაში მოქცეული აშშ-ის 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზია გამოიყვანა საშშვიდობოს, შემდეგ კი სწრაფად დაიძრა საარის აუზისკენ. ამას მოჰყვა ქალაქ ტრირის აღება. ქალაქი პატონმა ისე მოულოდნელად და სწრაფად აიღო, რომ კურიოზს ვერ აცდა. უკვე ტრირში მყოფს მთავარსარდლობის შტაბიდან შემდეგი შინაარსის ბრძანება მოუვიდა: „ტრირს გვერდი აუარეთ, ქალაქი არ აიღოთ, რადგან ქუჩის ბრძოლებში ჩათრევის საშიშროება არსებობს. „რა, ქალაქის გერმანელებისთვის უკან დაბრუნებას ხომ არ მოითხოვენ?“ — ჩაიბურტყუნა გენერალმა და შეტევა ავსტრიული ლინცის მიმართულებით გააგრძელა.

1945 წლის 22 მარტს მე-3 არმია მდინარე რაინის სანაპიროს მიადგა, გაათავისუფლა დასავლეთ ბოჰემიის ძირითადი ნაწილი და 6 მაისს ქალაქი პილზენი აიღო. გენერალი აჯანყებული პრაღის დასახმარებლად ჯარის გადასროლას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად შეჩერების ბრძანება მიიღო...

## გენერალი, რომელიც თადარიგში არ გასულა

ომის უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჯორჯ პატონმა თავისი გამონათქვამებით არაერთხელ შეურყია ცნობიერება თანამებრძოლებს, პრესასა და უმაღლეს მთავარსარდლობას. მაგალითად, რად ღირს თუნდაც მისი განცხადებები, რომ ომის შემდეგ მსოფლიოს მმართველები ამერიკელები და ინგლისელები გახდებიან. რუსები არ არიან მოკავშირეები, რომ იგი მზადაა, თუნდაც დღესვე დაძრას თავისი ჯარი წითლების წინააღმდეგ, იმიტომ, რომ „სჯობია დღესვე და აქვე გადაწყდეს ყველაფერი, რადგან მოგვიანებით მაინც მოუწევთ ამის გაკეთება“; რომ თუ ამას არ გააკეთებენ, რამდენიმე წელიწადში მესამე მსოფლიო ომი დაიწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ყოველივე ამის შემდეგ ეიზენჰაუერმა თავის მეგობარ ჯორჯს გულწრფელად განუცხადა, რომ „ომის დამთავრებაში მონაწილეობის უფლებას იმ შემთხვევაში მისცემდა, თუ იგი ღვთის გულისათვის მოკეტავდა“. ამის შემდეგ გენერალმა რუსებს თავი გაანება და გერმანელების ლანძღვაზე გადაერთო. სანამ ბრძოლები მიმდინარეობდა, მოწინააღმდეგეს შეუგინებელი საფლავშიც არავინ დაუტოვა, ხოლო, როცა ომი დამთავრდა, გერმანელები მისთვის ისევ იმავედ იქცნენ, რასაც ყოველთვის წარმოადგენდნენ, — შეუდარებელი მებრძოლები და ნაღდი გმირები, თავისი ქვეყნის პატრიოტები და საბოლოოდ არცთუ ცუდი ბიჭები.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ პატონი ბავარიის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა და საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ პოსტებზე ვერმახტის ყოფილ გენერლებსა და მაღალი ჩინის ოფიცრებს ნიშნავდა. უფრო მეტიც, 1945 წლის 22 სექტემბერს მან თავს ნება მისცა, როგორც ყოველთვის სახალხოდ მკაცრად გაეკრიტიკებინა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა გერმანიის საკითხზე. ეს იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც ამერიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოთმინების ფიალა აავსო. ოქტომბრის პირველ რიცხვებში გენერალი პატონი ყველა პოსტიდან გაათავისუფლეს და სასწრაფოდ აშშ-ში გაიწვიეს, მაგრამ განგებამ ინება, გენერალი იმ მიწაზე დარჩენილიყო, რომლის ფაშიზმისგან გათავისუფლებაში დიდი წვლილი მიუძღოდა. 1945 წლის 9 დეკემბერს, სამშობლოში დაბრუნებამდე ერთი დღით ადრე, პატონი თავისი შტაბის უფროს გენერალ ჰობარდ გეისთან ერთად ხოხბებზე სანადიროდ გაემგზავრა. ქალაქ ნეკერშტატის მახლობლად კადილაკი, რომელშიც იგი იჯდა, სამხედრო სატვირთო მანქანას შეეჯახა. შეჯახებამ ავტომობილის სალონის უკანა ნაწილში მჯდომი გენერალი პატონი მთელი ძალით გაისროლა წინ. მან ძარის ლითონის დეტალს მიახალა თავი და თავის ქალის ფუძე მოსტყდა. მძიმედ დაშავებული გენერალი ჰაიდელბერგის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც პარალიზებული გარდაიცვალა 21 დეკემბერს. აშშ-ის მაშინდელი სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, უცხოეთში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეები ადგილზევე უნდა დაეკრძალათ. ასე რომ, გენერლის საფლავი იქ არის, სადაც უნდა იყოს, — ლუქსემბურგში ამერიკელთა მემორიალურ სასაფლაოზე, მე-3 არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების საფლავებს შორის, რომლებიც 1944-1945 წლების ზამთარში ბელგიის ქალაქ ბესტონის გათავისუფლებისას დაიღუპნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი მსხვილკალიბრიანი ქართველი სნაიპერებისთვის



## 10 წლის წინ ქართულ არმიაში პირველი 12,7 მმ-იანი ჩეხური სნაიპერული Falcon-ები გამოჩნდა

ამ ათიოდე წლის წინ, ჯერ კიდევ შევარდნაძის ეპოქაში, ჟურნალისტები ერთ-ერთ სწავლებას ვესწრებოდით დუშეთის რაიონში, პოლიგონზე. თავად სწავლება დიდი არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო, — ორასიოდე მეტრში, ტყის პირას სამიზნედ დაყენებული მეორე მსოფლიო ომის დროინდელი T-34 ტიპის ტანკს ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ტყვიების გარდა რაღაც უფრო გამანადგურებელი ხვდებოდა, თანაც გასროლების ხმა ძალზე განსხვავდებოდა AKM-ის თუ ПКМ-ის გასროლის ხმებისგან.

ცნობისმოყვარეობა მომეძალა და მაყურებლის ჯგუფის მარცხნივ და უკან, ბუჩქებში შენიღბულ პოზიციაზე სნაიპერთა გათვლა აღმოვაჩინე. მათი იარაღის ბუჩქებიდან გამოყოფილი ლულა კალიბრით ნამდვილად აღემატებოდა 7,62 მმ-ს. როცა ძალიან დავინტერესდი და სწავლების შემდეგ ამ ახალი (იმ დროის ქართული არმიისთვის) იარაღის დათვალიერება გადავწყვიტე, მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ მთხოვა, ჯერჯერობით ამ იარაღზე არაფერი დაწერო.

პირობა პირობა იყო და დიდი სურვილის მიუხედავად, „კვირის პალიტრაში“ გამომექვეყნებინა ექსკლუზიური მასალა ქართული არმიის შეიარაღებაში ახალი მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანების გამოჩენის შესახებ, დროებით დუმილი ვამჯობინე.

თუმცა მალე იაღლუჯაზე, კრწანისის პოლიგონზე მორიგი სწავლება გაიმართა და პრეზიდენტ შევარდნაძეს კარავში გაშლილ სხვა იარაღთან ერთად ეს მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანაც აჩვენეს.

ეს იყო ჩეხური წარმოების 12,7 მმ კალიბრის სნაიპერული შაშხანა OP 99 Falcon-ი. დღეს, როდესაც ქართული არმიისა და სპეცსამსახურების არსენალშია არაერთი თანამედროვე მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა („ბარეტი“, „ნემესისი“ და სხვა), ძნელად თუ ვინმეს გააკვირვებ ორვაზნიანი ჩეხური „ფალკონით“, მაგრამ ათი წლის წინ ეს ნიშნავდა, რომ ქართველ სნაიპერებს ტრადიციული СВД-სგან განსხვავებით წერტილოვანი სამიზნის დაზიანება 500-600 მ-ის ნაცვლად, უკვე 1500 მ-მდე შეეძლოთ. ეს კი დიდ უპირატესობას იძლეოდა ანტისნაიპერული მოქმედების დროს. ამასთან, დივერსიულ ჯგუფს ამ ჩეხური მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანით შეეძლო კილომეტრ-ნახევარი სიშორიდან დაეზიანებინა და მწყობრიდან გამოეყვანა მოწინააღმდეგის საავიაციო ტექნიკა და რადილოკატორები აეროდრომზე.



მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა Op 99 Falcon-ი

მაშინ შესყიდული „ფალკონების“ რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელი იყო და დიდ გაკვირვებას იწვევდა მათში გადახდილი იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა — 15 ათას დოლარზე მეტი (თუ მეხსიერება არ გვღალატობს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დოსიე: **ჩეხური მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა OP 99 Falcon-ი უვაზნებოდ 12,9 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 1260 მმ-ს შეადგენს, ლულისა კი — 839 მმ-ს. შაშხანის ავტომატიკა გრძივად-მცოცავი საკეტის მუშაობის პრინციპს ეფუძნება. იარაღზე მოუხსნელად ჩამონტაჟებულ (სასხლეტის უკან, „ბულპაპის“ სქემით) მჭიდში ორი 12,7X108 მმ კალიბრის ვაზნა ეტევა. ტყვიის საწყისი სიჩქარე 825-925 მ/წმ-ს შორის მერყეობს. ითვლება, რომ სროლის ეფექტური მანძილი დღისით 1600 მ-ს, ღამით კი 800 მ-ს შეადგენს. მსხვილკალიბრიან ტყვიას 100 მ-დან 25 მმ სისქის ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.**

Falcon-ი სასროლ პოზიციაზე დამაგრებულია სპეციალურ დაზგაზე სროლისას სამიზნის გასწორების მიზნით





იმ პერიოდში დაძაბულობა იყო კოდორის ხეობაში (2000 წლის 12 აპრილს რუსებმა საჰაერო დესანტი გადმოსხეს კოდორის ხეობის ქართულ სოფლებში და იქ დარჩენას აპირებდნენ, მაგრამ ქართული მხარის ენერგიული მოქმედების შემდეგ იძულებულნი გახდნენ, უკან გასულიყვნენ) და რამდენიმე „ფალკონი“ იქ გადაისროლეს. რამდენიმე წლის შემდეგ ერთი „ფალკონი“ კვლავ კოდორის ხეობაში რჩებოდა, რაც ძალზე ანერვიულებდა „ვარდების რევოლუციით“ მოსულ ახალ ხელისუფლებას...

ჩეხური მსხვილკალიბრიანი „ფალკონი“ შექმნილია სნაიპერების გასანადგურებლად, მსუბუქად შეჯავშნული ტექნიკის, საარტილერიო და სარაკეტო დანადგარების, რადიოლოკატორების, თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების (აეროდრომზე დგომისას) დასაზიანებლად.

„ფალკონის“ სერიული წარმოება გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო (და, როგორც ჩანს, მაშინვე შევიდა ქართული არმიის შეიარაღებაში). მას ორ მოდიფიკაციად აწარმოებდნენ. მოდიფიკაცია OP 99 გათვლილი იყო საბჭოთა 12,7X108 მმ (ДШК-ს) ვაზნაზე, ხოლო OP 96 კი NATO-ის 12,7X99 მმ ვაზნაზე. ლულის ბოლოში მას დაყენებული აქვს გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალის კომპენსატორი, რომელიც, იარაღის გამომშვები ფირმის მტკიცებით, უკუცემის 70%-ს შთანთქავს. ამ ძალას ასევე ამცირებს კონდახის ბოლოში დამონტაჟებული ამორტიზირებადი მოწყობილობა.

„არსენალის“ ინფორმაციით, ამერიკულ „ბარეტებთან“ ერთად ჩეხური „ფალკონები“ კვლავ რჩებიან ქართული არმიის შეიარაღებაში.

*ირაკლი ალადაშვილი*



„ფალკონით“ შეიარაღებული ჩეხი სნაიპერი ავღანეთში




ბ 139/38

არსენალი

ISSN 1987 - 5061